პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რ ე დ ა ქ ც ი ა
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— იტალია-სამხრეთ-სლავიის მოლაპარაკება ალბანეთის საკითხის შესახებ.

— 80 მილიონი მარკის დამატებითი კრედიტის მიცემა საბჭოთა კავშირისათვის გერმანიაში.

— ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობა მოითხოვს საპროტესტო გაფიცვის გამოცხადებას 2 მაისს.

— 29 აპრილისათვის მოწვეულია ინგლისის ტრედ-იუნიონების საგანგებო კონგრესი, რომელიც განიხილავს მთავრობის კანონპროექტს პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვის შესახებ.

— ბელორუსთა გრომადის 580 ორგანიზაციის ლიკვიდაცია პოლონეთში.

— კატასტროფა ნავთის საწმენდ ქარხანაში შეერთ. შტატებში.

შაბათი, 9 აპრილი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 79 (1834)

არაჩვეულებრივი პროვოკაცია

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

ჩადენილ იქნა არაჩვეულებრივი სისაძაგლე, რომელიც თავისი მუხანათობით, დანაშაულობით და შედეგებით აჭარბებს საიდუმლო დიპლომატიის „პირველ ხარისხოვან“ პროვოკატორულ მოქმედებებს. პეკინში დიპლომატიური კორპუსის თანხმობით, ჩინელმა თეთრგვარდიელებმა, ალბად რუს და ინგლისელ თეთრგვარდიელთა დახმარებით მოახდინეს შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კავშირის საელჩოზე, მოახდინეს გაჩხრეკა, სრულიად აუწერლად წაიღეს ნივთები, დააპატიმრეს მოსამსახურენი, რომელთაც შეურაცყოფა მიაყენეს.

ამავე დროს შანხაიში, საერთაშორისო უბანის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის საელჩოს ალყა შემოარტყეს ინგლისის ჯარისკაცებმა, რომელნიც იქ არ უშვებენ ჩინეთის გარეშე საქმეთა კომისარს გუო-ტაი-ჩისაც კი.

ამგვარად მთელი მსოფლიო სდგას ისეთი ფაქტის წინაშე, რომელიც თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულია.

„ფორვერტსი“-ც კი ამ „პაციფისტურ“ გამოსვლას უწოდებს „უგუნურ საქციელს“, ბოროტმოქმედებას, რომელიც „ახლოა უგუნურებასთან“. თითქმის მთელი გერმანული პრესა უარყოფით აფასებს დიპლომატიურ კორპუსის საქციელს შანხაიში. „ბერლინერ ტაგებლატი“-ს პეკინელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ ჰოლანდიის ელჩი უდენდეიკი, რომელმაც თავდასხმის ნება დართო, „ამ შემთხვევაში მხოლოდ ინგლისის აგენტს წარმოადგენდა“.

ინგლისის მუშათა პარტიის „დეილი ჰერალდი“-ს ზომიერი ორგანო პეკინში მომხდარ ამბავს აფასებს, როგორც საბჭოთა კავშირისთვის ომის გამოცხადების აქტს იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ. ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გუო-ტაი-ჩიმ, პროვინცია ცზიან-სუს ეროვნული მთავრობის მინისტრმა თავის და მთავარსარდლის ჩან-კაი-შის სახელით გამოსთქვა თავისი უკიდურესი აღშფოთება მომხდარი ამბების გამო.

ასეთია ფაქტები, ასეთია გამოხმაურება მათზე, რომელმაც ტელეგრაფის მავთულით მოაღწია ჩვენამდე.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი და მთელი ქვეყნის მუშათა კლასი უდიდესი აღშფოთებით გამოიხმაურებიან ამ თავხედურ პროვოკაციას.

სავსებით ამაო იქნება ყველა ცბიერი ცდანი, რომ ყოველივე ეს მიჩქმალონ და ყველაფერი გადააბრალონ პეკინის ჩინურ მთავრობას, რომელიც განიცდის მწვავე კრიზისს და მიუხედავად შეკითხვისა ჩვენი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მხრივ, არ იჩენს არავითარ სასიცოცხლო ნიშან-წყალს. ჩან-ძო-ლინის პოლიცია საკუთარი ინიციატივით ვერ გაბედავდა ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენლობაზე თავდასხმას. მას ამისათვის მიცემული ჰქონდა მანდატი. დიპლომატიური კორპუსის უხუცესმა—„ინგლისის აგენტმა“ ეს მანდატი საკუთარი ხელით გადასცა თეთრგვარდიელთა ბანდას. ნანკინისათვის ზარბაზნების დაშენის შემდეგ, რომელიც „ბრწყინვალედ“ ჩაატარეს ინგლის-ამერიკის კაპიტალის აგენტებმა, ინგლისმა მოაწყო თავდასხმა საბჭოთა კავშირის საელჩოზე და ამით სურს გამოიწვიოს გადამჭრელი ნაბიჯები ჩვენი მხრივ.

ეხლა მთელი ქვეყნის წინაშე კვლავ გამოაშკარავდა იმპერიალიზმის ნამდვილი სახე. მან თავისი სამხედრო გემებით თანდათანობით დაიჭირა ჩინეთის ნავთსადგურები, მძიმე ქუსლი დაადგა ჩინეთის უდიდეს ქალაქებს, დაანგრია ვან-სიანი, გაანადგურა ნანკინი და მაშინ, როცა თავისი პასუხისმგებელი პოლიტიკოსების პირით ამბობს პაციფისტურ სიტყვებს, იმპერიალისტური მმართველები სცდილობენ უდიდესი ცეცხლის დანთებას. ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, რომელიც წარმოიშვა საარჩევნო სიყალბის წყალობით, ყოველდღე უფრო და უფრო ააშკარავებს თავის ბუნების მდიდარ თვისებებს. მთელი ევროპის მუშათა მასსებმა უდიდესი ყურადღებით უნდა ადევნონ თვალყური „თავისი“ ბურჟუაზიული მთავრობების ყოველ ნაბიჯს, რომელნიც მრავალი ხალხის ბედ-იღბალს ათამაშებენ.

ჩვენ სალამს უძღვნით ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენლებს პეკინსა და შანხაიში, რომელნიც ბანდიტებით არიან ირგვლივ შემორტყმულნი და რომელნიც მშრომელთა და ჩაგრულთა ინტერესების სადარაჯოზე დგანან.

ჩვენ მოუწოდებთ ყველა სინდისიერ ადამიანებს, რომ სასტიკი პროტესტი განაცხადონ ნანკინის, ვან-სიანის და პეკინის „გმირების“ წინააღმდეგ, რომელთა ხელები სისხლითა და ტალახითაა გასვრილი.

მოსკოვი, 8 აპრილი.

პროფკავშირთა კულტთათბირის შედეგები

სრულიად საქართველოს პროფკავშირების კულტთათბირმა უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. მან ჯამი გაუკეთა ჩვენს მიღწევებს კულტურულ ფრონტზე და დასახა ახალი გზები, რომლებითაც უნდა განვითარდეს მომავალში პროფკავშირთა კულტურული მუშაობა.

მეორე და მესამე თათბირს შორის ორი წელიწადი გავიდა და უნდა აღინიშნოს, რომ ამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენი მუშაობა მნიშვნელოვანად გაიზარდა და განმტკიცდა არა მარტო თბილისში, არამედ მაზრებშიაც.

თათბირზე გამოაშკარავდა კულტმუშაკთა იმ აქტივის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ მუშაობას პროფკავშირების წევრთა კლასიური თვითშეგნების ასამაღლებლად და კულტურული დონის ასაწევად. მშრომელთათვის დასვენების და გართობათა მოწყობა და მასიური მუშაობის სხვა ფორმები, რომელნიც ჩვენ მასებს აშორებენ „ნეპის“ მავნე, გამხრწნელ გავლენას, უმთავრესად სწარმოებს აგრეთვე ჩვენი დაბალი საფეხურის აქტივის ძალებით.

თუ მეორე თათბირზე ბევრ ამხანაგს არ ქონდა წარმოდგენა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებზე და მეტად მოკრძალებით გამოსთქვამდენ თავიანთ აზრს ამ საკითხებზე, სამაგიეროდ ეხლა, ამ თათბირზე დელეგატები გამოდიოდენ გაბედულად და კულტურულად არკვევდენ საკითხს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი დაბალი საფეხურის კულტმუშაკები საგრძნობლად გაიზარდენ. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა აქტივობა და თვითმოქმედება. მათ უკვე შეიგნეს, რომ ჩვენი ბრძოლა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად, მუშათა ნივთიერი მდგომარეობისა და ყოფა - ცხოვრების გასაუმჯობესებლად, წარმოუდგენელია კულტურისა და ცოდნის შეთვისების გარეშე.

ბნელ, წერა - კითხვის უცოდინარ, ნაკლებად შეგნებულ მუშას არ შეუძლია სოციალიზმის შენება, მას არ შეუძლია აგრეთვე გადამჭრელი ბრძოლის წარმოება ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან, მუშაობის გაცდენასთან, ლოთობასთან, სიმულიაციასთან და სხვ. მას არ შეუძლია იყოს ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური, შეგნებული და სასარგებლო წევრი. ეს შეიგნეს და შეითვისეს არა მარტო ჩვენმა მოწინავე მუშებმა, არამედ აგრეთვე მშრომელთა იმ ჩამორჩენილმა ფენებმაც, რომელნიც ორი წლის წინად არ იჩენდენ არავითარ ინტერესს კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობისადმი.

თათბირმა აღნიშნა ჩვენი კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ზრდა, მათი თვისობრივი გაუმჯობესება და მასიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მრავალგვარობა.

ჩვენი კლუბები და წითელი კუთხეები მასიურ ორგანიზაციებად გადაიქცენ. მუშების კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდის გამო ჩვენს კლუბებს და წითელ კუთხეებს უდიდესი სამუშაო აქვთ შესასრულებელი. თუ ორი - სამი წლის წინად ბევრი კლუბი ცარიელი იყო, სამაგიეროთ ამჟამად ისინი ვერ იტევენ თავის წევრებს.

ცხოვრება დაჟინებით გვიკარნახებს ახალი კლუბების მშენებლობას, ვინაიდან ჩვენი კლუბების შენობები ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებენ პროფკავშირთა მასის მოთხოვნილებებს. აუცილებელია მივიღოთ მთელი რიგი სასწრაფო და გადამჭრელი ზომებისა საკლუბო შენობათა გაფართოებისათვის, რომ ამით პროფკავშირთა კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობაში ჩავაბათ მუშათა და მოსამსახურეთა კიდევ უფრო მეტი ფენები. საკლუბო მშენებლობის დარგში არ კმარა მხოლოდ პროფკავშირთა ძალები. აქ აუცილებელია სერიოზული დახმარება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების მხრივ. ახალი კლუბების საამშენებლო გეგმა შეტანილ უნდა იქნეს სამეურნეო და კომუნალური მშენებლობის საერთო გეგმაში.

თათბირმა გამოაშკარავა მთელი რიგი ნაკლულოვანებათა პროფკავშირების კულტმუშაობაში და აგრეთვე არა საკმაოდ სერიოზული დამოკიდებულება მუშაობის ამ დარგისადმი ზოგიერთ პროფკავშირების მხრივ. კავშირების ზოგიერთმა ცენტრალურმა გამგეობებმა მუშაობის მთელი ცენტრი გადაიტანეს თბილისის ორგანიზაციებზე. მთელი მათი ყურადღება და საშუალებანი უმთავრესად თავმოყრილია აქ და მაზრები კი თითქმის უყურადღებოდ იყვნენ დატოვებულნი. კავშირების ცენტრალური გამგეობები არ უწევდენ სათანადო ხელმძღვანელობას ადგილობრივ ორგანიზაციებს, რითაც აიხსნება უკანასკნელთა მუშაობის სისუსტე მაზრებში.

ჩვენს კლუბებს ხელს უშლის დატვირთვა სხვა და სხვაგვარი კრებებით, კონფერენციებით და ყრილობებით, რომლებსაც ნიშნავენ სხვა და სხვა ორგანიზაციები და რაც აფერხებს ნორმალურ მასიურ საკლუბო მუშაობას. გამოირკვა აგრეთვე, რომ ადგილებზე არის კვალიფიციურ კულტმუშაკთა ნაკლებობა. (კლუბის გამგე. ბიბლიოთეკის გამგე და სხვ.).

პროფკავშირთა კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის განვითარებისათვის ერთ - ერთი ხელის შემშლელი პირობათაგანია ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობის განყოფილებები გულგრილად ეკიდებიან კულტურულ - საგანმანათლებლო ორგანიზაციებს და ხშირად უდგენენ მათ პირდაპირ აუტანელ პირობებს შენობებისა და საზაფხულო ბაღების დათმობისათვის.

თათბირმა გამოარკვია, რომ ადგილობრივ არა აქვთ პოპულიარული ლიტერატურა პოლიტიკის, პროფმოძრაობის, მეცნიერების და ტეხნიკის და სხვა დარგებში. პროფკავშირთა ბიბლიოთეკების შედგენა უმეტეს შემთხვევაში სწარმოებს მკითხველი მასის მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად.

თათბირმა აღნიშნა, რომ მაზრებში პროფკავშირთა კულტურულ მუშაობაში საკმაოდ არ არიან ჩაბმულნი ადგილობრივი ინტელიგენტური ძალები,—მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები და სხვ. თათბირმა დასახა მთელი რიგი კონკრეტულ ღონისძიებათა, რომლებმაც უნდა აღმოფხვრან ახლა არსებული დეფექტები და მომავალში გააფართოვონ პროფესიონალური კავშირების კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა.

მიმდინარე წელში განზრახულია პროფკავშირთა საზაფხულო კულტურულ - განმანათლებელ მუშაობის მნიშვნელოვნად გაფართოება. საქართველოს პროფკავშირებს აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები მუშაობის ამ დარგში, რასაც ხელს უწყობენ როგორც კლიმატიური პირობები, ისე კარგად მოწყობილი საზაფხულო ბაღები. ჩვენ აუცილებლად დაჩქარებით უნდა შეუდგეთ მოსამზადებელ მუშაობას იმისათვის, რომ სათანადოდ იქნას მოწყობილი საზაფხულო ბაღები, მოედნები და შენობები და ამ საქმეში მივიზიდოთ პროფკავშირთა მასა შაბათობის და კვირეულის მოწყობის გზით და ამით გამოვიწვიოთ აქტივობა და თვითმოქმედება საპროფკავშირო კულტმუშაობის აღმშენებლობისადმი. წარმატება ამ საკითხში ბევრად არის დამოკიდებული პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და კლუბების გამგეობათა სწორი ხელმძღვანელობისაგან.

პროფკავშირთა საზაფხულო კულტმუშაობაში ჩვენ კვლავ გვექნება დაბრკოლება კლუბების სამხატვრო მუშაობის მოწყობის მხრივ. სამხატვრო მუშაობას მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ზაფხულში, ამიტომ აუცილებელია, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიექცეს მასიური მუშაობის ამ დარგს და სასტიკი ბრძოლა ვაწარმოოთ ყოველგვარ „ხალტურასთან“ და „ხალტურჩიკებთან“, რომელნიც აწყდებიან ჩვენ კლუბებს.

ამასთან ერთად აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე, რომ კულტ - საგანმანათლებლო მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ პოლიტგანათლების ორგანოებმა, რომელნიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეშვიდე წლის თავზე, სამწუხაროდ, მეტად მცირე დახმარებას უწევენ ჩვენს ორგანიზაციებს, როგორც მატერიალურად, ისე მეთოდიური ხელმძღვანელობით. ეს განსაკუთრებით საგრძნობია მაზრებში.

პროფკავშირთა წინაშე მომავალში სდგას უდიდესი ამოცანა: მათ თავის გარშემო უნდა დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები შემდგომი სოციალისტური აღმშენებლობისათვის. ამ საქმეში პროფკავშირებმა აუცილებლად უნდა მიიღონ დახმარება სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ. ჩვენ შევდივართ კულტურული რევოლიუციის ეპოქაში და რაც უფრო სწრაფად წავიწევთ აქ წინ, მით უფრო მტკიცე იქნება ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის საძირკველი.

ი. ჟელიძე.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა ამიერ-კავკასიაში

8 აპრილის დილის სხდომა

ამხ. ჩხენკელის მოხსენება

სასოფლო-სამ. კრედიტი ემყარება ორ საფუძველს: სახელმწიფოს და კოოპერატიულს. სას.-სამ. კრედიტის სისტემაში მაღლა მდგომ დაწესებულებებს წარმოადგენს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები, რომელთა საშუალებით სწარმოებს საკრედიტო ქსელის ხელმძღვანელობა. ქვედა საკრედიტო ამხანაგობები აერთიანებენ გლეხობის ფართე მასსებს და მათი წარმოებითი შრომის პრობლემებს—ერთის მხრივ და მეორეს მხრით აძლევენ სასოფლო-მეურნეობას იმ მატერიალურ დახმარებას, რომლის გაღებას საჭიროდ სცნობს სახელმწიფო სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად. ეს გარემოება განსაკუთრებით აძლიერებს სას.-სამ. კრედიტის მნიშვნელობას და როლს სოფლად.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ სრული სისწორით განსაზღვრა სას.-სამ. კრედიტის სისტემა როცა შექმნა ა.-კ. სას.-სამ. ბანკი, როგორც გამაერთიანებელი და ხელმძღვანელი ორგანო სადერექტივო და ოპერატიული ფუნქციებით, ხოლო რესპუბლიკებში მოაწყო ცალკე სასოფლო - სამეურნეო ბანკები. სას.-სამ. კრედიტის სისტემის მუშაობა გვიჩვენებს, რომ ასეთი ფორმა ცხოველმყოფელია ჩვენს პირობებში.

საბანკო ქსელი ა.-კავკასიაში

ბანკების რიცხვი ა.-კ. ფედერაციაში შემავალ ყველა რესპუბლიკებში უდრის ამჟამად—8. ხოლო განყოფილებებიც 8. სულ მოწყობილია ამიერ-კავკასიაში—828 საკრედიტო ამხანაგობა, რომელნიც აერთიანებენ 140 ათასს წევრს.

ბალანსი, ბანკის მოქმედების მაჩვენებელია. მისი მდგომარეობის გამომხატველია. თუ გადავხედავთ სას.-სამ. ბანკებს, დავინახავთ, რომ ბალანსები ყოველწლიურად თანდათანობით იზრდებიან.

უკანასკნელ 1925-26 წლის განმავლობაში ა.-კავკ. სას.-სამ. ბანკის ბალანსი გაიზარდა 156 პროც., საქ. სას.-სამ. ბანკის—130,8 პროც., აზერბეიჯანის—204,9 პროც., სომხეთის—154,1 პროც., ყოველგვარ საბანკო სისტემის მთავარი საფუძველი არის ძირითადი კაპიტალი. ჩვენი სას.-სამ. ბანკების ძირით. კაპიტალი შესდგება სახელმწ., ადგილობრივი და საკავშ. წყაროებიდან მიღებული თანხებისაგან. ა.-კ. სას.-სამ. ბანკის ძირითადი თანხა 1926 წ. 1 ოქტომბრისათვის უდრიდა 2,962.000 მანეთს, საქართველოს სას.-სამ. ბანკის—1.620.000 მან., აზერბეიჯანის—919.000 მან., სომხეთის—908,000 მან., აფხაზეთის—525.000 მან., ნახჩევანის—237.000 მ.

კრედიტის განაწილება

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობა სწარმოებს მტკიცე გეგმის მიხედვით 1925—26 წელს გამომუშავებული იყო საკრედიტო მუშაობის გეგმა 14.440.000 მანეთის ფარგლებში. ფაქტიურად შესრულებულ იქნა 22.867.000 მანეთის ფარგლებში ანუ 50 პროც. გადაჭარბებით. მიზნობრივი კრედიტის გეგმა გათვალისწინებული იყო 8 მილიონის მან. ფარგლებში, რეალურად შესრულდა 7.800.000 მანეთის ფარგლებში—ე. ი. 2 პროც. დაკლებით.

ცენტრალურ საკავშირო ბანკიდან კრედიტების შემცირებამ დააბრკოლა გეგმის მთლიანად განხორციელება. საჭირო შეიქნა თანხების მოზიდვა სხვა წყაროებიდან, ბანკების მიერ გაცემული იქნა სულ 18.264.000 მანეთის კრედიტი. ცალკე რესპუბლიკებს შორის კრედიტების განაწილება ხდება განსაზღვრულ კოეფიციენტით, რომელიც გამომუშავებულია ჩვენი საგეგმო ორგანოებისაგან. ამ ლიმიტებთან შეფარდებით, მეურნეობის ცალკე დარგების საჭიროების მიხედვით ა.-კ. სას.-სამ. ბანკი იძლეოდა სესხს. თანხები, რომელიც რიგდებოდა ამ ლიმიტების ანგარიშში, ყოველთვის არ შეესაბამებოდა დაწესებულ კოეფიციენტს,

პროცენტულად მუშა საქონლის შესაძენად გაღებული იქნა სესხად 5,2 პროც., სასოფლო-სამეურნეო იარაღებისათვის—4,6 პროც., ტრაქტორების და სხვა მანქანების—2,4 პროც., თესლის გასაწმენდი პუნქტებისათვის 2,1 პროც., მიწ.-მოწყობისათვის—03. პრ., მელიორაციისათვის—3,1 პროც., მინერალურ გასანოყიერებელ მასალისათვის—1,9 პროც., მემცენარეობისათვის—20,8 პროც., მესაქონლეობისათვის—13 პროც., შინა-მრეწველობისათვის—1,3 პროც., კოლექტ. მეურნეობათა დასახმარებლად—0.2 პროც., საბრუნავ საშუალებათა გასაძლიერებლად—2.2 პროც., გარდა ამისა იმ ასიგნობისათვის, რომელიც გათვალისწინებული არაა ბანკის გეგმით, არამედ ფინ. სახ. კომის. დირექტივებს, გადადებულია 11,6 პროც., ხოლო ბანკებს მოკლევადიან სესხად მიეცათ—14,3 პროც. ყველაზე მეტი სესხი ეძლეოდათ მეთამბაქოობას, მეაბრეშუმეობას და მევენახეობას. სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის სესხის მიცემის გარდა, ა.-კ. სას.-სამ. ბანკი ეხმარებოდა სტიქიური მოვლენებიდან დაზარალებულ რაიონებს. მაგ. 1924-26 წ. ყინვებისაგან დაზარალებულ მეურნეობის დარგებისათვის გადაიდვა 2 მილიონი მანეთი, რომელიც გაუნაწილდათ რესპუბლიკების ბანკებს. ლენინაკანის დასახმარებლად დაუყოვნებლივ ა.-კ. სას.-სამ. ბანკიდან გაღებულ იქნა 100 ათასი მანეთი, ხოლო 400 ათასი მანეთი ამავე ბანკის შუამდგომლობითგაიღო საბჭ. კავშირის ცენტრ. სამეურნეო ბანკმა.

დახმარებანი სას.-სამ. ბანკს

დამატებითი ასიგნობის მიცემით სახელმწიფო ორგანოები დიდ დახმარებებს უწევდენ სას.-სამ. ბანკებს, რომელთაც შეეძლოთ დაევარაუდნათ თანხები ეძლეოდათ საბიუჯეტო წესით. გასულ წელს სას.-სამ. ბანკმა მიიღო 2.665.000 მანეთი. აქედან 110 ათასი მანეთი გრძელვადიან (10 წლით) სესხის სახით მიეცათ საბჭ. მეურნეობებს ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად, ხოლო ძირითად საკრედიტო კოოპერაციას, ამავე მიზნით 330.000 მ. ღარიბ გლეხურ მეურნეობის სესხით დასახმარებლად მოგვეცა 465.000 მ. გლეხების გადასასახლებლად და დასასახლებლად — 465.000 მანეთი., ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოსაყოფად 88.000 მან., რესპუბლიკანური ბანკების აქციების და პაიების შესაძენად 196.000 მანეთი, ხოლო ა.-კ. სას.-სამ: ბანკის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად—814.000 მან. გარდა ამისა, ა.-კ. ფინ. სახ. კომ. ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად გაიღო 60 ათასი მანეთი. ადგილ. მნიშვნ. ტყეების გამოსაყოფად—62.000 მანეთი. გლეხობის დასასახლებლად 200 ათასი მანეთი.

სულ მიღებულია—2.655.000 მანეთი.

მიმდინარე წლისათვის ეს თანხა დიდდება 400 ათასი მანეთით: სულ საბიუჯეტო წესით გადაწყვეტილია მოგვეცეს—3.015.000 მანეთი. ამ თანხის 50 პროც. უკვე მიღებული და განაწილებულია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ღარიბ გლეხურ მეურნეობის ფონდის გამოყენებას. ეს ფონდი გადაეცა რესპუბლიკანურ ბანკებს, რომელთაც დაევალათ ეს ფონდი მოეხმარათ ღარიბ გლეხურ მეურნეობათა კოლლექტივიზაციისათვის.

ჩვენი კრედიტების დანიშნულება

ჩვენი კრედიტი უმთავრესად საწარმოო ხასიათის არის, რომელიც ნაყოფიერს შედეგს გამოიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გრძელვადიანი იქნება. ბანკი ყოველთვის სცდილობდა შეემცირებია პროცენტი:. გასულ წლის იანვრიდან 12 პროც. ნაცვლად მოკლევადიან სესხზე დაწესდა 10 პროც., ხოლო გრძელვადიანზე—6 პროც.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ქვედა საკრედიტო ქსელის განხილვაზე და ამბობს, ამ სამი წლის განმავლობაში ქვედა ქსელი განმტკიცდა. მის მუშაობაში მთავარი ის არის, რომ მან გამოარკვია, რად და როგორ შეიძლება მიეცეს კრედიტი და რა ეფექტს გამოიღებს იგი. სასოფლო-სამეურნეო ქსელი აერთიანებს 140 ათასს მეურნეობას, ანუ მოსახლეობის 15.5 პროც. 1 მანეთ საპაიო თანხაზე მოდის 9,5 პროც. მან. ნასესხები თანხა, ასეთი შეფარდება არანორმალურია, რომელიც უნდა შეიცვალოს ისე, რომ გლეხი გახდეს სახელმწიფოს კრედიტორათ. ეს შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა საკრედიტო ამხანაგობებს მეტი საპაიო თანხა ექნებათ და უფრო ნაკლები სესხად მიღებული. ა.-კ. ბანკებს თვითეულ საკრედიტო ამხანაგობისათვის მიუციათ 22.984 მან. გრძელვადიანი სესხი, ხოლო საკრედიტო ამხანაგობებს გამოუყენებიათ 4.461 მან.—მხოლოდ ერთი მეხუთედი მიულია გლეხობას,

სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობა

ბევრი საკრედიტო ამხანაგობები ანგარიშს არ უწევენ სასოფლო მეურნეობის ინტერესებს. გლეხობას მეურნეობის აღსადგენად სესხი ეძლევა მცირე ვადით და არა სრულად. გლეხების მიერ ვადის გადაცილების მიზეზია ის, რომ გადახდის ვადა არ ეთანხმება თვით მეურნეობის წარმოებით პროცესს. საკრედიტო ამხანაგობათა სუსტი მხარეა აგრეთვე ის, რომ მათ არ მოეპოვებათ ანაბარები გლეხობიდან, მრავალი საკრედიტო ამხანაგობები დღემდე წამგებიანია, რაც მათი უმომჭირნეობით აიხსნება. საკრედიტო ამხანაგობების მუშაკებს ზომაზე მეტი ჯამაგირები აქვთ. საჭიროა გასავალი შეუფარდდეს შემოსავალს.

სოფლისათვის მანქანების მიწოდების საქმე საკრედიტო სისტემამ სავსებით შეასრულა „ზაკსელმაშის“ საშუალებით. მომავალში საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩვენი ქვეყნის პირობებისათვის შესაფერ მანქანების გამოწერას. გამონახულ უნდა იქნეს აგრეთვე თანხები ადგილებზე სარემონტო სახელსაწყოების მოსაწყობად.

სოფლის მეურნეობა და ფასების დაკლება

დასასრულ მომხსენებელი ეხება სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საკითხებს საერთოდ და ამბობს, რომ ფასების შემცირების საკითხში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების ზრდას.

ფასების შემცირება სამრეწველო საქონელზე შესაძლებელი გახდება მაშინ, თუ გაიაფდება ნედლეული, რომლის მიმწოდებელიც არის სასოფლო მეურნეობა. ნედლეულის გაიაფება კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იმატებს მოსავლიანობა, იმატებს სასოფლო-მეურნეობის ნაყოფიერება, რაც წარმოუდგენელია იმის გარეშე, თუ არ მოხდა ჩვენი მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მისი ტეხნიკური პირობების გაუმჯობესება. იმ ღონისძიებებს შორის, რომელიც საჭიროა ჩვენი სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გასადიდებლად, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მიწის ხელოვნურ განაყოფიერებას, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემამ თავის მუშაობა უნდა აწარმოოს ამ მიმართულებითაც, მან აუცილებლად უნდა გაადიდოს კრედიტები იმ ღონისძიებათა გასატარებლად, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის გადიდებას, რაც აუცილებლად გავლენას იქონიებს როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ისე სამრეწველო საგნების ფასების შემცირებაზე.

კამათი ამხ. ჩხენკელის მოხსენების გარშემო

იწყება კამათი ამხ. ჩხენკელის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ხანბუდაგოვმა, გაშიმ-ზადემ, საფრაზ-ბეკიანმა და ჩქარეულმა.

ამხ. ხანბუდაგოვი

ორატორი აღნიშნავს, რომ სესხის გადახდის ვადის ხანმოკლეობა აიხსნება საკრედიტო ამხანაგობაზე გადაცემული თანხების სიმცირით. ამხანაგობა, ცდილობს რა ყველა თავის წევრების საჭიროებათა დაკმაყოფილებას, ამოკლებს სესხის გადახდის ვადას. ეხება რა ამხ. ჩხენკელის მიერ აღნიშნულ დიდ ჯამაგირებს, რომელსაც მოანგარიშეები ღებულობენ, ამხ. ხანბუდაგოვი ამბობს, რომ ეს აიხსნება ადგილებზე კვალიფიციურ მოანგარიშის დიდი ნაკლებობით. ორატორი საჭიროდ სცნობს გამოკვლეული და აღრიცხული იქნეს გაცემული კრედიტების მოხმარების შედეგები.

ამხ. გაშიმ-ზადე. (ქალი;

ამხ. გაშიმ-ზადე საჭიროდ სცნობს გადიდებული იქნეს სესხის რაოდენობა და გაგრძელებულ იქნეს მათი გადახდის ვადა. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ გლეხურ კოლექტივებზე გადაცემული ტრაქტორები ჩვეულებრივ გამოსადეგია, რომელიმე ერთი მუშაობისათვის, მაგალითად, —ხვნის წარმოებისათვის. სათანადო ნაწილების უქონლობის გამო სხვა ხასიათის მუშაობის შესრულება ტრაქტორებს არ შეუძლიათ ორატორის აზრით, სამანქანო ამხანაგობათა მოწყობა ენერგიულად სწარმოებს, რაც ყრილობამ უნდა აღნიშნოს თავის რეზოლიუციაში.

ამხ. საფრაზბეკიანი

ორატორი ეხება საანაბარო ოპერაციების სისუსტეს და იძლევა კონკრეტულ ღონისძიებებს მათ გასაძლიერებლად. ორატორს არანორმალურად მიაჩნია აგრეთვე ის, რომ სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს სესხი ეძლევათ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, მაგალითად, მებამბეებს სესხს ღებულობენ საკრედიტო ამხანაგობებიდანაც და მებამბეობის კომიტეტიდანაც. საჭიროა ამ მოკლე ხანში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში მოხდეს ყველა იმ საშუალებათა კონცენტრაცია, რომელიც სასოფლო მეურნეობას ხმარდება სესხის სახით. შემდეგ ამხ. საფრაზბეკიანი საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს სათანადო ღონისძიებები, რომ სასოფლო მეურნეობაზე სესხად გაცემული თანხები ადგილობრივი რესპუბლიკანური ბანკებისაგან იცემოდეს ისეთ ვადებში, რომ შესაძლებელი გახდეს გეგმითი წესით მათი განაწილება ძირითად საკრედიტო ამხანაგობებს შორის. ეს ღონისძიება საჭიროა მისთვის, რომ გლეხმა შესძლოს მუშა საქონლის, ან სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ისეთ დროზე შეძენა, როცა მათი ყიდვა შესაძლებელია უფრო იაფ ფასებში. დასასრულ ორატორი მოითხოვს ამხანაგობებს მიენიჭოთ მათს განკარგულებაში მყოფ თანხების თავისუფალი გამოყენების და მოხმარების უფლება.

ამხ. ჩქარეული

ამხ. ჩქარეული (გლეხი დუშეთის მაზრიდან) საჭიროდ სთვლის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ამხანაგობათა მოწყობას ისეთ მიყრუებულ თემებში, როგორიც არის ყაზბეგის, კობის და სხვა თემები. იმის გამო, რომ გლეხებს საშუალება არა აქვთ მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, იძულებული ხდებიან სესხი აიღონ კულაკებიდან, რომელნიც განუზომელ სარგებელს იხდევინებიან.

ამხ. ჩქარეულის სიტყვით დამთავრდა 8 აპრილის დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

8 აპრილს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ჩხენკელის მოხსენების გარშემო.

ამხ გუსეინ ნაგიევი

(ჯებრაილის მაზრა, აზერბეიჯანი)

უსაყვედურებს მომხსენებელს, რომ სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემას ძლიერ ცოტა აქვს გაკეთებული მელიორაციის დარგში. აზერბეიჯანის სასოფლო - სამეურნეო ბანკს არა ყავს სამელიორაციო საქმის ინსტრუქტორები. ამის გამო სამელიორაციო ამხანაგობებს არავინ უწევს ცოცხალ ხელმძღვანელობას. ორატორს მიუღებლად მიაჩნია საპაიო გადასახადის გადიდება სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში ათ მანეთამდე. ეხება რა ამიერ-კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკის განყოფილებებს, ორატორს საჭიროდ მიაჩნია ასეთების გახსნა ისეთ მაზრებში, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცენტრებს წარმოადგენენ. ორატორს არ მიაჩნია საკმარისად სესხი 50 მანეთის რაოდენობით, რომელიც გლეხებს ეძლევა მუშა საქონლის (ცხენი, ხარი) სასყიდლად.

ამხ. მარკაროვი)

(მთიანი ყარაბახი)

აღნიშნავს, რომ საჭიროა საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის გადიდება. უნდა გადიდეს აგრეთვე ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკის განყოფილებათა რიცხვიც, რათა კრედიტი დაუახლოვდეს გლეხის მეურნეობას. ერთი განყოფილება შეიძლება დაარსებულ იქნეს რამოდენიმე მაზრისათვის. ორატორს მიზანშეუწონლად მიაჩნია საპაიო გადასახადის აწევა ათ მანეთამდე ყველა რაიონებში და მიუთითებს, რომ აზერბეიჯანში ზოგიერთ მაზრებს თავს დაატყდათ სტიქიური უბედურებანი. ეს მაზრები ვერ შესძლებენ გადიდებულ პაის გადახდას.

ორატორი მიუთითებს, რომ პროცენტი მოკლე და გრძელვადიანი სესხზე დიდია და მოითხოვს ამ პროცენტის შემცირებას აპარატის რაციონალიზაციისა და გაიაფების ხარჯზე.

ამხ. ბუნიატ-ზადე

(აზერბეიჯანის მიწად-მოქმ. სახ. კომისარი)

მიუთითებს, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის აპარატის გაიაფებას. სასოფლო-სამეურნეო კრედიტმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციაში და მთავარი ყურადღება მიაქციოს იმ ახალ კულტურათა განვითარებისათვის ხელის შეწყობას, რომელთაც შეუძლიათ მეტი სარგებლობა მისცენ ქვეყანას. თუ ირკვევა, რომ ესა თუ ის ძვირფასი კულტურა, მაგალითად, მეაბრეშუმეობა ეცემა, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მოვალეობაა დაეხმაროს ამ დარგს და ფეხზე დააყენოს.

თუ გასესხებული თანხები არ იქნება თავის დროზე აკრეფილი, დაირღვევა გეგმა კრედიტების გაცემის დარგში. ამის გამო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკრედიტო დისციპლინის განმტკიცებას. უნდა მოვახერხოთ ისე, რომ გაცემული სესხი თავის დროზე იქნეს მიღებული უკან. უნდა გამონახულ იქნეს საშუალებანი იმისათვის, რომ გადიდებულ იქნას როგორც ამიერ - კავკასიის, ისე რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების ძირითადი კაპიტალი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დაისვას საკითხი სესხის ვადის გაგრძელების შესახებ,რაც სასოფლო - სამეურნეო რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია.

ამხ. კალატოზოვი

(საქ. სახ.-სამ. ბანკი)

სასოფლო - სამეურნეო ბანკების საშუალებები გაძლიერებული უნდა იქნეს იმისათვის, რომ გლეხებმა შემოიტანონ ბანკში ანაბარები. საჭიროა პროცენტების გადიდება. ის ამხანაგები, რომლებიც საპაიო თანხების გადიდების წინააღმდეგი არიან, ივიწყებენ, რომ უღარიბეს გლეხებს ეძლევათ სათანადო შეღავათები. მათ შეუძლიათ ნაწილ - ნაწილად გადაიხადონ საპაიო თანხა. ყრილობამ უნდა განსაზღვროს რა რაოდენობამდე შეიძლება საპაიო გადასახადის გადიდება. საკრედიტო დისციპლინის განმტკიცება ზოგჯერ ვერ სწარმოებს სავსებით სწორათ. ამიერ-კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკი ხშირად იმ დროს აძლევს კრედიტს რესპუბლიკანურ ბანკებს, როდესაც უკანასკნელნი ვალდებულნი არიან დაფარონ თამასუქები. ამით სარგებლობს ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკი და კრედიტიდან უქვერს რესპუბლიკანურ ბანკებს თამასუქებით ნასესხებ თანხებს.

ამხ. ტატიანი

(სომხეთი)

უღარიბეს გლეხობისათვის გადადებული ფონდი არ არის საკმარისი. სომხეთში უღარიბეს გლეხთათვის კრედიტის მისაწოდებლად გადადებულია სულ 104.000 მანეთი. იქ კი 70 ათასი ისეთი მეურნეობაა, რომელსაც არა აქვს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და არ ყავს მუშა საქონელი. უნდა გაგრძელდეს კრედიტების ვადა უღარიბეს გლეხთათვის და შემცირდეს პროცენტი.

ამხ. ჩხენკელის საბოლოო სიტყვა

თავის საბლოო სიტყვაში ამხ. ჩხენკელი უპასუხებს კამათში გამოსულ ამხანაგს მარკაროვს და აღნიშნავს, რომ საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის გაფართოება არ არის საჭირო. საჭიროა მთელი ყურადღება მიექცეს იმას, რომ ამხანაგობებში მეტი მოსახლეობა ჩავაბათ კოოპერატიულად, გავამხნევოთ ეს ამხანაგობანი.

სასოფლო - სამეურნეო ბანკების ახალ განყოფილებათა შექმნა მიზანშეუწონელია. განყოფილებები კი არ უახლოვებენ კრედიტებს გლეხობას, არამედ უფრო აშორებენ მას, კი არ აიაფებენ. არამედ აძვირებენ. ჩვენში ისეთი არანორმალური მდგომარეობაა, რომ ერთსა და იმავე ქალაქში არსებობს განყოფილებაც და საკრედიტო ამხანაგობაც. მაგალითად, განჯაში და ქუთაისში. ეს აშკარად საქმის არარაციონალურად დაყენებაა. ან ერთი უნდა დარჩეს ან მეორე. ჩემის აზრით — ლაპარაკობს ამხ. ჩხენკელი —უნდა დარჩეს საკრედიტო ამხანაგობა, მაგრამ გამხსვილებული იქნეს ის.თუ განყოფილებას შეუძლია ბანკის დავალებების შესრულება, რატომ არ შეუძლია ეს საკრედიტო ამხანაგობას? საკრედიტო ამხანაგობას უნდა მიენიჭოს ის ფუნქციები, რომელიც აქვს განყოფილებას, სახელდობრ: მახლობელ საკრედიტო ამხანაგობებიდან თანხების შეგროვება და გადაცემა. ეს შეამცირებს ხარჯებს და დიდათ გაამარტივებს აპარატს. განყოფილებათა ქსელი უნდა გადაისინჯოს და შემოკლებულ უნდა იქნენ ის განყოფილებები, რომელთა არსებობა ზედმეტია.

საკრედიტო ამხანაგობათა თანხების გადიდების საკითხში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კაპიტალების გაძლიერებას ადგილობრივ საშუალებებიდან. ამავე დროს ჩვენ, რასაკვირველია, არ უნდა დავკარგოთ იმის იმედი, რომ მოგვეცემა ასიგნობები სახელმწიფო საშუალებებიდან. საპაიო კაპიტალი უსათუოდ უნდა გადიდებულ იქნეს საწევრო გადასახადების რაოდენობის მომატების გზით. ამხანაგობათა ნამდვილ წევრებს სესხების მიღების მხრივ უნდა მიეცეს ერთგვარი უპირატესობა იმათთან შედარებით, ვინც ეხლა ეწერება წევრად და შემოაქვს პირველი საწევრო გადასახადი. ჩვენში კი ისეთ შემთხვევებსაც აქვს ადგილი, რომ კაცი, რომელსაც არაფერი არ შეუტანია, სარგებლობს საკრედიტო ამხანაგობით სავსებით.

ამხ. ჩხენკელი უარყოფს ამხ. კალატოზოვის მტკიცებას, რომ ამიერ - კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი შემცდარათ უდგება საკრედიტო დისციპლინის განმტკიცებას, და ამბობს, რომ ბუნიატ - ზადე სავსებით სწორად მიუდგა ამ საკითხს. თუ არ იქნა საკრედიტო დისციპლინა, ზედმეტია ლაპარაკი საკრედიტო ამხანაგობათა გაუმჯობესებისა და განვითარების შესახებ. პროცენტულ განაკვეთების შემცირების საკითხი დღის წესრიგში სდგას. შესაძლებელია საჭირო იქნეს მათი შემცირება სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის სხვადასხვა ზედმეტ საფეხურების ხარჯზე.

ღარიბ გლეხობისათვის კრედიტების მიწოდების სპეციალური ფონდი, რასაკვირველია, არ არის საკმაო, მაგრამ ჯერ - ჯერობით მეტის მიღება სახელმწიფოდან შეუძლებელია. თუ სასოფლო - სამეურნეო ბანკები, საკრედიტო ამხანაგობანი, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია გადარიცხავენ მასში თავის მოგებათა განსაზღვრულ ნაწილს, ამ წლის ბოლომდე ეს ფონდი დაახლოვებით მილიონნახევარ მანეთამდე გაიზრდება. ეს უსათუოდ ერთგვარი დახმარება იქნება ღარიბ გლეხობისათვის, ერთგვარ საშუალებას მოგვცემს მისი დარაზმვისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემაში იმ საშუალებების დაგროვებას, რომლებიც ამჟამად ტრიალებენ სასოფლო მეურნეობაში სხვა და სხვა ხაზით.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. ჩხენკელი ხაზს უსვამს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის როლს ტეხნიკურ კულტურების განვითარებაში. მოხსენების გამო არჩეულ იქნა კომისია 28 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ მოხსენებით ამიერ - კავკასიის 1926—27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გამოდის ამხ. ჰუსეინოვი.

ამიერ-კავკასიის 26—27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

ამხ. გუსეინოვის მოხსენება

თავის მოხსენებას ამხ. ჰუსეინოვი ასაბუთებს მრავალი ცხრილებითა და დიაგრამებით.

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტი,— ამბობს ის, — შეუჩერებლივ იზრდება. წელს ის აღწევს 85 მილ. მანეთამდე, ე. ი. დაახლოვებით 3-ნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1923 — 24 წლის ბიუჯეტი. 1924 — 25 წლამდე, ჩათვლით, ჩვენი ბიუჯეტი იყო უმთავრესად მომხმარებელი. მხოლოდ 1925 — 26 წელში პირველად ექცევა მეტი ყურადღება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. 1925 — 26 წ. ბიუჯეტის თითქმის 13 პროც. იხარჯება წარმოებაზე, მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის ხვედრითი წონა ბიუჯეტში იზრდება ერთი ორად შარშანდელთან შედარებით, ხოლო 1924—25 წელთან შედარებით — თითქმის 12-ჯერ. ბიუჯეტის ასეთი აგებულება ნაკარნახევია ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგით, რომელიც შარშან იქნა წამოყენებული. თუ ავიღებთ ყველა ხარჯებს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობაზე. არა მარტო ამიერ - კავკასიის, არამედ საკავშირო ბიუჯეტიდანაც, და თუ ამ ხარჯებიდან გამოვაკლებთ აზნავთს და მარგანეცს, მაშინ სახალხო მეურნეობის შიგნით ეს ხარჯი ნაწილდება შემდეგნაირად: პირველ რიგში მიდის მრეწველობა, შემდეგ მას მისდევს სასოფლო მეურნეობა, ელექტროფიკაცია, სახელმწიფო ვაჭრობა. 4 წელში ხარჯები სასოფლო მეურნეობასა და ირრიგაციაზე გაიზარდა 11-ჯერ, ხოლო მრეწველობაზე (ელექტროფიკაციანად)—36 ჯერ.

უფრო მეტ ყურადღებას უქცევთ სასოფლო მეურნეობას, რადგან ამიერ - კავკასიის პირობებში სასოფლო მეურნეობა მჭიდროთ არის დაკავშირებული მრეწველობის განვითარებასთან, როგორც მისი ნედლეულის წყარო. აი ამ მოსაზრებით შემდეგშიც უფრო და უფრო მეტ ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ სასოფლო-მეურნეობას.

სასოფლო მეურნეობაზე წარმოებულ ხარჯებს შორის დიდი ადგილი უჭირავთ ირრიგაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც მიმდინარე წელს აღის 8.600.000 მანეთამდე.

მრეწველობასთან დაკავშირებული ხარჯები მეტ წილად მიდის მრეწველობის ახალი კერების — ახალი ფაბრიკა - ქარხნების შექმნაზე.

შემდეგ მიდის ხარჯი ელექტროფიკაციაზე, რომელთანაც მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი მრეწველობის განვითარება.

სახალხო მეურნეობაზე გაწეულ დანარჩენ ხარჯებიდან უნდა აღინიშნოს ჩვენს კურორტებთან დაკავშირებული ხარჯები. მიმდინარე წელს ამიერ - კავკასიის კურორტები პირველად ილებენ დიდ დოტაციას, 1.070.000 მანეთის რაოდენობით.

შემდეგ ამხ. ჰუსეინოვი გადადის სახალხო კომისარიატთან დაკავშირებულ ხარჯებზე და აღნიშნავს, რომ აღებული იყო კურსი ამ ხარჯების მაქსიმალურად შემცირებაზე. შარშან ხარჯები სახალხო კომისარიატზე შერგვალებული ციფრებით შეადგენდა 30 მილიონ მანეთს, წელს ის აღის 34 მილ. მანეთამდე. ძირითადათ ამ ჯგუფიდან უნდა გამოიყოს ორი ხარჯი: სამუშაო ხელფასი და სხვა ხარჯები. სამუშაო ხელფასს მუდმივ უჭირავს უპირატესი ადგილი, ე. ი. შეადგენს ნახევარზე მეტს სახალხო კომისარიატების ჯგუფზე გაწეულ ხარჯებისას. 1924-25 წელში ის შეადგენდა 52,2 პროც.-ს, 1925-26 წ. —56,5 პროც.-ს, წელს — 53,5 პროც-ს; რაც იძლევა დაკლებას 3 პროც-ით, შარშანდელთან შედარებით. მოსამსახურეთა რიცხვი უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში 18.664 გაიზარდა 23.500-დე. 1924-25 წ. სამუშაო ხელფასზე წავიდა 11 ნახევ. მილ. მანეთი, ხოლო წელს — 19 მილ. მანეთი. სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების შემცირებამ საშუალება მოგვცა შეგვემცირებია ეს ხარჯები მხოლოდ 600.000 მანეთით. წლევანდელი ცნობებით, უკრაინაში ერთ სახელმწიფო მოსამსახურეზე მოდის 574 მოქალაქე, რ. ს. ფ. ს. რ.-ში—362 ამიერ - კავკასიაში—250. ამნაირად, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, ჩვენ გვაქვს ყველაზე დიდი აპარატი. ხოლო თუ ავიღებთ არა მარტო სახელმწიფო, არამედ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მოსამსახურეებსაც, მაშინ აღმოჩნდება, რომ 1926—27 წელში ამიერ - კავკასიაში თვითეულ მოსამსახურეზე მოდის 75 მცხოვრები. საჭიროა მივიღოთ ყოველივე ზომა, რომ შემდეგში აპარატის ამ გაბერვამ ხელი არ შეუშალოს ჩვენს განვითარებას.

სახალხო კომისარიატებზე წარმოებულ ხარჯებიდან უდიდესი წილი მოდის განათლების სახალხო კომისარიატზე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატზე და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატზე. 1924-25 წელთან შედარებით, ხარჯები გაიზარდა განათლების სახალხო კომისარიატზე — 60 პროც-ით, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატზე — 99 პროც-ით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატზე — თითქმის 90 პროც-ით. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხაზით, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტიდან, 1924-25 წელში თვითეულ მოსახლეზე დახარჯულა 1 მან. 45 კაპ., ხოლო წელს — 2 მან. 17 კაპ., განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით იმავე შეფარდებით 3 მან. 83 კაპ. და 6 მან. 29 კაპ., მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხაზით — 1 მან. 46 კაპ. და 3 მან. 13 კაპ.

თუ ავიღებთ ამიერ-კავკასიის ერთ სულ მოსახლეზე გაწეულ ხარჯს და შევადარებთ მას დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკების მიერ ერთ სულ მოსახლეზე გაწეულ ხარჯთან, მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს: უკრაინაში თვითეულ მოსახლეზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1926_27 წ. მოდის 8 მან. 48 კაპ.; რ. ს. ფ. ს: რ: 8 მან: 59 კაპ:; ბელორუსიაში 11 მან., უზბეგისტანში 12 მან. 10 კაპ.; ამიერ - კავკასიაში 14 მან. 69 კაპ., თურქმენისტანში 18 მან. 37 კაპ. მხარის ჩამორჩენილობასთან პროპორციონალურად იზრდება ხარჯი თვითეულ სულ მოსახლეზე. ეს ახასიათებს ჩვენს საბჭოთა პოლიტიკას, ბურჟუაზიულ ქვეყნების პოლიტიკისაგან განსხვავებით, სადაც, პირიქით, მეტი ხარჯი მიდის ყველაზე კულტურულ და მდიდარ რაიონებზე.

გადადის რა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დახასიათებაზე, მომხსენებელი ადასტურებს, რომ უკანასკნელ 3 წელში დიდი მიღწევები გვაქვს არასაგადასახადო შემოსავლის პროცენტის გაადიდების დარგში. 1924-25 წელში არა საგადასახადო შემოსავალი ყველა დანარჩენ შემოსავალს შორის შეადგენს 20 პროცენტს, 1926—27 წელში ის შეადგენს 53 პროც. ეს არის ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთი უდიდესი მიღწევათაგანი. არასაგადასახადო შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება სხვა სახის შემოსავალიც. საშემოსავლო გადასახადი, შარშანდელთან შედარებით, გაიზარდა ერთი ორად, სარეწაო გადასახადი—თითქმის 90 პროცენტით. საგულისხმოა ის, რომ ჩვენი მრეწველობის ანარიცხი ბიუჯეტში არა თუ არ იზრდება, არამედ მცირდება კიდეც, შარშანდელთან შედარებით. შარშან ის შეადგენდა 1.380000 მანეთს, ხოლო წელს—1.250.000 მან. ეს მოწმობს იმას, რომ სახელმწიფო ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას ატარებს ყველა ხაზით. ერთი მხრივ ათობით მილიონი მანეთი იცემა მრეწველობაზე, მეორე მხრივ—თვით მრეწველობის მოგების უდიდესი ნაწილი უბრუნდება მასვე—განვითარებისათვის.

ამხ. ჰუსეინოვი გამოსთქვამს იმედს, რომ თუ არა მერმის, ყოველ შემთხვევაში ერთი წლის შემდეგ მაინც ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი გადაიქცევა უდეფიციტო ბიუჯეტად.

შეეხო რა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, ამხ. ჰუსეინოვი აღნიშნავს, რომ 1-ლ აპრილამდე აკრეფილია საბიუჯეტო დავალების 87 პროც. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩვენ სრულად უნდა ავკრიფოთ. მომავალ წლისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის სისტემა რჩება იგივე, მხოლოდ რამოდენიმედ გაუმჯობესებული და გამარტივებული სახით. განზრახულია გადასახადის აღრიცხვა გადაეცეთ სასოფლო საბჭოებს, ხოლო ფინსახკომის აპარატი დაეხმარება მათ მძიმე შემთხვევებში. ყველა ჩვენმა სამაზრო ორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე, განსაკუთრებით აღრიცხვას.

გადადის რა ბიუჯეტის ბალანსზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის დეფიციტიანობა თანდათან მცირდება, მაგრამ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი მაინც დეფიციტიანი რჩება. შარშან დეფიციტი უდრიდა 46,8 პროცენტს, წელს ის დავიდა 14,6 პროცენტამდე.

ჩვენი სინამდვილის პირობებში,—ამბობს ამხ. ჰუსეინოვი,—საკითხი დეფიციტის შესახებ წარმოადგენს არა მარტო შემოსავლის გაფართოვების საკითხს, არამედ დამოკიდებულია იმისგანაც, თუ რა შემოსავალი რჩება მოკავშირე რესპუბლკას, და რა შემოსავალი რჩება კავშირს. ამჟამად საკავშირო ორგანოების წინაშე სდგას საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებების გადახედვის შესახებ და ჩვენ, ყოველ პირობის გარეშე, სათანადო მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ საკითხის გადაჭრაში იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენში არსებული საბიუჯეტო უფლებები საკმაოდ არ უზრუნველგვყოფენ ჩვენ.

თავის მოხსენების დასასრულ ამხ. ჰუსეინოვი მოკლედ ჩერდება ადგილობრივ ბიუჯეტზე. 1924—25 წელში სახელმწიფოს დახმარება ადგილობრივ ბიუჯეტებისადმი გაიზარდა თითქმის 93 პროცენტით. ადგილობრივი ბიუჯეტი იზრდება, ფართოვდება მისი საშემოსავლო ბაზა. საჭიროა ამ ტენდენციის გაძლიერება, იმ პირობების გაძლიერება, რომლებიც ზრდიან შემოსავალს და ადგილობრივ ბიუჯეტს. საწარმოო-სამეურნეო ხარჯები ადგილობრივ ბიუჯეტებში უკანასკნელ სამ წელში გაიზარდა თითქმის 36 პროცენტით. საჭიროა ამ ტენდენციის განვითარება, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილობრივ ბიუჯეტს შეუქმნათ მტკიცე ბაზა.

აი როგორ ატარებენ დირექტივებს

ძველად სპარსეთში არსებობდენ მოხელეები, ფორმალურად დამოკიდებულნი, არსებითად ისინი იქცეოდენ ისე, როგორც სურდათ. კანონიც თვითონ იყვენ და სამართალიც. როგორც მათ „სინდისი“ გაუჩრიდათ, ისე გადაწყვეტდენ საქმეს.

აი ვის ჰქონდა სრული თავისუფლება! არც დირექტივა, არც სავალდებულო კანონი, არც ცირკულიარი, არც დეკრეტი ,არც ვინმეს დადგენილება, არც პასუხისმგებლობა, არც სხდომა, არც კრება, არც თათბირი, არც კონფერენცია, არც ყრილობა, არც მოხსენების გაკეთება, არც მისი მოსმენა, არც კამათში გამოსვლა, არც რეპლიკების მიცემა, არც შეკითხვებზე პასუხის გაცემა, არც გაზეთი, არც პროფესიონალური კავშირი, არც პარტია. რაც მოუვიდოდა თავში, ის იყო მისი დეკრეტი, დადგენილება, დირექტივაც.

იტყვით, რომ ასეთი თავისუფლება ცუდ შედეგებს მოიტანს და შემთხვევით თავში მოსულ აზრით საკითხის გადაჭრა არ იქნება სწორი, ხანდახან, თუ ხშირათ არა, სისულელესაც ექნება ადგილიო.

პირიქით, როცა თავი ყოველმხრივად „თავისუფალი“ არის, როცა ის მჩატედ არის დატვირთული და მას არ აწუხებენ არც დადგენილებები და არც დირექტივები—ადგილი ექნება „სპეტაკ“, აზროვნებას, „ჯანსაღათ“ საკითხებისადმი მიდგომას. ამგვარად განტვირთული ადამიანი „საუკეთესო“ მოაზროვნეთ ჩაითვლება.

ყოველგვარი მისი სიტყვა და წინადადება „ძვირფასი“ იქნება.

რა საჭიროა ცოდნა, რა საჭიროა საქმის შესწავლა, რა საჭიროა საკითხების გადაჭრაში რაიმე საბუთებზე დაყრდნობა! ეს ხომ დროს წაგვართმევს, ტვინს დაღლის და საღ აზროვნებას უნარს დაუკარგავს. ამის მაგივრად—„ზეპირად“ აზროვნება, „ზეპირად“ საკითხებისადმი მიდგომა, „ზეპირად“ გადაჭრა.

მხოლოდ „ბიუროკრატისათვის“ არის საჭირო საკითხების გადაჭრის დროს დირექტივების მოძებნა, დადგენილებების გადახედვა და მათზე დაყრდნობა. მხოლოდ „ბიუროკრატი“ ეძებს სადრა სწერია და რომელ საკითხზე როგორი დირექტივა არის...

ჩვენი მიზანი და მისწრაფება უნდა იყოს თავის განტვირთვაზე და ზეპირ აზროვნებაზე გადასვლა. თუ ამჟამად ამას ვერ მოვახერხებთ, უნდა ვეცადოთ მაინც. ეს ძლიერ „ძნელი“ საქმეა, მაგრამ ყოველ საქმეში შეიძლება გამოჩნდენ მოწინავენი. ამ დარგშიაც გვყავს უკვე დაწინაურებულნი. მათ ცდებს ყველა უნდა გაეცნოს.

მშვენივრად ზის ასეთი პირი სადმე საბჭოთა ორგანოში, მისთვის არ არსებობს არავითარი დირექტივა. მის გარშემო რაც ხდება ეს მას არ ეხება. ის აკეთებს თავის საქმეს, მაგრამ კარგად აკეთებს თუ გლახად—ამაზე ფიქრი მის აზროვნებას დატვირთავდა და სისადეს დაუკარგავდა.

მაგალითად არსებობს დირექტივები მუშათა გამოგონებების წახალისების შესახებ. პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოების მთელი რიგი დადგენილებები აღნიშნავენ გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა მატერიალური წახალისების დიდ მნიშვნელობას. წარმოების რაციონალიზაციის საქმეში მუშათა გამოგონებებს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს. თითქმის ყოველწლიურად საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო განმეორებით სცემს ამ დირექტივებს. გამოცემული იყო 24 წ.; 25 წ.; 26 წ. და მიმდ. წელშიაც. არის დადგენილება წარმოებებთან წახალისების სპეციალური ფონდების შექმნის შესახებ. არსებულ დირექტივების მიხედვით გამომგონნი უნდა იქნენ დაჯილდოებული მატერიალურად.დიდი ყურადღებით უნდა იქნენ მიღებული ახალი ტეხნიკური იდეები, მუშა-მოსამსახურის ორიგინალური და ყველა ის კონკრეტულად დამუშავებული წინადადებანი, რომელნიც იძლევიან ნაყოფიერების გადიდებას, ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებას, ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის პირობების შემსუბუქებას და მუშაობის მავნებლობის შემცირებას.

როგორ იყენებენ მუშათა გამოგონებების და საქმიან წინადადებების წახალისების დარგში არსებულ დირექტივებს იქ, სადაც, როგორც ზემოთ ვთქვით თავის „განტვირთვის“ გზას დაადგენ? რა საჭიროა მათთვის დირექტივა! ისინი უდირექტივოდაც გამოიგონებენ, თუ როგორ უნდა მოექცენ მუშის გამოგონებას და საქმიან წინადადებას.

აი ამისი საუკეთესო მაგალითებიც.

თბილისის ერთ ტრესტის წარმოებაში მუშის წინადადების გატარებით მიღებული იყო სარგებლობა 2.894 მანეთის რაოდენობით. მატერიალურად დაჯილდოების მაგივრად ტრესტის მმართველის ხელისმოწერით ა.-წ. 8 თებერვალს შემდეგი ბრძანება იყო გამოცემული: ამხ...ს იმ რჩევისათვის, რომლითაც მან სარგებლობა მოუტანა ტრესტს, გამოეცხადოს მადლობა, ხოლო ჯილდოზე კი უარი ეთქვას, ვინაიდან თვითეული მუშაკი თავის მოვალეობის პირნათლად ასრულების დროს ვალდებულია შეუწყოს ხელი წარმოების აწევას თავისი საქმიანი თანამშრომლობით“.

რა ძვირფასი მოტივი არის! თვითეული შეგნებული მუშაკი მოვალეა...,ამიტომ როგორ შეიძლება ჯილდოზე ლაპარაკი!

რატომ აქამდე ვერ გამოვიყენეთ ეს მშვენიერი მოსაზრება? თუ ხარ შეგნებული მუშაკი უარი თქვი ყოველგვარ ჯილდოზე, უარი სთქვი ხელფასის მიღებაზეც, უარი სთქვი ჭამა-სმაზეც და ჩაცმაზეც..

„ლოღიკურად“ რომ ვიმსჯელოთ შეგვიძლია მივიდეთ შემდეგ „შესანიშნავ“ დასკვნამდე. საბჭოთა რესპუბლიკებში ვინაიდან ხელისუფლება მუშათა კლასის ხელშია და მუშა-მოსამსახურე ვალდებულია შეგნებულად და პირნათლად ემსახუროს თავისივე საქმეს ,მას შრომის ხელფასი არ უნდა ეძლეოდეს. ხელფასის მომატებაზე ხომ ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. შეგნებული მუშები და მისი ორგანიზაცია—პროფკავშირები, ხელფასის მომატებას არ უნდა თხოულობდენ, ეს ხომ შეუგნებლობა იქნებოდა!

აი საუკეთესო მაგალითი დირექტივების „პირნათლად“ შესრულებისა. „განტვირთული“ თავის ზეპირი აზროვნება იძლევა ასეთ „საღ“ შედეგებს.

მეორე მაგალითი: თბილისში ერთ უწყებაში გამოგონებული იყო ავტომატი, რომელიც ერთ საქმეს აადვილებდა. როგორც კავშირი გადმოგვცემს ეს გამოგონება გამოყენებული იყო ამიერ-კავკასიის გარეშე. გამოგონების შესახებ ცნობები დაბეჭდილი იყო მოსკოვის ჟურნალებში.

როცა უწყების ხელმძღვანელს მიმართეს, რომ საჭიროა გამომგონებელის დაჯილდოებაო, მან შემდეგი აზრი წარმოსთქვა. „მიეცეს ჯილდო ზედმეტ საათებში მუშაობის ანგარიშით, თუ მას მოუხდა ზედმეტი მუშაობა, მაგრამ ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ გამოგონება მოხდებოდა ნორმალურ სამუშაო საათებში და ამიტომ არავითარი ჯილდოს მიცემა საჭირო არ არის“-ო.

არა მარტო „ზეპირი“, არამედ უაღრესად „ღრმა აზრი“ არის წარმოთქმული. მართლაც მუშას თუ გამოგონების აზრი დაებადება ნორმალურ საათებში მუშაობის დროს, რატომ უნდა მიეცეს ამისათვის განსაკუთრებული ჯილდო?

სულ შეცდომა ყოფილა გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა მატერიალური წახალისების შესახებ გამოცემული დირექტივები და დადგენილებები.

ზევით მოყვანილ უწყების ხელმძღვანელი ამ „ორიგინალურ“ და „ფრიად სწორ“ აზრისათვის „დაჯილდოების“ ღირსია, თუ მატერიალურად არა, სხვა რამეთი, მაგალითად—**უვადო თავისუფლების** მიცემით. მაგრამ ეს მისი ღირსშესანიშნავი წინადადება არ შეიძლება დაჯილდოვდეს თანახმად მისი „რეცეპტისა“, რადგანაც ავტორს ეს „აზრი“ თავში მოუვიდა მუშაობის ნორმალურ საათებში.

არა მარტო სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს სჩვევიათ ასეთი „საღი“ მოსაზრების წარმოთქმა. პროფესიონალური კავშირის მუშაკებშიაც შეიძლება გამოვსძებნოთ ასეთები. აზრის მხატვრულობით ზოგიერთი მათგანი სამეურნეო მუშაკებზე ზევით სდგანან. ან და რა ქნან?. ძლიერ ძნელია ყველა დირექტივების ცოდნა და ისე მუშაობის წარმოება.

— რატომ არ თხოულობთ, რომ მუშებს მიეცეთ ჯილდო საქმიანი წინადადებებისათვის და გამოგონებებისათვის?—შეეკითხენ ერთ პროფმუშაკს.

— ხომ ყველა გამომგონებელი გახდება!— იყო მისი პასუხი.

მართლაც ძლიერ „სწორი“ აზრია. ერს მისცემენ ჯილდოს, მეორეც მოინდომებს და ასე თვითეული ეცდება რამე გამოიგონოს ან რამე საქმიანი წინადადება შემოიტანოს. ეს მოვლენა მასიურ ხასიათს მიიღებს, მაშინ „დავიღუპებით“, წარმოება გაუმჯობესდება.

ეს პროფმუშაკებიც უნდა იქნეს დაჯილდოებული ამ ორიგინალური აზრისათვის, მაგრამ მისივე შეხედულებით დაჯილდოება გამოიწვევს სხვებშიაც ამგვარი აზრების წამოყენების სურვილს. ამიტომ უმჯობესია მატერიალური დაჯილდოების მაგივრად...

ამნაირად ყველაფერი „ზეპირად“, ძირს აზრის შემშლელი დირექტივები და დადგენილებები!

[illegible] გოდაბრელიძე.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმპერიალისტების პროვოკაცია პეკინში

თავდასხმა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებზე პეკინში მოხდა დიპ. კორპუსის დასტურით

კიდევ თავდასხმა საბჭ. თანამშრომლების ბინებზე და სავაჭრო წარმომადგენლობაზე

საბჭოთა საელჩოს პროტესტი პეკინის მთავრობას.--პეკინის მთავრობის პასუხი

საბჭოთა საკონსულო შანხაიში ალყა-შემორტყმულია.-საბჭ. კონსულის პროტესტი

საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის ნოტა ჩინეთის მთავრობას

პეკინი, 7 აპრილი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობამ პეკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„6 აპრილს, დილის 11 საათზე, პოლიციის და ჯარისკაცების შეიარაღებული რაზმი ძალით შეიჭრა საელჩოს მიდამოებში და დაიკავა მათი დასავლეთის ნაწილი, აგრეთვე სამხედრო ატაშეს ბინა და მოსამსახურეთა შენობა. შეჭრილმა ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა დააპატიმრეს საელჩოს მოსამსახურეები და ჩინელები, რომლებიც საელჩოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ; ზოგიერთ დაპატიმრებულებს უხეშად მოექცენ, უმოწყალოდ სცემეს. შეჭრილმა ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა გაჩხრიკეს და გაძარცვეს კერძო სახლებიც, რომლებიც საელჩოს ტერიტორიის ამ ნაწილზე მდებარეობენ. მათ გაჩხრიკეს და დაარბიეს სამხედრო ატაშეს შენობა. განსკუთრებული ყურადღება მიაქციეს ბიბლიოთეკას და კლუბს. ეს შენობები სავსებით დაარბიეს და ბიბლიოთეკა გაიტაცეს. ქალებს და ბავშვებს, რომლებსაც კი წააწყდნენ გაჩხრეკის დროს, შეურაცყოფა მიაყენეს, მათ წაართვეს ფულები, დააპატიმრეს და მხოლოდ საღამოს 7 საათზე გაანთავისუფლეს. არავინ საბჭოთა საელჩოს ტერიტორიის მეორე ნაწილიდან არ გაატარეს, სადაც ძალადობის და ძარცვის სცენებს ჰქონდა ადგილი. თვით საელჩოს საპასუხისმგებლო თანამდებობის პირებიც, როცა მათ სცადეს კავშირი დაეჭირათ შემოჭრილ ჯარების უფროსთან, უხეშად გააბრუნა უკანვე პოლიციამ. თავდამსხმელებს დღემდე უჭირავთ შენობები, რის გამო საელჩოს მოსამსახურეები, უბინაოდ არიან დარჩენილი. შეურაცყოფას, რომელიც მიაყენეს საბჭოთა საელჩოს ექსტერიტორიალობის უფლებებს, იმდენად დაუშვებელი და გაუგონარი ხასიათი აქვს, რომ საბჭოთა საელჩომ, გარდა უაღრესად ენერგიული პროტესტის განცხადებისა, უკვე აცნობა ამ შემთხვევის შესახებ თავის მთავრობას და ის ელოდება უკანასკნელის გადაწყვეტილებას შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად". (ადს).

ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის პასუხი

პეკინი, 7 აპრილი. ღამის 1 ს. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა პეკინში მიიღო შემდეგი ნოტა პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან:

„სამინისტრომ, პოლიციის უფროსისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ პოლიცია ხშირათ ღებულობდა ცნობებს შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის და ყოფილ რუსეთის ყაზარმებში გომინდანის წევრების დამალვის შესახებ.

შორეულ-აღმოსავლეთის ბანკში და სხვა შენობებში კომპარტიის წევრებს ეძლეოდათ საშუალება კრებების მოწვევის და არალეგალურ საქმიანობის წარმოების. ამით იქმნებოდა საფრთხე სახელმწიფოს მომავალი არსებობისათვის.

მიიღო რა, ეს გარემოება მხედველობაში, პოლიციის უფროსმა თავის წერილში, ხაზი გაუსვა უაღრესი ენერგიული მოლაპარაკების გამართვის საჭიროებას. იმ დროს, როდესაც ეს საკითხი ჯერ კიდევ მსჯელობის სტადიაში იმყოფებოდა, პოლიციის უფროსისაგან მიღებულ იქნა მეორე წერილი, რომელშიაც იგი იტყობინებოდა, მთავარი შტაბიდან ბრძანების მიღების შესახებ—გაეგზავნა პოლიციელები შორეულ-აღმოსავლეთის ბანკში და ყოფ. რუსეთის ყაზარმებში ჩხრეკის მოსახდენათ. ჩხრეკის შედეგათ დაპატიმრებულ იქნა გომინდანის რამოდენიმე გამოჩენილი წევრი, ნაპოვნია იარაღი, დროშები, ლიტერატურა და სხვა დამადასტურებელი საბუთები იმისა, რომ მათ განზრახვა ჰქონდათ გამოეწვიათ არეულობა.

შორეულ აღმოსავლეთის ბანკი და ყოფ. რუსეთის ყაზარმები იმყოფება საბჭოთა წარმომადგენლობის უშუალო განკარგულების ქვეშ და ამ დროს მათ საშუალება მისცეს აღნიშნულ პარტიების წევრებს მოეწყოთ თავიანთი ორგანიზაციები, არეულობის მოხდენის მიზნით.

იტოვებს რა თავის თავზე უფლებას შემდეგი მოქმედებისათვის—საგარეო საქმეთა სამინისტრო საჭიროთ სთვლის განაცხადოს ენერგიული პროტესტი.

ჩინელ თეთრგვარდიელები; თავდასხმა

თავდასხმა საბჭოთა კავშირის საელჩოს სამხედრო ქალაქზე.—ჩხრეკა შორეულ აღმოსავლეთის ბანკში და სავაჭრო წარმომადგენლობაში

პეკინი, 7აპრილი. 6 აპრილს დილის 11 საათზე მუკდენის ჯარისკაცებმა, პოლიციამ და საიდუმლო პოლიციის აგენტებმა, რიცხვით დაახლოვებით ხუთასმა კაცმა, გასტეხა გალავანი და ძალით შეიჭრა საბჭოთა საელჩოს ე. წ. სამხედრო უბანში. ჯარის კაცებმა ყოველმხრიდან ალყა შემოარტყეს უბანს. მოსწყვიტეს ის ქალაქის დანარჩენ ნაწილს, დააპატიმრეს დაახლოვებით 70-მდე ჩინელი, მათ შორის ცნობილი ჩინელი პროფესორი ლი-ტაი-ჩაო, სტუდენტი ქალები, ბავშვები და საელჩოს ყველა მომუშავეები. რუსები, რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ დაპატიმრებულ იქნენ, მათ შორის სამხედრო ატაშეს მცველები და მოსამსახურეები. დაპატიმრებულ რუსების საერთო რიცხვი 22 კაცს უდრის. დაპატიმრებულებს ძალიან უხეშად ეპყრობოდენ. ზოგიერთს სცემდენ. თავდასხმის დროს რუსების მეტი ნაწილი საელჩოში მუშაობდა და ამიტომ ისინი გადაურჩენ დაპატიმრებას. სამხედრო უბნის ყველა სახლები გაჩხრეკილი და გაძარცული იქნა. იქ მყოფ ქალებს შეურაცყოფას აყენენბდენ თავდამსხმელები. გარდა ამისა მათ წაართვეს ფული და სხვა ქონება.

საბჭოთა საელჩოს კლუბი სავსებით გაძარცული და დანგრეულია. ბიბლიოთეკა წაღებულია.

საელჩო ფაქტიურად ალყა შემორტყმულია. მას არავითარი კავშირი არა აქვს ქალაქთან.

გაჩხრეკილ იქნა აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის ბანკი, რომელიც მოთავსებულია ცალკე შენობაში საელჩოდან მოშორებით. ყველა საბანკო წიგნები წაიღეს პოლიციის სამმართველოში.

გაჩხრეკილ იქნა სავაჭრო წარმომადგენლობაც.

ბანკის გამგის თანაშემწე დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ საღამოს გაანთავისუფლეს. ჯარის კაცებმა დააპატიმრეს ერთი რუსი მოსამსახურის 12 წლის ვაჟი, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს.

თავდასხმის დროს სამხედრო ატაშეს შენობაში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლის მქრობელმა რაზმმა დააქრო. (ადს).

პოლიციელების შეჭრა საბჭოთა საკონსულოში შანხაიში

შანხაი, 7 აპრილი. 7 აპრილს საბჭოთა საკონსულოს შენობასთან გამოჩნდა რუს თეთრგვარდიელების და უცხოელ მოხალისეების ახალი რაზმი. საკონსულოს შენობაში შეიჭრა პოლიციელების ერთი ჯგუფი. რა ხდება საკონსულოს შენობაში გამოურკვეველია. (ადს).

საკონსულო შანხაიში კვლავ ალყაშემორტყმულია

შანხაი, 7 აპრილი. ალყა, რომელიც 6 აპრილს შემორტყეს საბჭოთა საკონსულოს შანხაიში, 7 აპრილს დილით მოხსნილ იქნა. მაგრამ 17 საათზე საკონსულოს მახლობლად გამოჩნდენ პოლიციის უფრო მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებშიც არიან რუსი თეთრგვარდიელები და უცხოელი მოხალისეები. საკონსულოს ხელმეორედ შემოარტყეს ალყა. პოლიციელები და თეთრგვარდიელები ჩხრეკენ შემსვლელ-გამომსვლელ საბჭოთა მოქალაქეებს, მათ შორის საკონსულოს და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის თანამშრომლებსაც.

საბჭოთა საკონსულო ჯერ კიდევ არ არის ალყააყრილი

შანხაი, 8 აპრ. დღეს, დღის 12 საათზე საბჭოთა საკონსულოში ჯერ კიდევ სიწყნარეა. ჯერ - ჯერობით არ ჰქონია ადგილი თავდასხმას საკონსულოზე. მოხალისეთა რაზმი გაყვანილია საკონსულოს შენობიდან. პოლიცია განაგრძობს საკონსულოში ყველა შემავალ და გამომავალ პირების ჩხრეკას. (ადს).

ამხ. ლინდეს მეორე პროტესტი

შანხაი, 7 აპრილი. როცა ხელმეორედ ალყა შემოარტყეს საკონსულოს, ლინდემ საკონსულო კორპუსის უხუცესს გაუგზავნა ხელმეორე პროტესტი, რომელიც ასე თავდება:

„პასუხისმგებლობას ყველაფრისათვის რაც შესაძლოა მოხდეს, გაკისრებთ თქვენ და საკონსულო კორპუსის ყველა წევრებს. ერთხელ კიდევ მოვითხოვ, რომ პეკინში მომხდარ ამბებისადმი ასეთი სოლიდარობის დემონსტრაცია შეწყვეტილ იქნეს". (ადს).

შანხაის ყველა საბჭოთა დაწესებულებები ალყა შემორტყმულია თეთრგვარდიელების მიერ

შანხაი, 7 აპრ. პაიბანკის განყოფილება და სხვა საბჭოთა დაწესებულებები ალყა შემორტყმულია თეთრგვარდიელებისა და მუნიციპალურ პოლიციის მიერ. თავდასხმას არსად არ ჰქონია ადგილი. (ადს).

ბრძოლა ძარცვისათვის

შანხაი, 7 აპრ. ინგლისური „შანხაი ტაიმსი" იუწყება, რომ მხოლოდ სათანადო ნებადაურთველობა კონსულთა საბჭოსაგან აჩერებს თავდასხმისაგან საბჭოთა საკონსულოზე. გაზეთის ცნობით, პოლიციის კომისარი მარრეტი და მუნიციპალურ საბჭოს გენერალური კომისარი გალტონ ჯინსი ეთათბირენ საკონსულოს სათანადო ნებართვის მისაღებად, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. (ადს).

ძარცვა ტიან-ძინში

შანხაი, 7 აპრ. რეიტერის სააგენტო ტიან - ძინიდან იუწყება: „ჩინეთის პოლიცია თავს დაესხა საფრანგეთის საკონცესიო ტერიტორიაზე მყოფ საბჭოთა ხუთ სამეურნეო დაწესებულებას, მათ რიცხვში პაიბანკის განყოფილებას, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინიგზის გამგეობას და სხვა ორგანიზაციებს. წაღებულია მრავალი დოკუმენტები. ორდერი ჩხრეკაზე ხელმოწერილი იყო საფრანგეთის კონსულის მიერ. (ადს).

იმპერიალისტები ამართლებენ თავდასხმას

პეკინი, 7 აპრილი. „ნორტ-ჩაინა სტანდარტ" პეკინში მომხდარ თავდასხმის გამო სწერს:

„ჩან-ძო-ლინმა დიპლომატიური კორპუსისაგან წერილობითი ნებართვა მიიღო ჩხრეკის მოხდენაზე. ჩან-ძო-ლინმა გაუგზავნა მიმართვა უცხოელ ელჩებს, რომელშიაც აღნიშნა, რომ ის პასუხისმგებელია საზოგადოებრივ წესრიგისა და უცხოელების უშიშროებისათვის, მას საშუალება უნდა ჰქონდეს მოსპოს მშვიდობიანობის წინააღმდეგ შეთქმულობა. მან ამის დამამტკიცებლად მოიყვანა ის გარემოება, რომ ეხლახან ქალაქში ჩამოვიდენ კომუნისტი აგიტატორები, რომლებიც თავს აფარებენ რუსეთის წითელ დროშას. ამავე დროს ინგლისის ჯარები იცავდენ თავიანთ შენობებს, რომლებიც საბჭოთა საელჩოს მახლობლად მდებარეობენ, როგორც სჩანს იმ მიზნით, რომ არ გაეტარებიათ ისინი, ვინც მოინდომებდა გაქცევას. (ადს).

კონსულის გაჩხრეკის ცდა

შანხაი, 7 აპრილი. საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსულმა შანხაიში სცადა გამოსულიყო საკონსულოდან, რისთვისაც წარადგინა დიპლომატიური პასპორტი, მაგრამ პოლიციამ, რომელიც კარებთან იყო გაჩერებული დაჟინებით მოითხოვა მისი გაჩხრეკა და განუცხადა მას, რომ ინსტრუქციების თანახმად მას ევალება გაჩხრიკოს ყველა გამოსული, თუნდაც კონსული იყოს ის.

ვიცე-კონსულმა უარი განაცხადა გაჩხრეკაზე და შებრუნდა ისევ საკონსულოში. (ადს).

ჩან-ძო-ლინი თავს იმართლებს

პეკინი, 7 აპრილი. ჩან-ძო-ლინის მთავარმა შტაბმა გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„ჩინეთის მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ შორეულ აღმოსავლეთის ბანკიც და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის სამმართველოს პეკინის განყოფილების შენობაში ინახება იარაღი და ამუნიცია; მან იცოდა, რომ ეს ადგილები წარმოადგენდენ კომუნისტურ აგიტატორების ცენტრს და გადაწყვიტა მოეხდინა ჩხრეკა. ჩხრეკა მოხდა იმის გამო, რომ ამ ადგილებზე არ ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტი, აგრეთვე იმ საბუთებით, რომ საბჭოთა მთავრობამ უარი სთქვა პრივილეგიებზე, რომლებიც გათვალისწინებულია 1901 წლის ოქმში და მაშასადამე ექსტერიტორიალობის უფლებებზე. ჩხრეკა მოხდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის ხელისუფლებმა წარმომადგენლებმა საელჩოს უბნის კომენდანტურ ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან მიიღო სათანადო ნებართვა საპოლიციო ზომების გამოყენების შესახებ.

ამხ. ლინდეს წერილი შანხაის საკონსულო კორპუსის უხუცესს

შანხაი, 7 აპრილი. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა შანხაიში ლინდემ ნორვეგიის კონსულს ა. ალიას, შანხაის საკონსულო კორპუსის უხუცესს, გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„პატივცემულო კოლეგა. დღეს 12 საათზე მე პირადათ გესაუბრე თქვენ პოლიციის იმ დემონსტრაციის გამო, რომელიც საბჭოთა საკონსულოს კარებთან იმართებოდა და რომელიც არ შეწყვეტილა გუშინდელი დღის 18 საათამდე. თქვენ გამიცხადეთ, რომ მოელაპარაკებით ამის გამო მუნიციპალური პოლიციის უფროსს. საღამოს 5 ნახევარ საათზე ვიცე-კონსულს ლაპარაკი ჰქონდა თქვენთან ტელეფონით. თქვენ იტყობინებოდით, რომ მოელაპარაკეთ მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარეს ფესენდენს. მაშინვე გაცნობეთ, რომ მუნიციპალური პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი სდგას საკონსულოს კარებს მახლობლად. თქვენ აღგვითქვით, რომ დაუყოვნებლივ აცნობებდით ამის შესახებ მუნიციპალური პოლიციის უფროსს.

მე შემიძლია გაცნობოთ შემდეგი: სავსებით გამორკვეულია, რომ პოლიციელებს შორის არიან რუსი თეთრგვარდიელები, რომლებიც ჩემ თვალწინ ჩხრეკდენ საკონსულოს თანამშრომელ ქალს ხმელევას მიუხედავათ მისი პროტესტისა. პოლიციელების ასეთი აღმაშფოთებელი საქციელი მაიძულებს მე კატეგორიულად პროტესტი განვაცხადო თქვენს, როგორც საკონსულო კორპუსის მეთაურის წინაშე და მოვითხოვო სასწრაფო ზომების მიღება ამგვარ უმზგავსოებათა შესაწყვეტად.

ამჟამად საბარგო ავტომობილით მოვიდენ რუსი-თეთრგვარდიელები და მოხალისეები, რომლებმაც ალყა შემოარტყეს საკონსულოს, რითაც დაადასტურეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ემზადებიან შეგნებულად მოახდინონ წინათ მოფიქრებული თავდასხმა საბჭოთა საკონსულოზე.

მთელს პასუხისმგებლობას იმისათვის, რაც შეიძლება მოხდეს გაკისრებთ თქვენ და საკონსულო კორპუსის ყველა წევრებს. ერთხელ კიდევ მოვითხოვ, რომ პეკინის ამბებისადმი სოლიდარობის ასეთი დემონსტრაცია შეწყვეტილ იქნეს". (ადს).

თავდასხმის გამოძახილი

იაპონია აცხადებს, რომ ის არაფერ შუაშია

ტოკიო, 7 აპრილი. პეკინის საელჩოს თანამშრომლებზე თავდასხმის გამო იაპონიის ოფიციალური წრეები გადაჭრით აცხადებენ, რომ იაპონიის ელჩს იოშიზავას არავითარი წილი არ უდევს ამ საქმეში. ამტკიცებენ, რომ იაპონიის ელჩს თანხმობა არ მიუცია დიპლომატიური კორპუსის უხუცესს უდენდეიკისათვის ჩინელ ჯარების და პოლიციის დიპლომატიურ უბანში შეყვანაზე. ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ჩან-ძო-ლინის მიერ საერთაშორისო უფლებების ასეთი დარღვევა, მათ შესაძლებლად მიაჩნია საპასუხო ენერგიული ღონისძიებები საბჭოთა მთავრობის მხრივ. (ადს).

ტოკიო, 7 აპრილი. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე—მართალია, თუ არა რომ ჩან-ძო-ლინმა ნებართვა მიიღო თავდასხმის შესახებ, დიპლომატიური კორპუსიდან,—განაცხადა:„—ეს შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში იაპონიის წარმომადგენელმა პეკინში, იოშიზავამ. არაფერი იცოდა აღნიშნული თავდასხმის მოხდენის განზრახვაზე". (ადს).

თავდასხმის მომწყობნი და „ნეიტრალიტეტი"

ოსლო, 7 აპრილი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ ქვედა პალატის სხდომაზე, ნორვეგიის მუშათა პარტიის წარმომადგენელმა მისცა შეკითხვა საგარეო საქმეთა მინისტრს—მიცემული ჰქონდა თუ არა რწმუნება ნორვეგიის მთავრობის წარმომადგენელს, მიეღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაზე თავდასხმაში.

მინისტრმა უპასუხა, რომ ნორვეგიის წარმომადგენელს, აშკარაა, უნდა დაეცვა სასტიკი ნეიტრალიტეტი. (ადს).

მაკ მურეი საბჭოთა საელჩოში თავდასხმის შესახებ

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. ჩ.-ა. შ. შ. წარმომადგენელის მიერ ჩინეთში, მაკ მერეისაგან ვაშინგტონში მიღებულია ცნობა, რომ ჰოლანდიის ელჩმა, დიპლომატიური კორპუსის სახელით ნება დართო ჩინეთის ხელისუფლებას, რათა ამ უკანასკნელს მოეხდინოს ჩხრეკა ზოგიერთ კერძო სახლებში, კერძოთ—შორეულ აღმოსავლეთის ბანკში და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე.

საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ „ჩინელებმა გადააჭარბეს თავიანთ რწმუნებებს, იმით, რომ მათ მოახდინეს ჩხრეკა იმ შენობებში, სადაც სცხოვრობდენ წარმომადგენლობის მცველები. (ადს).

უდენდეიკი უკან იხევს

პეკინი, 7 აპრილი. გოვენის სააგენტო იტყობინება: „პეკინის დიპლომატიური კორპუსის უხუცესმა უდენდეიკმა გაუგზავნა პეკინის საგარეო საქმეთა მინისტრს, საპროტესტო ნოტა ჩინეთის ხელისუფლების მიერ საბჭოთა წარმომადგენლობის სამხედრო ატაშეს ბინაზე ჩხრეკის მოხდენის გამო. ნოტაში ატაშეს ჩხრეკის მოხდენის გამო. ნოტაში აღნიშნულია, რომ როდესაც ჩინეთის პოლიციას ნება დართეს შესულიყო საელჩოების უბანში კომუნისტების ბინებზე გაჩხრეკის მოსახდენათ, ჩინეთის პოლიციამ სიტყვა დასდო, რომ იგი არ შეეხებოდა საბჭოთა წარმომადგენლობას. ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთათვის მიცემული ნებართვა არ იძლეოდა საპოლიციო ზომების მიღების უფლებას, საბჭოთა წარმომადგენლობის სამხედრო ატაშეს ბინის შესახებ.

კორპუსის უხუცესი ხაზს უსვამს, რომ ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადააჭარბეს თავიანთ უფლებებს (ადს).

პრესა თავდასხმის შესახებ

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 7 აპრილი. ცნობამ საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების ბინებზე თავდასხმის შესახებ გერმანიის პოლიტიკურ წრეებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და დიდი შიში გამოიწვია. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ იმ ცნობას, რომ თავდასხმა მოხდა დიპლომატიური კორპუსის თანხმობით.

„ბერლინერ ტაგებლატ" სწერს: „ძნელი წარმოსადგენია, რომ გერმანიის ელჩს პეკინში მიეცეს თავისი თანხმობა ასეთ ნაბიჯზე და წინასწარ არ ეცნობებოდა ამის შესახებ ბერლინისათვის. სრულიად გაუგებარია, რამ აიძულა დიპლომატიური კორპუსი გადაედგა ასეთი განსაკუთრებული ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ახალი, ძნელად გასათვალისწინებელი, გართულება და გამწვავება ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის დროს.

„ფორვერტს" აქვეყნებს რეიტერის სააგენტოს ცნობას სათაურით: „უგუნური საქციელი პეკინში".

„ცნობა რომ რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან გამომდინარეობდეს—სწერს „ფორვერტს"—პირველად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ის არის პირველი აპრილის უხეში ხუმრობა. მაგრამ, ცნობა ასეთ დაუჯერებელ გამოსვლის შესახებ დადასტურებულ იქნა ინგლისის ოფიციალურ სააგენტოს მიერ. რატომ უნდა გადმოეცეს რეიტერის სააგენტომ მოგონილი ცნობა, რომელშიაც ინგლისის მთავრობას ბრალი ედება ბოროტმოქმედებაში, რომელიც ხიფათს უდრის? დიპლომატიურ კორპუსს საერთოდ არა აქვს ასეთი რწმუნებების მიცემის უფლება. სავსებით შესაძლოა, რომ ინგლისის ელჩმა და შეიძლება კიდევ რომელიმე დიპლომატმა წააქეზეს ჩჟან-ძო-ლინი ასეთ გამოსვლაზე. შეიძლება ჩჟან-ძო-ლინი წინასწარ შეეკითხა ინგლისის საელჩოს. ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლად ამ ჯერ არ ნახული გამოსვლის შედეგებისათვის.

შეუძლებელია გაგება, თუ რა პრაქტიკულ მიზნებს ისახავს ეს გამოსვლა. ამ გამოსვლის ერთად-ერთი შედეგი შეიძლება იქნეს ომის საფრთხის გაძლიერება საბჭოთა კავშირსა და იმსა სახელმწიფოებს შორის,რომელთაც დანაშაული მიუძღვით ამ პროვოკაციაში, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებას.

სამხედრო პროვოკაციის მორალურ დამნაშავეთ უნდა ჩაითვალოს ინგლისის მთავრობა, რომლის წარმომადგენელმა ჩან-ძო-ლინს მისცა სანქცია ასეთ გამოსვლაზე.

ვინ დართო ნება

ბერლინი, 7 აპრილი. გერმანიის მთავრობამ მოსთხოვა თავის წარმომადგენელს პეკინში ხელმეორე მოხსენება, ვინაიდან პირველ მოხსენებაში არაფერი არაა ნათქვამი დიპლომატიური კორპუსიდან ჩხრეკის ნებართვის გაცემის შესახებ.

„დოიტშე ტაგეს ცაიტუნგი" სწერს:

„საბჭოთა წარმომადგენლობის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებზე ნებართვის გაცემა ნიშნავს, რომ დიპლომატიური კორპუსი აშკარათ დადგა ჩან-ძო-ლინის მხარეზე. ამ მიმართულებით დიპლომატიური კორპუსის უხუცესს უნდა სცოდნოდა, რომ აღნიშნულ ღონისძიებათა მიღებაში მას არ დაუჭერდენ მხარს ყველა უცხოელი სახელმწიფოების წარმომადგენლები, და განსაკუთრებით გერმანიის წარმომადგენელი.

დიპლომატიური კორპუსი, ალბათ, ანგარიშს არ უწევს საბჭოთა კავშირს და გერმანიას, ვინაიდან მათ უარი განაცხადეს ჩინეთში თავიანთ პრივილეგიებზე. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება ასეთი ყოფა-ქცევის შემდეგ ლაპარაკი გერმანიის მხრივ სოლიდარობის გამოჩენის შესახებ. (ადს).

ინგლისის პრესის აზრი

ლონდონი, 7 აპრილი. ყველა გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ ცნობას პეკინში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების ბინაზე მომხდარ თავდასხმის შესახებ.

„მანჩესტერ გარდიენ" სწერს: „თუ მართალია ის, რომ სახელმწიფოებმა ნება დართეს ჩან-ძოლინს მოეხდინა თავდასხმა, ამით მათ დაარღვიეს იმ სახელმწიფოს უფლებები, რომელთანაც მეგობრულ განწყობილებაში არიან, და აშკარად გადავიდენ ერთ-ერთი მებრძოლი ბანაკის მხარეზე".

გაზეთს არ სჯერა, რომ ინგლისი თანამშრომლობდა ჩან-ძო-ლინთან თავდასხმის მოწყობაში.

„დეილი ჰერალდ" სწერს: „თუ დამტკიცდა, რომ მაილს ლემპსონმა ჩან-ძო-ლინს მისცა თანხმობა საბჭოთა საელჩოს ხელშეუხებლობის დარღვევაზე, ჩვენს წინაშე იქნება აქტი, რომელიც უდრის რუსეთისათვის ომის გამოცხადებას ყველა დიდი სახელმწიფოების მიერ".

საფრანგეთის პრესა

პარიზის პრესა სდუმს

პარიზი, 7 აპრილი. ფრანგული გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პეკინში მომხდარ ამბებს შეიძლება მოჰყვეს ძალიან დიდი შედეგები. გარდა „ჰიუმანიტე"-სა და „პოპულერ"-ისა არც ერთი გაზეთი არ გამოსთქვამს პროტესტს ჩან-ძო-ლინის ასეთი საქციელის წინააღმდეგ. (ადს).

ჩინეთის პრესა

შანხაის გაზეთების აზრი

შანხაი, 7 აპრილი. საბჭოთა წარმომადგენლობის ბინაზე მომხდარ თავდასხმის გამო, შანხაის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა ჩინეთში გადადის მწვავე და კრიტიკულ პერიოდში.

საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმა არის ომის გამოცხადების აქტი. (ადს).

საბჭოთა კავშირის მშრომელთა პროტესტი

პროტესტები მთელს საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 8 აპრილი. მოდის ცნობები დემონსტრაციების გამართვის შესახებ პერმში, კოსტრომაში და სხ. მოსკოვშიც მთელ რიგ წარმოებებში გაიმართა მიტინგები. (ადს).

ლენინგრადის მუშები პროტესტს აცხადებენ

ლენინგრადი, 8 აპრილი. ლენინგრადის ყველა მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში გაიმართა დიდი საპროტესტო მიტინგები ჩინელ მილიტარისტების თავდასხმის წინააღმდეგ საბჭოთა წარმომადგენლობაზე პეკინში. მიტინგებზე გამოტანილია მკაცრი რეზოლიუციები, რომელშიც მუშები მოითხოვენ მთავრობისაგან გადამწყვეტი ზომების მიღებას იმპერიალისტების თავხედური გამოსვლების წინააღმდეგ, და სიტყვას იძლევიან, რომ, თუ საჭირო შეიქნება ყველა, როგორც ერთი კაცი, დადგება საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

რევოლიუციის ჩახშობის გეგმა

პეკინი, 7 აპრილი. „პეკინ ენდ ტიან-ცზინ ტაიმსი" ითვალისწინებს იმპერიალისტურ სახელმწიფოების შემდეგი მოქმედების პროგრამას ჩინეთში.

„ყველა უცხოელებს გაიყვანენ სანავთსადგურო ქალაქებიდან მდ. იან-ცზიზე. გამოუცხადებენ სრულ ბლოკადას ყველა საზღვაო ნავთსადგურებს და აგრეთვე იან-ცზიზე მდებარე გემთსადგომებს. შანხაის მიდამოებიდან განდევნიან ნაციონალურ ჯარებს და შანხაის მიდამოებში გამოაცხადებენ სამხედრო წესებს. მუშათა და სტუდენტურ ორგანიზაციების წინააღმდეგ მიღებულ იქნება გადამჭრელი ზომები". (ადს).

იმპერიალისტები კანტონში

კანტონი, 7 აპრილი. კანტონში ჩამოდიან ინგლისის ახალი ჯარები. უცხოელთა უბანი სამი მხრიდან გარსშემორტყმულია ეკლიანი მავთულებით. საფრანგეთის ხელისუფლებმა აღადგინეს ძველი სანგრები. (ადს).

გომინდანი ძლიერდება

შანხაი, 7 აპრილი. გომინდანის პარტიის გუანდუნის ორგანიზაციის საორგანიზაციო ბიურო იუწყება. რომ უკანასკნელ ხანში ორგანიზაციაში მიღებულია 20.000 ახალი წევრი. (ადს).

ახალი ჯარები ჩინეთში

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. ასოშიეტედ პრეს-ის სააგენტო იუწყება, რომ კანტონის უცხოელთა უბანში, თავს იყრიან ინგლისის დამატებითი სამხედრო ნაწილები. (ადს).



სუმ-ჩენ

გომინდანის წევრი, უნივერსიტეტ-დამთავრებული იურისტი ქალი, რომელიც ამას წინად დაინიშნა შანხაის სასამართლოს თავმჯდომარედ.

—:—

იაპონია ხანკოუში ამაგრებს თავის ძალებს

ვაშინგტონი, 7 აპრილი. იუწყებიან, რომ იაპონიის ძალების სარდლობამ ჩინეთში გასცა განკარგულება იაპონიის საზღვაო ძალების თავმოყრის შესახებ ხანკოუში. (ადს).

შურის ძიების წინ

პეკინი, 7 აპრილი. ჩან-ძო-ლინმა დაგზავნა შემდეგი ცირკულიარული დეპეშა:

„ადგილობრივმა ჯარებმა და პოლიციამ საელჩოების უბანში დააპატიმრეს ცნობილი კომუნისტი-ბელადი ლი-ტაი-ჩაო და 35-მდე ჩინელი. დაპატიმრების დროს აღმოჩენილ იქნა ამუნიცია და ბომბები, აღმოჩენილია დიდძალი საგიტაციო მასალა. დაპატიმრებულები გადაეცემიან სასამართლოს; დანაშაული, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგონ ამ მეამბოხეებმა სახელდობრ ბოლშევიზმის გამხრწნელ იდეების გავრცელება, არ შეიძლება პატიებულ იქნეს. დაპატიმრებულები გასამართლებული და დასჯილი იქნებიან მათ მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის ღირსეულად. (ადს).

ლი-ტაი-ჩაოს თავის მოკვეთა მოელის

პეკინი, 8 აპრილი. სასამართლოს დეპარტამენტის მეთაურმა განაცხადა, რომ დაკითხვის დროს პროფესორმა ლი-ტაი-ჩაომ გაბედულად აღიარა, რომ ის კომუნისტია. ლი-ტაი-ჩაო ცნობილი ჩინელი მეცნიერია. ამის გამო ზოგიერთი მუკდენელი დაჟინებით მოითხოვს სასჯელის შემსუბუქებას. (ადს).

ამერიკელი კანონერკები ცუდ მდგომარეობაში არიან

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. შეერთებულ შტატების საამხ.-საზღ. ძალების სარდალი ჩინეთში ადმირალი ვილიამსი იტყობინება, რომ გაფიცვების გამო მეტად ძნელია ნახშირის შოვნა, რაც ძლიერ ართულებს ამერიკის კანონერკების და სხვა გემების მდგომარეობას მდინარე იანცზი-ცზიანზე.

ჩინეთის საკითხი თემთა პალატაში

ლონდონი, 7 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატაში ჩინეთის საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს კონსერვატორების დეპუტატმა ნოქსმა შეიტანა შეკითხვა—მიაქცია თუ არა ჩემბერლენმა ყურადღება იმ დეპეშას, რომელიც მოსკოვიდან პროფინტერნმა გაუგზავნა შანხაის მუშებს და რომელშიაც ნათქვამია, რომ მუშების გამარჯვება არ იქნება ჩინეთის ტერიტორიაზეკლ ჯვება არ იქნება სრული, სანამ თუ გინდ ერთი უცხოელი ჯარისკაცი დარჩება ჩინეთის ტერიტორიაზე.

დასასრულ ნოქსი შეეკითხა ჩემბერლენს კომუნისტური ინტერნაციონალის იმ მოწოდების შესახებ მთელი ქვეყნის მუშებში მიმართ, რომელშიაც ნათქვამია, რომ გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა საშუალებანი, რომ ხელი შეუშალონ განათლებულ ბარბაროსებს ინგლისელი და ამერიკის მძარცველების მთავრობათ ჩინეთისაკენ ახალი ჯარების გაგზავნაში.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ამგვარი მოწოდება მესამე ინტერნაციონალის ჩვეულებრივი პროგრამის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს.

უპასუხა რა შემდგომ შეკითხვაზე, ჩემბერლენმა განაცხადა:

„ინგლისს ჩინეთში არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა სურვილისა იქონიოს მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულება ჩინეთის ხალხთან. მაგრამ როგორ შეუძლია ინგლისს აწარმოოს მოლაპარაკება კანტონელებთან, როცა ნანკინში, ხანკოუში და სხვა ადგილებში ხდება ძალადობა და როცა კანტონელები არავითარ ზომებს არ ღებულობენ უცხოელების საწინააღმდეგო პროპაგანდის მოსასპობად. ინგლისის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ ის გამოაძევონ ჩინეთიდან.

ის არ დაუშვებს, რომ მას მოეპყრან ისე, თითქოს მას არავითარი უფლებები არ ჰქონდეს".

თემთა პალატამ მოიწონა

ლონდონი, 7 აპრილი. თემთა პალატამ 277 ხმით 117-ის წინააღმდეგ მოიწონა მთავრობის დეკლარაცია ინგლისის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში.

რუსეთ - აზიის ბანკის ახალი პატრონი

შანხაი, 7 აპრ. რუსეთ - აზიის ბანკის (მეფის დროინდელი ბანკი, რომელიც გაკოტრდა 1926 წლის შემოდგომაზე) შანხაის განყოფილება, რომელიც ლიკვიდაციის მდგომარეობაში იყო, ნაციონალური მთავრობის ფინანსთა მინისტრის სუნ ცზე-ვენის განკარგულებით, გადავიდა ნაციონალური მთავრობის ფინანსთა სამინისტროს ხელში. ლიკვიდაციის საქმის ხელმძღვანელი ლუკასი დათხოვნილია. ნაციონალური მთავრობის ფინანსთა სამინისტრომ დანიშნა ახალი სალიკვიდაციო კომისია ლი-მინასი და ჩუს შემადგენლობით. (ადს).

შანხაი, 7 აპრილი. რუსეთ-აზიის ბანკის შანხაის განყოფილება გადავიდა ნაციონალური მთავრობის ხელში. (ადს).

საბჭოთა კავშირის მშრომელთა კავშირის ხმა

კანტონში არ უშვებენ

ლონდონი, 7 აპრილი. ავსტრალიის მთავრობამ საზღვარგარეთის პასპორტი არ მისცა პროფკავშირთა საბჭოს მდივანს—კომუნისტ გარდენს და დელეგაციის სხვა წევრებს, რომელნიც უნდა გამგზავრებულიყვენ წყნარ ოკეანის შრომის კონგრესზე. შრომის კონგრესი პირველ მაისს გაიხსნება კანტონში. (ადს).

თავი მოკვეთეს

პეკინი, 7 აპრილი. შეუმოწმებელი ხმებით, მარშალი ჩჟან-ცზუ-ჩანის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს გენერალ პი-შუჩენს, რომელმაც ჩააბარა შანხაი ნაციონალურ ჯარებს და გაიქცა ცინდაოში.

საფრანგეთის სამხედრო ძალები ჩინეთში

პარიზი 7 აპრილი. კომპარტიის ორგანო „ლიუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა შანხაიში გაგზავნოს ჯავშნოსანი და ქვეითი ჯარის რაზმი. (ადს)

ტერორი ლიტვაში

ლიტვის შინაგან სამინისტროს ოფიციალური ცნობა

კოვნო, 7 აპრილი. გამოქვეყნდა ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

„პოლიტიკურმა პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო არსებული მთავრობის ჩამოგდება იარაღის საშუალებით".

ცნობაში ნათქვამია, რომ შეთქმულების მთავარი მონაწილენი დაპატიმრებულნი არიან და გადაეცემიან სამხედრო საველე სასამართლოს.

ცნობაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სეიმის დეპუტატის „ნაროდნიკ-სელიანთა" პარტიის წევრის პაიაულისის დაპატიმრება დაკავშირებულია შეთქმულების აღმოჩენასთან, ვინაიდან პაიაულისს, თითქოს, „უნახეს საბუთები".

ნაროდნიკების შეკითხვა

კოვნო, 7 აპრილი. გაზეთ „ეხო"-ს ცნობით, სეიმის „ნაროდნიკ-სელიან"-თა ფრაქციამ სეიმში შეიტანა შეკითხვა პროტესტით სეიმის დეპუტატ პაიაულისის დაპატიმრების გამო.

სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ სეიმის პრეზიდიუმს გადასცა წინადადება შეკითხვების განხილვის შესახებ სასწრაფო სხდომაზე.

„ახალი ხანა" ლიტვაში

ბერლინი, 7 აპრილი. გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ"-ის რეველელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ ლიტვაში ახალი ხანა, რომელიც სავსეა სასიკვდილო განაჩენებით, გამწვავებულია ხელმძღვანელ სამხედრო წრეების ზეგავლენით, განსაკუთრებით პლეხავიჩუსის ზეგავლენით, პრემიერ მინისტრ ვოლდემარასზე.

„ცნობილია,—განაგრძობს კორესპონდენტი—რომ პლეხავიჩუსმა თავის დროზე მუქარით აიძულა რესპუბლიკის პრეზიდენტი სმეტონა და ვოლდემარასი ხელი მოეწერათ კომუნისტებისათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენზე".

დასახელებული კორესპონდენტი აცხადებს, რომ ლიტვის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა წინანდებურად გართულებულია.

იტალია-სამხრეთ-სლავიის მოლაპარაკება

ვენა, 7 აპრილი. სამხრეთ-სლავიის ოფიციალურ ცნობებში ნათქვამია, რომ სამხრეთ სლავიის მთავრობამ გარეშე საქმეთა მინისტრს პერიჩს მისცა რწმუნება, რომ იტალიასთან აწარმოოს უშუალო მოლაპარაკება, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიწყება რომში. (ადს).

წინასწარი მოლაპარაკება

ვენა, 7 აპრილი. საკითხი იტალია-სამხრეთ-სლავიის წინასწარ მოლაპარაკებათა შესახებ, საბოლოოდ გადაწყვეტილ იქნა დადებითად.

ბელგრადიდან მიღებული ცნობით, რომში უკვე დაიწყო წინასწარი მოლაპარაკება.

საიდუმლო ხელშეკრულება

ჰელსინგფორსი, 7 აპრილი. აქაურ დიპლომატიურ წრეებში გავრცელებულ ხმების მიხედვით, პოლონეთ - ესტონეთის სავაჭრო ხელშეკრულების დადებასთან ერთად პოლონეთსა და ესტონეთის შორის დაიდო პოლიტიკური შეთანხმება, რომელსაც საიდუმლოდ ინახავენ.

იუწყებიან, რომ ამ შეთანხმების შინაარსი არ იციან იმ პირებმაც კი, რომელნიც ძალიან ახლო დგანან გარეშე საქმეთა სამინისტროსთან.

აფეთქება

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. ნავთის გამწმენდ ქარხანაში, შტატ ვაიომინგში მოხდა აფეთქება, რომელმაც იმსხვერპლა 15 კაცი. (ადს).

უკმაყოფილება ინდოელთა შორის

შანხაი, 7 აპრ. დროგამოშვებით ხდება უცხოელ ჯარისკაცთა საიდუმლო მკვლელობა, რომელიც თოფებიც დაუცლელი რჩება. ოთხშაბათს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს შესავალ კართან მოკლეს ინდოელთა პოლიციის უფროსი. ამის გამო დაპატიმრებულია 150 ინდოელი. ზოგიერთი გადასახლებულია, ხოლო ზოგიერთი სიკვდილით დასჯილი. სალამოთი პოლიციელთა და ჯარისკაცთა რაზმი შეიჭრა ინდოელთა ტაძარში. არავითარი ლიტერატურა და იარაღი ტაძარში ვერ იქნა აღმოჩენილი. (ადს).

საგანგებო სასამართლო

ვენა, 7 აპრილი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 53 წევრის საგანგებო სასამართლოსათვის გადაცემის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა დადებითად. (ადს).

სამი სახელმწიფოს კომისია

ბერლინი, 7 აპრილი. ინგლისმა და საფრანგეთმა გერმანია მიიწვიეს სამი სახელმწიფოს მუდმივ კომისიაში იმ კონფლიქტების გადასაწყვეტად, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ალბანიის გამო.

გერმანიის მთავრობა პრინციპიალურად დასთანხმდა მიიღოს ეს წინადადება. (ადს)

65-ის პროცესი

ვარშავა, 7 აპრილი. 65-ის პროცესი გროდნოში მძიმე ატმოსფერაში მიმდინარეობს.

ბრალდებულებმა სასამართლოში მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია პოლიციის თავხედობის წინააღმდეგ. ისინი გაიძახოდენ: „ჯალათები გვცემდენ კონდახებით, ტანისამოსი შემოხეული გვაქვს, ჩვენ მოვითხოვთ ექიმს".

ბრალდებულების მთავარი მოწმე — პროვოკატორი კაპოვიჩი სასამართლოში არ გამოცხადდა. სასამართლომ უარჰყო დამცველთა მოთხოვნილება, რომ ეს მოწმე პოლიციის დახმარებით ყოფილიყო მოყვანილი.

ბრალმდებლების ერთ-ერთ მოწმედ არის ბარონ ბისპინგი, რომელიც ამას წინად გაასამართლეს ბელორუსების სოფლების გადაწვისა, ძარცვისა და რამდენიმე ბელორუსელი გლეხის მკვლელობისათვის.

ციხის ექიმმა განაცხადა, რომ ბრალდებულების სხეულზე აღმოჩნდა ცემის ნიშანი. ბრალდებულებმა სასამართლოს აცნობეს მათი ცემა-ტანჯვის დაწვრილებითი ამბები.

პროცესი კიდევ გაგრძელდება რამოდენიმე დღეს. (ადს)

საპროტესტო გაფიცვა

ლონდონი, 7 აპრილი. ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც წინადადებას აძლევს მუშებს, აიძულონ პროფკავშირთა გენერალური საბჭო და მუშათა პარტიის აღმასკომი, რომ მაისს გამოცხადებულ იქნას სადემონსტრაციო საყოველთაო ერთდღიური გაფიცვა. (ადს).

ამ.-კავკ. საბჭოთა მე-4 ყრილობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მეხი არ ჰქუხს, არც ცა არ გრგვინავს
და არც ქვემეხი აყრუებს ჰაერს,
სიტყვა კიდიდან კიდემდის ფრინავს
და ის ათანხმებს სულ სხვადასხვა ერს!..
სიტყვა სხვა დროსაც მოუსმენია,
სიტყვებს ხმარობდა ბევრი თაობა,
მაგრამ ეს ძალა არ უჩენია,
არც ეს უნახავს სანახაობა.
სხვადასხვა ხალხი და ერთი ენა!
და ერთი ენის სხვადასხვა კილო!..
სანატრელია იმისი სმენა
და განცდა მისი სასიამტკბილო,
რადგან ეს შრომის გრდემლის ჟღერაა,
შრომის სამჭედლოს მწყობრი ხმაური,
მშრომელი ხალხის ბედის წერაა
და მუქთახორას გულში — ტრაური!..
ეცემა მას ის, ვით ცხელი ტყვია,
და ხვდება კეთილ გულს, როგორც სხივი,
სწვავს, სადაც კიდევ არ დაუწვია,
და ესმის ზოგან, ვით სიყრმის მძივი!..
გაზაფხულია. ბუნება სდგება.
მან გადაიძრო ზამთრის საბანი.
ყოფნის ნექტროსგან ძარღვები სქდება
და იგრიხება გამძლე ჰაპანი...
მჭედე არის ამ დროს შრომის ზამბრები
და უძლეველი მისი წინ ტევა,
ციელივებს სით და მუშკამბრები
ყვავილ[illegible]ფერების [illegible]
და ჩნაჭკვებს [illegible]
და იგრიხება [illegible]...
[illegible] მთვრესა [illegible]
ჰა, დასტკბი მათი კიაფით, გულო!..
ნაცნობი არის შენთვის ეს ხანა,
ნათესავური გრძნობით გამთბარი:
შრომის და ძლევის ნორჩი ქვეყანა,
მოქმედიც ისე, ვით მოუბარი!..
და როცა მისი ჩანგის ზანზარით
ჟღერს მიდამოც და ჟრიამულობს,
არ შემიძლია, თუნდაც შემკარით,
მეც ავმღერდები, რომ გული გულობს!..
მე აქ ხომ არ ვარ გარეშე ვინმე
მჭიროდეს ხმობა ან გამოწვევა?
მე მიმღერია თვით წინდაწინვე
და განმიცდია ამ ხმათა ძლევა!..
ეს მეხი არ ჰქუხს, არც ცა არ გრგვინავს
და არც ქვემეხი აყრუებს ჰაერს,
სიტყვა აზრს კვესავს, საქმედ რომ ბრწყინავს.
და ეს ათანხმებს აქ სხვადასხვა ერს!..

ნ. ზომლეთელი.

კატასტროფა

ნიუ-იორკი, 7 აპრილი. მფრინავი დე-პინედო, რომელიც ცენტრალური ამერიკის ირგვლივ აპირებდა გადაფრენას, შტატ არიზონაში ჩამოვარდა. ჰიდროპლანი დაიწვა. მფრინავი უვნებლად გადარჩა. (ადს).

ბელორუსთა დევნა პოლონეთში

პოლიციის ცნობები

ვარშავა, 7 აპრილი. გამოქვეყნებულია პოლიციის ცნობები ბელორუსიის გრომადის ლიკვიდაციის შედეგების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით მოახდინეს გრომადის 580 ორგანიზაციის ლიკვიდაცია. ლიკვიდაცია მოხდენილ ორგანიზაციის შენობები დაბეჭდილია, საბუთებს კონფისკაციაა მოუხდინეს. (დს).

კრედიტები საბჭოთა დაკვეთებისათვის

ბერლინი, 7 აპრილი. „ფოსიშე ცეიტუნგი"-ს ცნობით, საბჭოთა დაკვეთებისათვის მისაწოდებელ 300 მილიონიან კრედიტის ანგარიშში უკვე მიღებულია 380 მილიონი მარკა.

რეიხსტაგს ახლო ხანში წარედგინება კანონპროექტი დამატებითი კრედიტის შესახებ; გაზეთის აზრით, მთავრობის პარტია და ოპოზიცია არ შექმნიან დაბრკოლებებს ამ საკითხში.

შუგლმაგართა წინააღმდეგ

წინააღმდეგ კანონისა პროფკავშირების შესახებ

ლონდონი, 7 აპრილი. გენერალურმა საბჭომ დაადგინა 29 აპრილს მოიწვიოს ტრედიუნიონთა საგანგებო კონგრესი, რომელიც განიხილავს მთავრობის კანონპროექტის პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვის შესახებ.

ლიბერალები შუგლმაგართა წინააღმდეგ

ლონდონი, 7 აპრილი. ლიბერალური პარტიამ თემთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც უარყოფილია მთავრობის კანონპროექტი პროფკავშირთა უფლებების შეკვეცის შესახებ. (ადს).

კომუნისტ დეპუტატის დევნა

პარიზი, 7 აპრ. იუსტიციის მინისტრი მოითხოვს კომუნისტ - დეპუტატის ვაიან კუტიურიეს მიცემას პასუხისგებაში იმის გამო, რომ ის ფრანგ - ჯარისკაცებს მოუწოდებდა კანტონელებთან დაძმობილებისაკენ. (ადს).

საბჭოთა კავშირი

სრ. რუსეთის საბჭოთა ყრილობა

მოსკოვი, 8 აპრილი. სრ. რუსეთის საბჭოთა ყრილობა გაიხსნება 10 აპრილს დიდ აკადემიურ თეატრში. (ადს)

ვლადიმერ ილიჩის ოთახი სმოლნიში

ლენინგრადი, 8 აპრილი. რევოლიუციის მუზეუმი 16 აპრილს (ლენინის საზღვარ-გარეთიდან ჩამოსვლის დატა) ხსნის ვლადიმერ ილიჩის ოთახს სმოლნიში. ოთახი აღდგენილი იქნება იმ მოწყობილობით, როგორც იყო მაშინ, როცა ლენინი სცხოვრობდა მასში ოქტომბრის გადატრიალების დროს. (ადს)

პოლონელი ჯაშუშის გასამართლება

ხარკოვი, 8 აპრილი, ხარკოვის საოლქო სასამართლოს საგანგებო სესიამ პოლონელ ჯაშუშს ვოლოშინს მიუსაჯა დახვრეტა. ვოლოშინი 1921 წლამდე მსახურობდა წითელ არმიაში და შემდეგ არალეგალურად გადავიდა პოლონეთში, სადაც იგი ჯაშუშობას ეწეოდა და მსახურობდა პოლონეთის მზვერავთა რაზმში. ვოლოშინი კონტრაბანდისტის სახით პოლონეთის მოსაზღვრე რაზმის დახმარებით გადავიდა უკრაინაში, სადაც იგი მალე დააპატიმრა სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს განყოფილებამ. (ადს)

ნაოსნობის გახსნა

ბაქო, 8 აპრილი. დღეს გაიხსნა ნაოსნობა კასპიის ზღვაზე. ნაოსნობის გახსნის გამო შესდგა კასპიის ზღვის გემებზე მომუშავეთა კავშირის რაიონულ კომიტეტის და კასპიის გემთა მიმოსვლის სამმართველოს გაფართოებული პლენუმი, რომელსაც საპატიო სტუმრებთან ერთად დაესწრენ საბჭოთა. პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები; პლენუმის მთელმა შემადგენლობამ გაიცილა ასტრახანში მიმავალი ფლოტილია.

გახსნის დღეს 26 გემით გაიგზავნა 51.000 ტონა ნავთი. საპატიო სტუმრებს შორის ზეიმს დაესწრენ უცხოეთის წარმომადგენლებიც.

იმავე დღეს საზეიმოდ გაიხსნა კასპიის გემთა მიმოსვლის სამმართველოს პარიზის კომუნის სახელობის სახელოსნოები. სახელოსნოები მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და გაძლიერებულია 28 ახალი დაზგით.

სამართველოს ცნობით, ასტრახანის რეიდი სავსებით გაიწმინდა ყინულისაგან. (ადს).

სომხეთის გეოლოგიური კომიტეტი

ერევანი, 8 აპრილი. სახ. საგეგმო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო ს. მ. უ. ს. წინაშე, ერევანში გეოლოგიური კომიტეტის განყოფილების გახსნის შესახებ.

სომხეთის ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას წინადადება მიეცა მომავალში გეოლოგიური გამოკვლევები აწარმოოს გეოლოგიური კომიტეტის ა.-კ. ორგანოებთან შეთანხმებით. (ადს).

ლატვიის ახალი პრეზიდენტი

რიგა, 8 აპრ. 3 წლით ლატვიის პრეზიდენტად არჩეულია ზენგალო (დემოკრატიული (ცენტრი), რომელმაც 93 ხმიდან მიიღო 73 ხმა. ზენგალო დაიბადა 1871 წელს. დასრულებული აქვს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. საადვოკატო პრაქტიკასთან ერთად ის მოღვაწეობდა საზოგადო ასპარეზზე. (ადს).

ერთიანი ფრონტისაკენ

იმპერიალიზმის წინააღმდეგ

პარიზი, 7 აპრილი. საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, შრომის უნიტარული კონფედერაციის, საფრანგეთის ყოფ. ფრონტოვიკების წითელი კავშირისა და კომკავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით, ადგენს სამოქმედო კომიტეტს, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს კამპანიას 8 საათის სამუშაო დღის დაცვისათვის, სამუშაო ხელფასის შემცირებისა, სამხედრო კანონპროექტის, ჩინეთის ინტერვენციის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დაცვისათვის ყოველგვარ თავდასხმისაგან. (ადს).

მაკდონალდის გადაყენებას აპირებენ

ლონდონი, 7 აპრილი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის საბჭო მომავალ პარტიულ კონფერენციისათვის გამზადებულ წინადადებებში არ აყენებს მაკდონალდის კანდიდატურას მუშათა პარტიის ხაზინადრის ადგილზე, მიუხედავათ შვიდწლიური ტრადიციისა. „ნიუ-ლიდერი" ამის გამო აცხადებს, რომ მაკდონალდი წარმოადგენს იმ პოლიტიკური ხაზის მოწინააღმდეგეს, რომლისკენაც მუშათა დამოუკიდებელი პარტია სცდილობს მუშათა პარტიის გადახრას ხოლო წამოყენებული კანდიდატები თანამდებობით ადგილებზე უნდა გამოხატავდენ თავის ორგანიზაციის თვალსაზრისს. (ადს).

„ალალი" შრომის შემდეგ

ლონდონი, 7 აპრილი. 9 აპრილს მაკდონალდი მიემგზავრება შეერთებულ შტატებში. მის გამგზავრებას აქვს კერძო ხასიათი. (ადს).

უცხოეთი

ინგლისის არმიის მექანიზაციის პროექტი

ინგლისის სამხედრო სამინისტრო იმუშავებს ჯარში სრული მექანიზაციის გატარების პროექტს. მექანიზაცია გატარებული უნდა იქნეს უახლოესი სამი წლის განმავლობაში. სამხედრო სპეციალისტების აზრით, თუ ამ ცდამ დადებითი ნაყოფი გამოიღო, არმიის სახე სრულიად შეიცვლება. მცირე მასშტაბით მომავალი მექანიზაციაქმნილი არმია ნაჩვენები იქნება ინგლისის არმიის მომავალ შემოდგომის მანევრებზე.

სამხედრო სამინისტროს გეგმა ახალ არმიაში ცენტრალურ ადგილს უთმობს ტანკს. ტანკის დანიშნულება სხვადასხვაგვარია.

მტრის იერიშის დროს, პირველათ ბრძოლაში ებმებიან ტანკები. საჭიროების დროს ტანკები თვითონ გადადიან შეტევაზე. ტანკები ითამაშებენ სატრანსპორტო საშუალების როლს, მათი საშუალებით მოეწყობა ყუმბარებისა და სამხედრო მასალების მიწოდება ფრონტისათვის. საველე სამზარეულოც—ისიც კი ტანკის სახეს მიიღებს. უზარმაზარი დრედნოუტი ტანკები და პატარა (ერთ ადგილიანი ტანკები) შეადგენენ ჯავშნიანი მანქანების უდიდეს არმიის ცალკე ნაწილებს.

სამხედრო მოქმედების ასეთი მექანიზაციის პირობებში, სამხედრო მომზადების ცენტრი დიდი სამხედრო ნაწილების მანევრებიდან გადატანილი იქნება ტეხნიკოს-შოფერების და მექანიკოსების მომზადებაზე. სამხედრო სკოლა, ამრიგად, გადაქცეული იქნება მაღალ კვალიფიციურ ინჟენერების, ტეხნიკოსების, მექანიკოსების და შოფერების სკოლად. არმიის რაოდენობა შემცირებული იქნება. უკანასკნელ ომში მონაწილე უდიდესი არმიები უვარგისი იქნება იმ სამხედრო ოპერაციების შესასრულებლად, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ სისწრაფეს და რომელიც მოეპოვება მანქანას—ტანკს.

ქვეითი ჯარის როლი იქნება მეტად მცირე—ის უკან მიჰყვება ჯავშნიან ტანკებს და დაიკავებს დაპყრობილ ტერიტორიას. კავალერიას შერჩება მხოლოდ მზვერავის როლი.

ინგლისის სამხედრო სამინისტრო გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებს ტანკების გასაუმჯობესებლად. ახალი ტანკი (ტანკი-დრედნოუტი და ერთ ადგილიანი ტანკი) ისეთი კონსტრუქციის უნდა იქნეს, რომ გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლებანი და მიაღწიოს მიუწვდომელ ადგილებამდის.

ინგლისის სამხედრო ბაზა კუნძულ მალტაზე

დღემდი კუნძულ მალტა ასრულებდა ინგლისის მნიშვნელოვანი საზღვაო ბაზის როლს ხმელთა-შუა ზღვაზე. ამიერიდან კუნძული შეასრულებს აგრეთვე ინგლისის სამხედრო-საჰაერო ბაზის როლს. კუნძულზე აგებული იქნება მთელი რიგი ანგარები (სადგომები) დირიჟაბლებისათვის. აეროდრომი გალმარში მნიშვნელოვნად იქნება გაფართოებული. მალტაში გადაყვანილი იქნება ინგლისის სამი დირიჟაბლი—„კურეჯოუ", „იგლ" და „გერმესი". ამ დირიჟაბლების სადგომათ არჩეულია მარსაჩიროკის ნავთსადგური, რომელიც ამ მიზნით, შესაფერად იქნება მოწყობილი. გაფართოებული იქნება აგრეთვე გიდროპლანების ბაზა კალაფრანში (მალტაზე).

წერა-კითხვის უცოდინართა ზრდა ჩეხო-სლოვაკიის არმიაში

ჩეხო-სლოვაკიის არმიის გენერალური შტაბის კულტ-განყოფილებამ შემდეგი სტატისტიკური ცნობები გამოაქვეყნა.

ახალწვეულებიდან 1920 წ. წერა-კითხვის უცოდინარი იყო 1.906 კაცი.

„	1921 წ.	„	„	„ 3.266
„	1922 წ.	„	„	„ 3.840
„	1923 წ.	„	„	„ 3.178
„	1924 წ.	„	„	„ 4.080
„	1925 წ.	„	„	„ 4.343
„	1926 წ.	„	„	„ 4.825

ეროვნების მიხედვით უკანასკნელი 4.825 კაცი იყოფა შემდეგნაირად: 403 ჩეხი, 1882—სლოვაკი, 1.808—რუსინი, 152—გერმანელი და 47 უნგრელი.

პარტიული ცხოვრება

როგორ მუშაობს შორაპნის სამაზრო ორგანიზაცია

(წერილი ჭიათურიდან)

ორგანიზაციის მდგომარეობა

წარსული წლის ივნისიდან შორაპნის მაზრის ორგანიზაციაში შემოღებულ იქნა თემური სისტემა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა თემებში კომიტეტების ჩამოყალიბება პარტიის წევრთა სიმცირის გამო შეუძლებელი შეიქნა.

დღეს მაზრაში ჩამოყალიბებულია სულ 9 თემკომი და ერთი ქალაქის კომიტეტი, რომლებიც აერთიანებენ 25 კომუჯრედს და 5 საკანდიდატო ჯგუფს. — მაზრაში კი უჯრედთა რიცხვი ითვლება 66, ასე რომ თემკომების გარეშე რჩება 41 კომუჯრედი, რომელთაც უშუალო ხელმძღვანელობას სამაზრო კომიტეტი უწევს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველ ხანებში თემკომების სისტემაზე გადასვლამ ძალზე გაართულა სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობის საქმე.—რაიონული სისტემის დროს უჯრედებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა რაიკომები, მათი გაუქმების დღიდან კი ხელმძღვანელობა უმეტეს შემთხვევაში თემკომების ხელში გადავიდა, თემკომის მდივნები შედარებით გამოუცდელნი და ნაკლები მომზადებით იყვნენ ვიდრე რაიკომის მდივნები, რის გამოც სამაზრო კომიტეტს უხდება ზედმეტი ზრუნვა ხელმძღვანელობისათვის ადგილებზე.

მუშაობის გამოცოცხლების მიზნით, გარდა წერილობითი კავშირისა და დირექტივებისა სწარმოებს უჯრედების სპეციალური გამოკვლევა ინსტრუქტორების საშუალებით; გამოკვლეული უჯრედის პ.-მ. მდივნის მოხსენებასთან ერთად ორგთათბირზე თანამოხსენებით გამოდის ინსტრუქტორი, და ამ მოხსენებათა გარშემო შემუშავებული წინადადებანი პარტკომის პრეზიდიუმზე დამტკიცების შემდეგ ეგზავნება უჯრედებს ცხოვრებაში გასატარებლად.

1927 წლის პირველი თებერვლისათვის შორაპნის მაზრაში ითვლებოდა პარტიის 772 წევრი და 819 კანდიდატი. მათ შორის ქალი მხოლოდ 45.

ამ უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ მაზრაში პარტიულ ორგანიზაციების მუშაობას თვალსაჩინო გაუმჯობესება დაეტყო, რაც გამოიხატება მაში, რომ პარტიის წევრთა შორის (შედარებით წარსულთან) საგრძნობლად გაიზარდა აქტივობა და თვითმოქმედება.

ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ყველა ძირითადი ორგანიზაციები (როგორც თემკომები, ისე უჯრედები) გადასულნი არიან გეგმიან მუშაობაზე.

ყველა თემკომები და უჯრედები წინასწარ ამუშავებენ სამთვიან სამუშაო კალენდარულ გეგმას ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, რომელიც საფუძვლად ედება უჯრედების (თემკომების) მომავალ მუშაობას, — ამ ბოლო დროს უმჯობესდება უპარტიოთა შორის მუშაობაც, —თუ წარსულში ამ მიმართულებით მუშაობა სუსტი იყო, დღეს ეს მდგომარეობაც გამოსწორებულია.

კომუჯრედის ღია კრებებზე უპარტიოების დასწრება საგრძნობია, რომლებიც აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში.

მტკიცდება თანდათანობით ძირითად ორგანიზაციებში პარტდისციპლინა—თუ წარსულში, თითქმის სისტემატიური ხასიათი ქონდა ლოთობას კომუნისტთა შორის და სხვადასხვა პარტდისციპლინის დარღვევას, დღეს ეს მდგომარეობა, თუ მთლიანად არა, საგრძნობლად აღმოფხვრილია.

პოლიტიკური ცოდნის დონე

პარტპოლიტ - განმანათლებელმა მუშაობამ მაზრაში უსათუოდ გამოიღო ნაყოფი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, მრავალი დაბრკოლებანი ამ მუშაობის ჯეროვნად ჩატარების საქმეში;— ჩვენს პარტიაში რა თქმა უნდა საგრძნობი ადგილი უჭირავს ღარიბ გლეხობას, რომელიც მეტ დროს ანდომებს თავის მეურნეობაზე და ლუკმა პურზე ფიქრს — ვიდრე პოლიტ-ცოდნას, — გარდა ამისა თითქმის ყველანი წერა-კითხვის მცირე მცოდნენი არიან.

მაზრაში პარტ - პოლიტ-განმანათლებელი სკოლებია გახსნილი სულ 4. მათ შორის მუშებისათვის 2. და გლეხებისათვის 2. ყველა ეს სკოლები აერთიანებს 91 მსმენელს, რომლებიც ამ მოკლე ხანში დაამთავრებენ კურსს და გამოშვებულიც იქნებიან. — შემდეგი მეორე პერიოდისათვის გათვალისწინებულია სკოლების გასახსნელი რაიონები, რომელშიაც უნდა გატარდეს პოლიტ-უცოდინართა დიდი უმრავლესობა. საერთოდ პარტ - განათლების დონე წევრთა შორის დაბალია.

ამასთანავე დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არ მოგვეპოება საკმაოდ ქართულ ენაზე პოპულიარული და ადვილად გასაგები ლიტერატურა, თუმცა მაზრა ღებულობს ცენტრიდან მრავალ სხვადასხვა წიგნებს, მაგრამ ყველა ესენი უმთავრესად არიან რუსულ ენაზე, —ქართულ ენაზე კი წიგნები ძალიან მცირე მოდის. — დღეს ჩვენ გლეხკაცობის მოთხოვნილება ლიტერატურაზე დიდია, — ეს მომენტი გვავალებს, რათა უზრუნველვყოთ გლეხობა საკმაო გასაგები ქართული პოპულიარული ლიტერატურით.

თვითგანვითარების საქმე ძალიან ცუდათ არის დაყენებული შორაპნის მაზრაში,—არ არსებობს არც ერთი წრე, ინდივიდუალური თვითგანვითარებაც არა სჩანს. რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

რაც შეეხება წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას და მის საბოლოოდ აღმოფხვრას, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს პოლიტგანი, ამ მხრივ სამწუხაროდ სუსტად მიმდინარეობს მუშაობა. არამც თუ საერთოდ, ჯერ პარტიის წევრთა შორისაც არ არის აღმოფხვრილი წერა-კითხვის უცოდინარობა, და თუ დაჩქარებით არ მიექცა ამ მდგომარეობას სერიოზული ყურადღება, და პოლიტგანის მუშაობამ ასეთი კუს ნაბიჯით იარა, დიდი ბელადის ლენინის ანდერძს, „ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე არ უნდა იყოს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი"-ო ვერ შევასრულებთ.

კომფრაქციების მუშაობა

თითქმის ყველა მომქმედ საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში ჩამოყალიბებულია კომფრაქციები, და მათი ბიუროები, — უმთავრეს მასიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს თემსაბჭოების კომფრაქციები, სადაც უკვე აქტიურ მუშაობას ეწევიან. — ყოველთვის მთავარი პრინციპიალური კითხვები ირჩევა კომფრაქციებზე და შემდეგ გადადის საბჭოთა ორგანოებში გასატარებლად. ფრაქციის ოქმებს იხილავს ან პარტკომი,—ან და კომუჯრედის დახურული სხდომა.

კომფრაქციების მუშაობას პირველ ხანებში ქონდა დეფექტები, რაც გამოიხატებოდა მაში, რომ ფრაქცია პირდაპირ ამტკიცებდა თემღამასკომის მიერ წარდგენილ დღის წესრიგს და მით კმაყოფილდებოდა.

ასეთების და სხვა ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად სამაზრო პარტკომი დაჩქარებით ღებულობდა ზომებს დირექტივების და ახსნა - განმარტების მიცემით.—დღეს პარტიის ხაზი სხვადასხვა კამპანიების, არჩევნების და სხვა ჩატარების დროს, ტარდება კომფრაქციების მეშვეობით და მათი სრული ხელმძღვანელობით. როგორც უწინ, აღარა აქვს ადგილი კომფრაქციების სხვადასხვა წვრილმან საქმეებში ჩარევას და გადახრებს. — სამაზრო პარტიული კომიტეტი, გარდა საერთო ხელმძღვანელობისა (წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემა და სხვა) პრეზიდიუმის სხდომაზე ისმენს კომფრაქციების მოხსენებებს და აძლევს მათ პრაქტიკულ ღონისძიებებს ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად. და მუშაობის კიდევ უფრო გამოსაცოცხლებლად.

ახალგზელთა შორის მუშაობა

ახალგზელთა შორის მუშაობის გამოსაცოცხლებლად მთელი მაზრის მასშტაბით, როგორც ქალაქად ისე სოფლად ჩატარებულ იქნა ფართო კამპანია და მთელი რიგი მოხსენებებისა. სამაზრო პარტიულ კომიტეტთან გამოყოფილია ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე ქვეგანყოფილების გამგე, რომელიც შუა თებერვლიდან უკვე შეუდგა ახალგზელთა შორის მუშაობას.

მ. გრიგვაძე.

გლეხურ უჯრედების გადასინჯვა

(გამომკვლევ კომისიის მასალებიდან)

(პატრიკეთი, ქუთ. მაზრა)

თანახმად სამუშაო პროგრამისა, გამშინჯავმა კომისიამ აწარმოვა მუშაობა და გამოარკვია ყოველივე დადებითი და უარყოფითი მხარეები უჯრედის მუშაობისა 1926—27 წლის. პირველად მე შევეხები იმას, თუ როგორ პირობებში უხდება უჯრედს მუშაობა.

უჯრედის მუშაობის ტერიტორია არ სცილდება 5 კვადრატიულ ვერსტს. რაიონში დაახლოვებით ცხოვრობს 1900 მოსახლე, რომელთა დიდი უმრავლესობა მისდევს მებაღეობას, მეხილეობას და მესაქონლეობას.

აღნიშნულ უჯრედში ითვლება — 22 წევრი, და 15 კანდიდატი. მათ შორის ორი ქალია და ერთი მასწავლებელი. უჯრედში მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. 1926 წლის განმავლობაში უჯრედს ჰქონდა 28 სხდომა, მათ შორის 14 ღია და 14 დახურული, სადაც ისმებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. უჯრედი სამაზრო კომიტეტის დახმარებით ატარებდა სხვადასხვა კამპანიებს. უპარტიო გლეხობაში უჯრედს აქვს საკმაო ავტორიტეტი. უპარტიო გლეხობა ხშირად მიმართავს უჯრედის მდივანს სხვადასხვა რჩევა - დარიგებისათვის.

როგორც სჩანს უჯრედს სათანადო მუშაობა ჩატარებია მოსახლეობაში, 80 პროცენტი მოსახლეობისა ჩაწერილია კოოპერატივის წევრად. პარტიის წევრები ყველანი არიან კოოპერატივის წევრად და მათში მომუშავე ამხანაგებმა კარგათ იციან კოოპერატივის დანიშნულება (ეს უკანასკნელი გამოირკვა პოლიტ. ცოდ. გამოკვლევის დროს).

უჯრედის ინიციატივით ამ თემში პირველათ დაარსდა ამხანაგობა, აშენებულ იქნა საერთო წისქვილი. ამის მიხედვით, გლეხობამ შემდეგში დაარსა კიდევ რვა ამხანაგობა, წევრთა საერთო რიცხვი აღემატება 600 კაცს.

უჯრედი მხურვალე მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მოკლეთ იმ უარყოფითი მხარეების შესახებ, რომელიც კომისიის მიერ იქნა აღმოჩენილი.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 1926 წ. მაზრის ინსტრუქტორის მხრივ ხელმძღვანელობა უჯრედს არ ქონია. მართალია რამოდენიმეჯერმე მოსულან მაზრიდან ამხანაგები, მაგრამ მათ უჯრედისათვის არავითარი პრაქტიკული დარიგება არ მიუციათ. უჯრედს არ მიუღია აგრეთვე სანიმუშო სამუშაო გეგმა, არც ინსტრუქტორს აუხსნია, თუ როგორ უნდა შეადგეს ის. თვითონ უჯრედის ბიუროს შეუდგენიათ სამუშაო გეგმა.

მაგრამ ეს უკანასკნელი სამუშაოთ უვარგისია, რადგან უმთავრესი საკითხები არ არის აღნიშნული გეგმაში. მოისუსტებს აგრეთვე უჯრედის საქმიანობა ქალთა შორის მუშაობის დარგში. არ არსებობს „რემედასი"-ის და „ავიახიმი"-ს უჯრედები, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაეთვალოს როგორც უჯრედს აგრეთვე მაზრის ხელმძღვანელ ორგანიზაციასაც. ძალიან სუსტათ არის დაყენებული უჯრედის ტექნიკური საქმიანობა. ოქმები იწერება უწიგნაროდ, დადგენილებები გაუგებარია, ოქმების ზოგიერთი ფურცლები დაკარგულია, მოსული ინსტრუქციები დაბნეულია და ყველა ნომრები არ არის თავის ადგილას, უჯრედმა არ იცის რამდენი საქმე უნდა ქონდეს, სხდომებზე ისმება ბევრი საკითხი, (ერთ ოქმის მიხედვით სხდომაზე გარჩეულა ცამეტი ინსტრუქცია, რვა განცხადება, მეორეს მიხედვით ათი საკითხი). კომისიის აზრით ზემო აღნიშნული დეფექტები გამოსწორება უნდა ეკისრა სამაზრო კომიტეტს, ინსტრუქტორის საშუალებით, მაგრამ მაზრას ყურადღება არ მიუქცევია ამ საქმისთვის. კომისიამ მისცა ადგილობრივ უჯრედს დირექტივები აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად.

ს. ლომიძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მერძევეთა არტელები

ახალქალაქი, 8 აპრილი. უკანასკნელ დროს მაზრაში საგრძნობლად გაიზარდა მერძევეთა არტელების რიცხვი. უკვე არსებობს 15-დე არტელი, რომლებიც აერთიანებენ 480-დე მეურნეობას 1600 ძროხით. განზრახულია ყველის დამზადება აყვანილ იქნეს 400 ფუთამდე, ხოლო კარაქის 1,500 ფუთამდე. არტელებს ხელმძღვანელობს ახალქალაქის საკრედიტო ამხანაგობასთან არსებული სარძევე სექცია. (ადს).

აფხაზეთი

საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია

სოხუმი, 8 აპრილი. აფხაზეთის საბინაო-სამშენებლო კოოპერაციამ მოაწყო საზოგადოება „ახალი ბინა". საზოგადოება უკვე უდგება მუშაობას სახლების ასაგებად. ამ მიზნისათვის კომუნალურ მეურნეობიდან იჯარით იქნება აღებული მიწა, კომუნალური ბანკი იძლევა სესხს 30.000 მანეთის რაოდენობით. (ადს).

წერილები

ვერაგულად დაღუპულ რევოლიუციონერის ხსოვნას

(სართიჭალა—თბ. მაზრა)

1905 წელს გარე კახეთის რევოლიუციონურ წითელ რაზმს მოემატა რუსეთ-იაპონიის ომიდან გამოქცეული ჯარის კაცი გიორგი აივაზოვი (მეტ სახელად განჯელი). მის მეოხებით კავშირი გვქონდა თელავის მთელ რაზმთან ერთხელ, როდესაც განჯელი გავგზავნეთ რაზმთან საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად, (ეს იყო 14 იანვარს ძველი სტილით) ის ორმა უცნობმა კაცმა ხანჯლით გამოფიშვა, შეხ[illegible]ბის დროს ხელებიც დააჭრა, აჭყარა იარაღი და მიიმალა.

ამ ამბავმა ჩვენი რაზმი ძლიერ აალელვა და ეჭვი გარეჯელ ესიაშვილზე (სვიტინაზე) მივიტანეთ. დაუწყეთ დევნა მოსაკლავად. ის გადიმალა დავით გარეჯის უდაბნოში.

— მივაგენით ნამდვილ მკვლელს. მე ვიკისრე მისი მოკვლა, დავუწყე დევნა დღეობებში და ბოლოს შევიჩნიე თბილისში, ნაძალადევის ერთ-ერთ სარდაფის კიბეებში. გადავწყვიტე სროლა. უცებ მომაწოდა ფრიად საიდუმლო ბარათი. წავიკითხე და განცვიფრებული დავრჩი: სართიჭალის სატუსაღოდან გამოგზავნილი წერილი ჩემს მისამართზე (წერილი ფრიად სასწრაფოდ. ტურას).

ცხრა ამხანაგი დაუჭერიათ: ილიკო იმერლიშვილთან ერთად (მეხეთელი) სხვებიც. დახრჩობას ელიან. ითხოვენ თავდასხმას სატუსაღოზე და განთავისუფლებას.

ამხ. აივაზოვის (განჯელის) მკვლელზე შეხედულება შემეცვალა. სადილზე მიუთითე სტუმარს და ამხანაგებს მივაშურე საშველად. მათი გზაზე განთავისუფლება არ მოხერხდა. საჭირო შეიქნა მეტეხზე თავდასხმით განთავისუფლება, რაიც მოკლე ხნის განმავლობაში სისრულეში იქნა მოყვანილი.

აივაზოვს წითელ რაზმელებმა ძეგლი დაადგეს მკვლელობის ადგილზე, რომელიც რეაქციონერებმა სულ კენჭებად აქციეს და მოსპეს.

მაგრამ დღეს ისევ ხაშმელი ძველი და ახალი ამხანაგები სართიჭალის თემკომთან და აღმასკომთან ერთად სდგამენ აივაზოვს ახლად შეკეთებულ ძეგლს. სადაც დაესწრებიან მეზობელ სოფლებიდან ამხანაგები, მოწვეული იქნება ხორო.

ამხ. აივაზოვს ყავს დედა და ძმაც. უკანასკნელი გადასახლებული იყო და, თუ ცოცხალი არის, კარგი იქნება დაესწროს ძეგლის გახსნას. რომელიც მოხდება 11 აპრილს.

ამხანაგების დავალებით ვანო მაისურაძე.

ლორის ყურების, ქალებისა და მამაო სპირიდონის შესახებ

რცხილათი შორაპნის მაზრის სხვა სოფლებს არ ჩამოუვარდება თავისი კულტურული განვითარებით და მომზადებით. როგორც, სხვაგან, ისე აქაც, კარგა ხანია გლეხებმა თავი დააღწიეს ეკლესიის ბურუსს და ღორმუცელა მღვდელ-დიაკვნის ბრმა მიმდევრობას.

ყველაზე უმალ ამით რცხილათელ მღვდელმა სპირიდონ გოგსაძემ იზარალა. უყვარს სპირიდონს შემწვრები და ნამცხვრები, უყვარს ნუნუას წვენი. მაგრამ გარდა ამ სიყვარულისა, რომელიც მას მხოლოდ ტანჯვას აყენებს, მამაოს დღეს არაფერი შერჩენია. მუქთათ ჭამის და მუქთათ ქეიფის დრო კარგა ხანია ნოემ წაიღეს საზღვარ-გარეთ და უკან დაბრუნებას აღარ აპირებს.

სამაგიეროთ მამაო სპირიდონი თავის სანუგეშებლად დაკლულ-მოხარშულ ხორციელიდან, ცოცხალ ოთხფეხზე გადავიდა. არ უნდა თქვენს სპირიდონს არც შამფური, არც ცეცხლი, არც [illegible]. მიეცით ხელში ცოცხალი ოთხფეხი და იქვე იჯერებს მაზე გულს.

ამას წინათ მამაო სპირიდონმა როგორღაც დაიჭირა მეზობელ იუსტინე გამეზარდაშვილის ღორი, რომელიც იმდენი აჭყვირა, რომ საბრალო ყურპანტურას ხმა ცას წვდებოდა. აბა როგორ არ იყვირებდა ღორი, როცა მამამ ცოცხლადვე ყურები მოჭკვეთა და გვერდებ ჩამტვრეული გაისტუმრა.

შემდეგ მამაო სპირიდონმა დანა ახალუხის ქამარში გაირჭო და გასისხლიანებული ღორის ყურებით გამარჯვებული რაინდივით გამართა სახლისაკენ. ყურებ მოკვეთილი ღორი კი ცივი ხმით გაჰკიოდა ორღობეებში.

მაგრამ ღორს ვინ ჩივოდა, რომ ცოცხალ არსებისადმი სიყვარული მამაო სპირიდონს არ გაეფართოვებია და ქალებიც არ ჩაება თავის მავნე ჩვეულების ბადეში. მართალია მამაოსაც კაბა აცვია და ამით ბევრათ არ განსხვავდება ქალებისაგან, მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არაა იმისათვის, რომ გლეხებმა გულდამშვიდებით უცქირონ სპირიდონის უპრაგონო ხორხოზს და დაკალეებში. თუ ამ ჩვეულებასთან სპირიდონმა ღვინო დალია, ახლო ნუღარ გაუვლის მას ქალი, უფათერაკოთ არ გაუშვებს, რაღაც მისდა საუბედუროთ გლეხმა იაკო გოგსაძემ დაპატიჟა მამაო წვეულებაზე. დალია თუ არა ღვინო სპირიდონმა, როგორც მგელი ცხვარში, ისე გადივარდა ქალებში. მასპინძელი კიდევ ყოჩაღათ იყო, თორემ საქმე უსისხლოდ არ გათავდებოდა.

ასეთია რცხილათელ მამაოს საქმენი საგმირონი. მართალია ქალებს მან ჯერ-ჯერობით ყურაფერი დააკლო, მაგრამ ღორებს კი, თუ ასე გაგრძელდა კარგ დღეს არ დააყენებს. არც ერთს ყურებს არ შეარჩენს მთელ რცხილათეთში.

გიკალი.

გამგეს დასვენება უყვარს

(საჭამიასერი, გურია)

აფთიაქის გამგემ, ელენტმა გამოაკრა განცხადება: „კვირა უქმე დღეებში აფთიაქი დაკეტილია"-ო. გლეხები მოდიან 15-18 ვერსის მანძილზე. მაგრამ ისევ უკან ბრუნდებიან ცარიელი და გამოსთქვამენ სამართლიან უკმაყოფილებას. ჩემი ავადმყოფი ხალამდის მოკვდება უწამლოთ და შემდეგ თქვენი აფთიაქიც თქვენ გქონდათო.

სეროლი.

სანამდი ველოდოთ?

ყველასათვის ცხადია, რამდენად საჭიროა დღეს ყოველ საბჭოთა მოქალაქისათვის რუსული ენის ცოდნა. ენის შესწავლის ერთერთ საშუალებათ ლექსიკონი ჩაითვლება. ამიტომ იყო, რომ დიდი აღფრთოვანებით შეხვდა სტუდენტ. უდიდესი ნაწილი განცხადებას რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ „ამ მოკლე ხანში იბეჭდება და გამოვა რუსულ - ქართული ლექსიკონი პროფ. აბულაძის რედაქტორობით. ფასი ხელის მომწერთათვის იქნება რვა მანეთ ნახევარი, არა ხელის მომწერთათვის კი 15 მანეთიო. ხელის მოწერა კი შეიძლება მოქ. ს. თავართქილაძეს"-თანო.

მიუხედავათ იმისა, რომ სტუდენტები ეკონომიურად ჩამორჩენილი და კრიტიკულ მდგომარეობაშია, მათ მაინც არ დაზოგეს თავის კაპეიკები და შეიტანეს ფული ხსენებული წიგნის გამოსაწერად. ზოგმა ორი მანეთი, ზოგმა სამი, ხუთი და სხვა. გავიდა მას შემდეგ ერთი წელიწადი, მაგრამ რუსული — ქართული ლექსიკონი დღესაც არ გამოსულა და, ვინ იცის, როდის გამოვა. ამის შესახებ აღარაფერს აღარ ამბობენ პატივცემული გამომცემელნი, თუ ორი სამი თვის წინად ს. თავართქილაძე კიდევ იძლეოდა იმედებს, ამ მოკლე ხანში გამოვა 1 ტომიო, ეხლა აღარც ეს არის. ის ამბობს. რომ წელს შეიძლება გამოვიდეს 1 ტომიო. მეორე ტომი კი, ვინ უწყის, როდის გვეღირსება.

რა უნდა უწოდოთ ამას, უბრალო მატყუარობა, თუ კიდევ მეტი?

ღარიბი სტუდენტი.

საზოგადო სამუშაოები

აჭარისტანში

მთელ აჭარისტანში ამჟამად ითვლება 14 შრომის კოლექტივი, რომლებშიაც მუშაობს 400 ზე მეტი კაცი. ყველაზე მსხვილი კოლექტივებია: მეჩექმეთა, მკერავთა, პურისმცხობთა, წყალსადენის მუშათა, ნავთის ჩამომსხმელთა. ამ კოლექტივებში ირიცხება 230 კაცი. მიმდინარე წელში არ არის განზრახული ახალი შრომის კოლექტივების გახსნა, სამაგიეროდ გაფართოებული იქნება არსებული კოლექტივები.

თებერვალში მოეწყო საზოგადო სამუშაო, რომლის მიზანია ევკალიპტის ხეების გავრცელება აჭარისტანში. ევკალიპტის ხე ხარობს ნოტიო ადგილებში, სადაც მალარია არის გავრცელებული. ეს მცენარეები ძლიერ უწყობს ხელს ჭაობების ამოშრობას, რადგან ნიადაგიდან სწოვს სინოტიეს და ამავე დროს თავის ფესვებით ამაგრებს ნიადაგს.

ეროვნულ უმცირესობათა სკოლები

ამჟამად ეროვნულ უმცირესობათა სკოლები არსებობს ქალაქ თბილისში, მის მაზრაში, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, თელავის, სიღნაღის და დუშეთის მაზრებში. საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე მთელ რესპუბლიკაში გაიხსნა: სომხური—120 სკოლა, აქედან 97 ოთხწლ., 9 ცხრაწლ. 14— შვიდწლ. თურქული—84, მათ შორის 81 ოთხწლ. და 3 შვიდწლედი; ოსური—27, აქედან 26 ოთხწლედი, 1 შვიდწლედი; რუსული—59, აქედან 36 ოთხწლედი, 17 შვიდწლედი, 6 ცხრაწლედი; ბერძნული—35, მათ შორის 33 ოთხწლედია და 2 შვიდწლედი; ებრაული 1 შვიდწლედი და ერთიც 9 წლედი; გერმანული—5 ოთხწლედი, 3 შვიდწლედი, 1 ცხრაწლედი, სულ 9; ასირიული—2 ოთხწლედი; პოლონური—1 ოთხწლედი. ქურთ-ეზიდების—1 ოთხწლედი. სულ ამჟამათ საქართველოში არსებობს ეროვნებათა უმცირესობის 340 სკოლა. ყველა სკოლები იმყოფება განათლების კომისარიატის ხარჯზე.

200.000 მანეთი

უმუშევრობასთან საბრძოლველათ

შრომის სახალხო კომისარიატმა საკავშირო თანხებიდან მიიღო 42,000 მანეთი საქართველოში უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ თანხით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოეწყობა საზოგადო სამუშაოები, თანხების ნაწილი გადაეცემა შრომის კოლექტივებს მუშაობის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წარმოებითი ხასიათის შრომის კოლექტივებს. ამ წლის ბოლომდე შრომის კომისარიატი საკავშირო თანხებიდან კიდევ მიიღებს 158,000 მანეთს, რომელიც მოხმარდება მთლიანად უმუშევართათვის საზოგადო სამუშაოების მოწყობის საქმეს და შრომის კოლექტივებს. ამ რიგათ წელს უმუშევრობასთან საბრძოლველად საქართველოში დაიხარჯება 200,000 მანეთი.

827000 დესეტ. მორწყვა

ამიერ - კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით შეიმუშავა საირიგაციო სამუშაოების ხუთ-წლიანი გენერალური გეგმა.

ამ დროის განმავლობაში სულ ჩატარებული იქნება 42 სამელიორაციო სამუშაო 826.500 დესეტინის სივრცეზე. ამ რაოდენობიდან აზერბეიჯანზე მოდის 14 სამუშაო—483.000 დესეტინის სივრცეზე, საქართველოზე 17 სამუშაო—228.500 დესეტ. და სომხეთზე 11 სამუშაო—115.000 დესეტინის სივრცეზე.

ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ ბამბის ნათესებისათვის გამოსადეგი მიწების სივრცე გაიზრდება 102.200 დესეტინით; აქედან აზერბეიჯანში — 78.500 დესეტინით, საქართველოში — 18.200 დესეტინით და სომხეთში 15.500 დესეტინით. სარწყავი მიწების სივრცე გაიზრდება 91 პროცენტით.

ექსკურსია თბილისის მიდამოებში

კვირას, 10 აპრილს, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა — მგზავრობის განყოფილება აწყობს პირველ საგაზაფხულო ექსკურსიას შავნაბადაზე. გასვლა დილის 8 საათზე, დაბრუნება საღამოს 7 საათზე.

წამსვლელებმა თავი უნდა მოიყარონ თავისუფლების მოედანზე დილის 7 ნახ. —8 საათამდე. ცუდი ამინდის გამო ექსკურსია გადაიდება შემდეგი კვირისათვის.

საჰაერო სპორტი

საბჭოთა კავშირში

საუბარი ამხ. გარაჟანიძესთან

თბილისში ჩამოსულმა მოსკოვის ავიაქიმის საფრენოსნო სკოლის უფროსმა და ს. ს. რ. კ. საჰაერო ფლოტის აკადემიის მსმენელმა ამხ. გარაჟანიძემ, საჰაერო სპორტის შესახებ საბჭოთა კავშირში ჩვენს თანამშრომელს აცნობა: —მოსკოვის ავიაქიმთან არსებობს სასპორტო სექცია, რომელიც შესდგება შემდეგ განყოფილებებისაგან: სამოდელო, საპლანერო, მსუბუქ მოტორების შემსწავლელი და საფრენოსნო.

სამოდელო სპორტზე მუშაობენ ახალგაზრდები 15 წლის ასაკამდე. ისინი სწავლობენ საჰაერო ფლოტის საფუძვლებს და აგებენ მფრინავ და არა მფრინავ მოდელებს. დრო გამოშვებით ეწყობა შეჯიბრი ქალაქის რაიონებსა და ქალაქთა შორის.

სამოდელო განყოფილებიდან ახალგაზრდები გადადიან საპლანერო განყოფილებაში. აქ სწავლობენ პლანერების აგების საქმეს და ითვისებენ ჰაეროდინამიკის კანონებს.

საპლანერო წრეები არსებობენ ყველა წარმოებებთან და სასწავლებლებთან. სამაგალითო წრეები თავის აქტიურ წევრებს აგზავნიან ცენტრალურ საპლანერო სკოლაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები დაზგებიდან და განსაკუთრებით რკინის გზელები უკეთესად ითვისებენ საგანს.

წელიწადში ერთხელ ეწყობა სრულიად საკავშირო საპლანერო შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ უცხოელებიც.



მფრინავი ამხ. გარაჟანიძე

შემდეგ სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული მსუბუქ მოტორების შემსწავლელ განყოფილებას.

ამ მხრივ მიღწევები გვაქვს, მაგალითად, ამხ. რაფაელიანმა (ა. კ. საჰაერო რაზმის უფ. მექანიკოსი) ააგო ავიეტკა (მსუბუქი ჰაეროპლანი)—18 ძალიან მოტორით და მან უკეთესი შედეგები მოგვცა, ვინემ თანამედროვე ინგლისურმა ავიეტკამ. ამჟამად მთავრდება სამი—ორ ადგილიანი ავიეტკის აგება, რის შემდეგაც საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოეწყობა საავიტაციო ფრენა.

გაცხოველებული მუშაობაა საფრენოსნო განყოფილებაში. მას აქვს სპეციალური სკოლა, რომლის მოსწავლეებმა მიიღეს ამუნდსენის დირიჟაბლი გატჩინოში. დირიჟაბლი იქ იდგა ერთ თვეს და მოსწავლეები დირიჟაბლების აგებას გაეცნენ პრაქტიკულად.

ამჟამად სკოლა აგებს პატარა დირიჟაბლს ფრენის შესწავლის მიზნით.

ამას ხელი შეუწყო თავისუფალი ფრენოსნობისათვის ორი ჰაეროსტატის აგებამ. (ერთი მათგანი აგებული იყო ამხ. გარაჟანიძის ხელმძღვანელობით, რომელზედაც თვითონ გაფრინდა).

სხვათა შორის—განაცხადა დასასრულ ამხ. გარაჟანიძემ,—ჩემს მიზანს შეადგენს საჰაერო სპორტის საქმის გამოკვლევა თბილისში. საქართველოს ავიაქიმს აგებული აქვს უკვე პლანერი, რომლის გამოცდასაც დავესწრები.

უნდა აღვნიშნო, რომ თბილისის პირობები უაღრესად ხელს უწყობს პლანერიზმის განვითარებას და მე ვფიქრობ, რომ პლანერების მორიგი საკავშირო შ[illegible]ი მოეწყობა აქ.

ამასთანავე მე მოსკოვიდან ჩამოვიტანე დიდძალი ლიტერატურა საჰაერო სპორტის შესახებ და ჩავატარებ მთელ რიგ მოხსენებებს ამ საკითხზე.

თათბირი

ელექტროფიკაციის საკითხებზე

ს. მ. უ. ს. ელექტროფიკაციის განყოფილებაში შესდგება თათბირი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონების ელექტროფიკაციის შესახებ. თათბირის პირველ ორ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი აჭარის წყალის. ჰიდრო - ელსადგურის საამშენებლო საკითხების შესახებ.

თათბირზე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა გეოლოგი კონიუშევსკი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აჭარის ჰიდრო - ელსადგურის ასაგები ადგილის გეოლოგიური გამოკვლევა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მან პირველ რიგში მოახდინა სადგურის მთავარი ქვეშა გვირაბის გამოკვლევა და გამოარკვია, რომ გვირაბის შიგნითა მხარე საკმაოთ დაზიანებულია და თუ გვირაბის სათავე და ბოლო ნაწილი არ იქნა გამაგრებული ე. წ. ცემენტის სალტებით,—მასში წყალის გაშვება სახიფათო იქნება.

ინჟ. მაშევსკის მოხსენების გამო—თათბირმა დაადგინა სასწრაფოდ იქნას დაწყებული სადგურის ასაგები დარჩენილი სამუშაოები და გამოიმუშავა მიმდინარე წლის სამუშაოთა საკალენდარო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში გათვალისწინებულია, როგორც ქვეშა გვირაბის გამაგრება, ისე სხვა დარჩენილი მიმდინარე სამუშაოთა წარმოება წლის ბოლომდე.

ყველა გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლათ, საჭირო საამშენებლო მასალების შესაძენათ და მუშა ხელის დასაქირავებლათ გამოთხოვილია 817.550 მანეთი.

უკანასკნელ სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენება საკალენდარო გეგმის შესრულების წესის შესახებ.

თათბირის დადგენილებებს განიხილავს სახალხო კომისართა საბჭო.

ა.-კავკ.-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში

ამჟამად ამიერ-კავკასია-აღმოსავლეთის პალატა მთავარ ყურადღებას აქცევს ერთის მხრივ ინფორმაციის საქმის სათანადო ნიადაგზე დაყენებას, და, მეორეს მხრივ, ოსმალეთის და სპარსეთის ეკონომიკის შესწავლას და მათი ძირითადი პრობლემების გაცნობას. ამ მუშაობას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ მეურნეთათვის, რომელნიც თავისი საქმიანობის მიხედვით დაინტერესებულნი არიან აღმოსავლეთ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში.

კარგად მოწყობილი კომერციული და ეკონომიური საკორესპონდენტო კავშირი აღმოსავლეთ ქვეყნების მთავარ პუნქტებთან ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ეკონომიკასთან გაცნობას; ამიტომ პალატა ღებულობს ენერგიულ ზომებს, რათა დაამყაროს ასეთი კავშირი.

ახლო მომავალში პალატა შეადგენს საკონიუნქტურო მიმოხილვებს ამიერ-კავკასიასთან მოსაზღვრე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ვაჭრობის შესახებ. პალატის ამ მუშაობაში ძლიერ დაინტერესებულია ამიერ-კავკასიის სახ[illegible]ფო საგეგმო კომისია.

ამასთანავე, პალატას განზრახული აქვს შეუდგეს იმ ინფორმაციების, პერიოდულ გამოცემას რომლებიც აინტერესებს სამეურნეო ორგანოებს. ამას გარდა, პალატა შეუდგა ოსმალეთის და სპარსეთის ეკონომიურ რუკის შედგენას რომელზედაც აღნიშნული იქნება ადმინისტრატიული საზღვრები, გზები, სანაოსნოები, საჰაერო წარმომადგენლობათა და სავაჭრო ადგილმდებარეობა; რუკაზე იქნება აგრეთვე ნაჩვენები საბჭოთა კავშირის სამეურნეო და სავაჭრო ერთეულების განყოფილებები ამ ქვეყნებში.

ამხ. გიორგი მახარაძის საქმე

ამას წინად „კომუნისტში" (№ 5) დაიბეჭდა იერემია იმნაიშვილის მიერ ხელმოწერილი კორესპონდენცია სადაც მთელი რიგი მძიმე ბრალდებები იყო წამოყენებული ავტორის მიერ გიორგი მახარაძისა და მისი ცოლის წინააღმდეგ, (ორივე პარტიის წევრები), რომელიც „[illegible]" არის მონათლული კორესპონდენციაში.

ამხ. გიორგი მახარაძე პარტიის წევრია 1917 წლიდან. ცოლიც 1918 წლიდან პარტიაშია. შვილი წითელ ჯარში მსახურობს და ასრულებს იქ საპასუხისმგებლო მოვალეობას. ამხ. მახარაძე საქართველოს გასაბჭოებამდე ეწეოდა არალეგალურ მუშაობას და იყო გურიის ორგანიზაციის წევრი, იბრძოდა და მუშაობდა პარტიის სასარგებლოთ, ეხმარებოდა მას ყოველმხრივად, რისთვისაც მენშევიკები მას სასტიკათ სდევნიდენ და რამოდენიმეჯერ იჯდა საპყრობილეში სხვა ამხანაგებთან ერთად. არავითარი ვაჭრობას ამ დროს და არც შემდეგ ამხ. მახარაძე არ ეწეოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამხ. მახარაძე შუხუთის სოფლის მცხოვრებია, ლანჩხუთის მახლობლათ. ორივე ეს კუთხე მენშევიკების ბუდეთ ითვლებოდა. ორივე ნ. ჟორდანიას და მისი დამქაშების ამ ნამდვილ „საბრძანებლათ" იყო გამოცხადებული. ამხ. მახარაძე არ შეუშინდა ამ მდგომარეობას, გაბედულათ უარჰყო „დიდი მეზობლის" ჟორდანიას მუხანათური იდეია და თავის დროზე, აშკარათ და გაბედულათ მიეკედლა კომუნისტურ პარტიას. ხელობით ამხ. მახარაძე არის ქვის მთლელი და, სხვათა შორის შეპყრობილია გულის აშკარა და მძიმე სნეულებით. ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს საპყრობილეში ავადმყოფობდა იგი ამ სენით.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მახარაძე მუშაობს სხვა ამხანაგებთან ერთად გურიაში. იყო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სამაზრო მილიციის უფროსი და სხვებთან ერთად გაშეთრებულათ ებრძვის იმ დროს ბანდიტებს, ქურდ-ბაცაცებს და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტებს გურიაში.

ამ რიგათ გიორგი მახარაძეს იცნობენ ბევრი ამხანაგები, იცნობს პარტია და მით უმეტეს გურიის ორგანიზაცია. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა ამხ. მახარაძეს უსათუოდ ეყოლებოდა და ყავს დღესაც მასთან ცუდათ განწყობილი პირები, მენშევიკურათ მოაზროვნენი და მოსაქმენი.

1925 წელს ამხ. მახარაძე გულის დაავადებით დიდი ხნით ვარდება ლოგინათ და ამ დროს მცირე მატერიალურ დახმარებას უწევს მას ოზურგეთის დამზღვევი სალარო. შემდეგ ექიმების რჩევით მიდის ქობულეთში სამკურნალოთ. აქ მის ჯანმრთელობას გაუმჯობესება დაეტყო და დღეს იგი მსახურობს ჩაქვის მეთუთე საბჭოთა მამულში.

კორესპონდენციის ავტორი იმნაიშვილიც პარტიის წევრია, სხვათა შორის, იმავე სოფლის მცხოვრებია, სადაც თვით გიორგი მახარაძე სცხოვრობდა. მაგრამ რამოდენიმე წელიწადია, რაც ამხ. იმნაიშვილი აღარ სცხოვრობს თავის სოფელში (შუხუთში), იმყოფება თბილისის მაზრაში და მუშაობს ერთ-ერთ თემში პარტიული ხაზით.

კორესპონდენციის დაბეჭდვის შემდეგ ამხ. მახარაძემ მიმართა რედაქციას, მიმართა სახამართლოს, მიმართა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მოითხოვა მასზე წაყენებული ბრალდებების განხილვას.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ეს საქმე გამოძიებულ იქნა ადგილობრივათ, დაკითხულ იქნა 15-მდე პარტიული და უპარტიო მოწმენი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხანაგების თანდასწრებით და მონაწილეობით. გამოძიება აწარმოვა აგრეთვე ოზურგეთის მაზრის პარტკომმაც.

შედეგი: წამოყენებული ბრალდებები აღმოჩნდა სიყალბეზე აგებული.

როგორც თვით ამხ. იმნაიშვილის ჩვენებიდან გამოირკვა, მას თავისი კორესპონდენცია აუგია სხვისაგან გაგონილ ამბებზე.

სხვათა შორის, გამოირკვა, რომ ამ ყალბ ცნობებს ამხ. იმნაიშვილს აწვდიდენ შუხუთელი მენშევიკური ელემენტები, რომლებიც; ზოგნი აქ, თბილისში სცხოვრობს, ზოგი კი სოფლად — შუხუთში; ცნობების მოწოდებაში მონაწილეობა მიუღია აგრეთვე ერთ-ერთ პარტიის წევრს, რომელიც თბილისში ცხოვრობს.

ყველა ცნობები აღმოჩნდა პირად ინტერესებზე და ინტრიგებზე აგებული, პარტიის წევრის ლაფში ამოსვრისა და პოლიტიკურათ მისი სიკვდილის მიზნით. ამას ამტკიცებს ძიების მასალები და მოწმების ჩვენებანი.

იმნაიშვილი მოექცა ასეთი ყალბი, კერძო ინტერესებით გამოწვეული ინფორმაციის გავლენის ქვეშ, არ შეამოწმა არც ერთი ბრალდება, რომლის შესახებ თვითონ არაფერი იცოდა და დასტამბა ზემოთ მოყვანილი კორესპონდენცია ამხ. წინააღმდეგ და მით უმართებულოთ ჩირქი მოსცხო პარტიის წევრს.

ოზურგეთის მაზრის პარტკომმა თავისი ნაძიების დასკვნით გადმოუგზავნა საკონტროლო კომისიას, ხოლო თვით უკომის მდივანმა ამხ. გურგენიძემ. წერილი მოათავსა „კომუნისტი"-ს №-ში იმის შესახებ, რომ არც ერთი ბრალდება არ დამტკიცდა. (იხ. „კომ. № 55).

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა ეს საქმე და ამხ. იმნაიშვილს ყალბი და სრულიათ შეუმოწმებელ, სხვის მიერ მოწოდებულ ცნობებზე აგებულ კორესპონდენციის გაზეთში მოთავსებისათვის და მით ამხანაგის უმართებულოთ ჩირქის მოცხებისათვის, გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

ასეთია ამ საქმის ვითარება.

რას გვეუბნება იგი?

პირველი: იმას, რომ ზოგიერთი პირები ცუდათ იყენებენ კორესპონდენტის სახელწოდებას, ვერ ხმარობენ მას ღირსეულათ, რედაქცია და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს და ქმნიან ამა თუ იმ პიროვნების შესახებ სიყალბისა და სიცრუით სავსე წარმოდგენას.

მეორე: კორესპონდენტი არ უნდა ენდოს ადვილათ სხვის მიერ მოწოდებულ ცნობებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ამ ცნობებს არა საიმედო საეჭვო პირები გვაწვდიან.

მესამე: კორესპონდენტი ფრთხილად უნდა იყოს, რომ არ წამოეგოს ვისმეს ანკესზე და არ გახდეს ინტრიგისა და კერძო ინტერესებზე აგებული ყალბი, შეუმოწმებელი ცნობების ბრმა იარაღი და მსხვერპლი. მეტი სიფრთხილე, მეტი შემოწმება მოწოდებულ ცნობების.

მეოთხე: შეუმოწმებელი ცნობები არ უნდა გაგზავნონ ავტორებმა დასაბეჭდათ. უკეთესია იგი პირველათ გადმოუგზავნონ საკონტროლო კომისიას და მ.-გ. ინსპექციას, რომლებიც შეამოწმებენ მას. მაშინ თავიდან ავიცილებთ ამხ. იმნაიშვილისებურათ ბრალდებების წამოყენებას ამხანაგების წინააღმდეგ და უმართებულოთ ვისმეს სახელის გატეხას.

საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ა. დოლიძე.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა მეექვსე ყრილობა

მერვე სხდომა

ყრილობის მერვე სხდომაზე, 8 აპრილს, მოსმენილ იქნა თეზისები ცენტრალური გამგეობის მომავალი შემადგენლობის სახელმძღვანელოთ.

საორგანიზაციო საკითხების შესახებ შემუშავებული თეზისები წაიკითხა ამხ. თურქიამ. თეზისებში დაწვრილებითაა აღნიშნული ყველა ის ზომები, რომელიც უნდა მიიღოს ახალმა ცენტრალურმა გამგეობამ—საკავშირო დემოკრატიის გასატარებლად, ადგილებთან ცოცხალი კავშირის დასამყარებლათ, სადელეგატო კრებების მუშაობის გასაცხოველებლად და სხ. თეზისებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე კავშირის ზრდის ნორმის დაწესებას. მომავალში კავშირის წევრებათ მიღებული უნდა იქნენ უმთავრესად პროლეტარული ელემენტები. დიდი ყურადღება ექნება მიქცეული აგრეთვე უმუშევართა შორის მუშაობას: სისტემატიურათ მოეწყობა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრებები, სადაც გამოვლენ მოხსენებებით უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხების შესახებ.

სატარიფო - საეკონომიო საკითხების შესახებ თეზისები წაიკითხა ამხ. ღლონტმა. თეზისებში გათვალისწინებულია სამუშაო ხელფასის მტკიცეთ დაცვა, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების წესი, ხელფასის დავალიანებათა წინააღმდეგ ბრძოლა და საკონფლიქტო მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული კავშირის წევრთა ინტერესების დაცვას.

მომხსენებელმა ამასთანავე განმარტა, რომ ბევრ დაწესებულებაში დღემდე ადგილი აქვს ზედმეტი საათებში მუშაობას. ამის წინააღმდეგ ცენტრ. გამგეობამ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები და იმ დაწესებულებას, სადაც ზედმეტი სამუშაოებია, მიამაგროს უმუშევრები.

კავშირის საკულტურ-განმანათლებლო მუშაობაზე თეზისები წაიკითხა ამხ. ორჯონიკიძემ, რომელმაც დაწვრილებით განმარტა კავშირის კულტურული საქმიანობის ყველა საკითხები და დასახა მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

სხდომის დასასრულს არჩეულ იქნა კომისიები რეზოლიუციების შესამუშავებლათ. საღამოს მუშაობა სწარმოებდა კომისიებში.

წითელ ჯარში

საზამთრო სწავლების შედეგები

დამთავრდა საზამთრო სწავლება. მალე წითელი ჯარის ნაწილები გავლენ საბანაკოდ, რომ იქ განამტკიცონ და გააღრმაონ ზამთარში მიღებული ცოდნა და ეს ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაზე.

ჯარის ნაწილები უკვე შეუდგენ მზადებას ბანაკობისათვის და ეხლა უკეთებენ ჯამს ზამთარში მიღებულ ცოდნის.

ზამთრის განმავლობაში წითელ ყაზარმამ აწარმოა გაცხოველებული მუშაობა წითელ არმიელთა მოსამზადებლად და მიაღწია დიდ შედეგებს.

გასული წლის შემოდგომაზე ყაზარმამ მიიღო 1904 წელში დაბადებული ახალწვეულნი. მათ შორის იყო ბევრი წერა-კითხვის უცოდინარი, რომელნიც ყაზარმაში მოსვლისთანავე იქნენ აყვანილი აღრიცხვაზე. მათთან სამეცადინოთ გამოყოფილ იქნენ მომზადებული ამხანაგები. მეცადინეობა სწარმოებდა ყოველდღიურათ.

დღეს წითელ ყაზარმაში არ არის არც ერთი წითელ არმიელი, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა. ბევრი არმიელი, რომელმაც ყაზარმაში მოსვლისას არ იცოდა წერა-კითხვა, ეხლა თავისუფლად კითხულობს წიგნს და თანამშრომლობს ნაწილის კედლის გაზეთში.

დაუბრკოლებლივ მიმდინარეობდა ნაწილებში პოლიტიკური მეცადინეობა ორ წლიან პროგრამის მიხედვით.

პოლიტმეცადინეობას დათმობილი ჰქონდა ყოველდღიურათ ორი საათი.

წითელი არმიელები პოლიტმეცადინეობის საშუალებით საკმაოდ გათვითცნობიერდენ. ისინი უკვე კარგად იცნობენ საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურას და წესწყობილებას, აქვთ ნათელი წარმოდგენა მის შინაურ და გარეშე პოლიტიკაზე, იცნობენ წითელი არმიის ისტორიის და სამოქალაქო ომის პერიოდს, აგრეთვე გარკვეულნი არიან საერთაშორისო მდგომარეობაში.

დიდი მუშაობა ჩატარდა ყაზარმაში წითელ არმიელთა ჩასაბმელად სკოლის გარეშე საქმიანობაში. ამ მუშაობის შედეგათ მივიღეთ ის, რომ თვით წითელ არმიელთა სურვილით ყოველ ნაწილში ჩამოყალიბებულია მრავალი პოლიტიკური და საერთო საგანმანათლებლო წრეები, რომლებშიაც მუშაობს რამოდენიმე ასეული წითელი არმიელი. ამ წრეების ნამუშევარი თვით წითელ არმიელებს გადაჰქონდათ მასში და ხდიდენ ყველასათვის ხელმისაწვდომათ.

შემოდგომაზე გაწვეულთა შორის იყო ბევრი მუშკორი და სოფლკორი, რომელნიც თანდათანობით ჩაბმულ იქნენ მუშაობაში სამხკორთა წრეებში, რითაც გამოცოცხლდა ამ უკანასკნელების მუშაობა. სამხკორთა წრეებში საფუძვლიანად არის შესწავლილი საგაზეთო საქმე და კედლის გაზეთის ტეხნიკა. დღეს ყოველ ასეულს აქვს თავისი საკუთარი კედლის გაზეთი, რომელიც არის ნამდვილი მასიური ორგანო—გაზეთ „წითელ არმიელს" ყოველ ნაწილში ჰყავს კარგი მომზადებული და შეგნებული მუდმივი კორესპონდენტები, რომელთა რაოდენობა ყოველ დღე იზრდება.

ზამთრის განმავლობაში ჩატარებულ იქნა ფართე კამპანია წითელ არმიელთა ჩასაბმელად სხვადასხვა საზოგადოების უჯრედებში. ეხლა ყველა ნაწილში არის თ. ხ. ს. — ავიაქიმის, რემედასის და სხვა საზოგადოების უჯრედები რომელშიაც მრავლად არიან არმიელნი და ეწევიან აქტიურ მუშაობას.

რაც შეეხება სამხედრო ხასიათის მუშაობას, აქაც არის დიდი მიღწევები. ახალწვეულნი დიდი ხალისით ეტანებიან სამხედრო საქმეს და კარგადაც შეითვისეს იგი, რაც დაამტკიცა ნაწილებში ჩატარებულმა შეჯიბრებამ. დიდი მიღწევებია მეტადრე სასროლო საქმეში. ბევრმა წითელ არმიელმა სასროლო შეჯიბრზე მიიღო ჯილდო და დაიმსახურა მეთაურთა მადლობა.

საბანაკო პერიოდი უფრო განამტკიცებს ზამთარში მიღებულ ცოდნას. გარდა ამისა, წითელ არმიელნი ბანაკად ყოფნის დროს შეიძენენ ისეთ ცოდნას და გამოცდილობას, რომელნიც საჭირონი არიან ბრძოლის წარმოების დროს.

ი. ზ.

მეთაურნი გვეხმარებიან

(მე-6-ე ქართ. ლეგიონი)

ჩვენს ლეგიონში სკოლის გარეშე მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

ჩამოყალიბებულია შემდეგი წრეები: პოლიტიკური, ანტირელიგიური, სასპორტო, დრამატიული და სხვა; რომლებშიაც წითელ არმიელნი მუშაობენ ხალისიანად.

საღამოობით ლენინის კუთხეებში იმართება ხმა-მაღლა კითხვა და საუბრები. ვკითხულობთ წიგნებს, გაზეთებს; ამითი ვეცნობით ახალ ამბებს და ვიძენთ ცოდნას.

დიდ დახმარებას გვიწევენ ცოდნის შეძენაში ჩვენი მეთაურები. თავისუფალ დროს ისინი ჩვენთან არიან, გვებაასებიან სხვადასხვა საგნებზე, გვაძლევენ ახსნა-განმარტებას.

სახეთი მეთაურთაგანი არის ამხ. გ. კიკვაძე, რომელიც მთელ თავისუფალ დროს ატარებს წითელ არმიელებთან.

ამისთანა მეთაურები ხელს უწყობენ წითელი არმიის განმტკიცების საქმეს.

ვ. თ.

სანიტარული განათლება ქართულ ჯარში

მიმდინარე თვის პირველ რიცხვებში შესდგა თბილისში მდგომ ქართულ ნაწილების უფროს და უმცროს ექიმთა თათბირი.

თათბირის მიზანი იყო გამორკვევა იმის, თუ რა მდგომარეობაშია სანიტარული განათლება ქართული ჯარის ნაწილებში და გამოძებნა გზების მის გაჯანსაღებისათვის.

როგორც ექიმთა მოხსენებებიდან გამოირკვა სანიტარული განათლების მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

ყველა ნაწილებში ექიმთა თანაშემწეები სისტემატიურად ატარებენ სანიტარულ საათს, რომლის საშუალებითაც ისპობა სანიტარული უცოდინარობა წითელ არმიელთა შორის.

ლენინის კუთხეებში გამოყოფილია განსაკუთრებული სანიტარული განყოფილება, სადაც დაგროვილია სხვადასხვა მასალა და ლიტერატურა.

შექმნილია ლენინის კუთხეებთან „ჯანმრთელობის ჯგუფები", რომელშიაც შედიან უფრო აქტიური არმიელნი და რომელნიც ხელს უწყობენ სანიტარულ განათლების მსვლელობას ნაწილში.

დროგამოშვებით ნაწილებში ეწყობა სპეციალური სანიტარული კინო-სურათები და ლექციები ჯადო-ფარნით.

წითელი არმიის და ფლოტის სახლში თვეში სამჯერ იმართება სანიტარული წარმოდგენები ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანიტარული დასის მიერ ქართული ნაწილებისათვის.

სანიტარულ განათლების ნორმალურ მსვლელობას ხელს უშლის სათანადო წიგნების და პლაკატების უქონლობა ქართულ ენაზე.

სროლაში გავიმარჯვეთ

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

საზამთრო სწავლება უახლოვდება დასასრულს. მალე ნაწილები დასტოვებენ საზამთრო სადგომებს და გავლენ საბანაკოდ, რომ ველად შეიძინონ უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება.

საბანაკობის დროს წითელარმიელებს მოელით დიდი შრომა, რადგან ეს დრო გამოყენებულ უნდა იქნეს სერიოზული და რთული საგნების შესათვისებლად. ამიტომ არმიელნი სცდილობდენ, რომ ზამთრის პერიოდში მოეთავებინათ სავსებით განსაზღვრული პროგრამა.

შემოდგომაზე გამოწვეულმა ახალგაზრდებმა ზედმიწევნით შეისწავლეს ყველა საგნები. იციან კარგათ წესდებები, სამხედრო წყობილება, მაშხანას ხმარება, მისი დაშლა—აწყობა. საუკეთესოთ იციან მათ სროლის წესები.

ხშირად, საღამოობით, ლენინის კუთხეებში იმართება კითხვა-პასუხის საღამოები, რომლებზედაც წითელარმიელნი ეკითხებიან ერთი მეორეს სროლის წესებს.

ეწყობა აგრეთვე პრაქტიკული ვარჯიში სროლაში.

არმიელნი გადიან სასროლად ველად ასეულობით.

ბევრმა არმიელმა ისახელა თავი მარჯვე სროლით, ნიშანისთვის არც ერთი ტყვია არ აუცდენიათ.

გამარჯვებულებს მიეცათ საჩუქრები, რამაც წითელარმიელები კიდევ უფრო გახალისა.

მალე ჩვენ ლეგიონში ყველას ეცოდინება მარჯვე სროლა და არმიელის ტყვია უეჭველად მიაღწევს მიზანს.

ზ.

მუშათა ცხოვრება

მუშების დაწინაურება

კოლოფების ფაბრიკის „ინტერნაციონალის" დირექტორად დაინიშნა — ამხ. გამბაროვი გიორგი, ძველი მუშა - მეკოლოფე. დირექტორის მოადგილედ კი — ამავე ქარხნის მუშა—ამხ. ალ. ქარუმიძე.

ამხ. გამბაროვი — 28 წლისაა. წარმოებაში უმუშავნია 17 წელი. ამ სამი წლის წინად იგი ამორჩეულ იქნა მუშების მიერ ქარხკომს თავმჯდომარეთ; მან იქიდანვე დაიმსახურა, თავისი ნაყოფიერი საქმიანობით, მუშების სიყვარული.

ამხ. გამბაროვი აქტიური პროფმუშაკია, რისთვისაც იგი ამორჩეულ იქნა გემო - კვების კავშირის გამგეობის წევრად.

ამხ. გამბაროვმა დაჰყო ქარხკომის თავმჯდომარეთ თითქმის 2 ნახ. წელი.

შემ[illegible], ამხ. გამბაროვს ირჩევენ ამავე ქარხანასთან არსებულ კომუჯრედის პ.-მ. მდივნათ. გამბაროვმა აქაც გამოიჩინა შესაფერისი უნარი, რომელსაც გაუძღვა 8 თვე,

ამხ. გამბაროვი

ეხლა, როგორც ჩვენ ვხედავთ, გამბაროვი დანიშნულია სამეურნეო ფრონტზე, უფრო პ.-მ. მუშაკად — ქარხნის დირექტორად, სადაც ამჟამად მუშაობს — 312 მუშა და 11 მოსამსახურე.

ამხ. ქარუმიძე კი წარმოებაში მუშაობს 22 წელი. ის უწყინარი და გულკეთილი მუშაა. მას ყველანი პატივს სცემენ, როგორც ძველ და შეგნებულ მუშას. ამიტომ ამ 8 თვის წინად მას ირჩევენ მუშები ქარხკომის თავმჯდომარეთ, რომელიც ებმება სხვადასხვა ორგანიზაციულ მუშაობაში; იგი ხელს უწყობს კულტმუშაობის გაძლიერებას ქარხანაში; სათანადო ყურადღებას აქცევს მუშების მოთხოვნილებებს და აგრეთვე იცავს მათ ინტერესებს ადმინისტრაციის წინაშე. იგი საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც მუშებში აგრეთვე პროფორგანოებში, ბოლოს მას ნიშნავენ ქარხნის დირექტორის მოადგილეთ.

ამხ. ქარუმიძე

ორი მოწინავე და გამოცდილი მუშა ჩაუდგა წარმოებას სათავეში. ისინი ეხლა ადმინისტრატორები არიან, ეს დიდი მოვალეობაა.

იმედია რომ ამხ. ამხ. — გამბაროვი და ქარუმიძე თავიანთ მოპოებულ სიყვარულს მუშებში ბოლომდის შეინარჩუნებენ და წარმოებასაც სათანადოთ ააყვავებენ.

ვ. მთვრალაშვილი.

რატომ მოდუნდა საწარმოო თათბირების მუშაობა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მოსკოვში მოწვეული იყო საწარმოო თათბირების ყრილობა, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს ძალიან შენელდა საწარმოო თათბირების მუშაობა.

როცა რაიმე კამპანიას ვატარებთ, ან ახლად ვიწყებთ მაშინ ყველა ცდილობს რამეს გაკეთებას, ცოტა ხნის შემდეგ კი აღარ აინტერესებს მუშაობა. ბევრ ჩვენთაგანს ჩვევია, რომ თუ ერთი კარგი საქმე გააკეთა, სულ უნდა აქო და ადიდო, თუ ვინმემ არ შეაქო და მადლობა არ უთხრა, მაშინ ის ამბობს; ვინ გიფასებს, გინდა ბევრი გააკეთო და გინდა ცოტა, ყველას ერთი ფასი აქვსო.

რომ ეს ჭეშმარიტებაა ამას მტკიცება არ სჭირდება.

არის მეორე მიზეზი. ამხანაგები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმულნი საწარმოო თათბირებში, ასე ამბობენ, რაც დავადგინეთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, მაგრამ არაფერი არ იქნა მოყვანილი სისრულეში და ახალი რაც უნდა დავადგინოთ, იმასაც ის ბედი ეწევა. აქ შეიძლება დავეთანხმოთ ამხანაგებს, მაგრამ რა ქნას დაწესებულების უფროსმა, თუ მას ხელი შეკრული აქვს ჩვენი ბიუჯეტის წყალობით, უბიუჯეტოთ ერთი კაპ. არ იხარჯება. საწარმოო თათბირებზე ისეთი კითხვები სწყდება, რომლებსაც ყველას ფული სჭირდება და ამიტომ ყველა დადგენილებები ვერ მოდის სისრულეში.

მე მგონია თუ იყოს ერთნაირი თანხა ანუ ფონდი ამ თათბირების დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად. როცა საწარმოო თათბირებს ეცოდინება, თუ რის დახარჯვა შეიძლება ამ წელს, ამის კვალობაზე, ეცდება კიდეც ამის გატარებასაც.

ამ შემთხვევაში როცა განსაკუთრებული თანხა იქნება, მაშინ ადმინისტრაციის პასუხიც მოეთხოვება უმოქმედობისათვისაც.

ვ. ნ. ბ.

საბარგო რონოდების განაწილება

რონოდები ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება რკინის გზებზე ტვირთის გადასაზიდავად, ხოლო მათი არა მიზანშეწონილად განაწილების გამო საშუალება არ გვეძლევა დავაკმაყოფილოთ ტვირთის გამგზავნელთა ყველა მოთხოვნილებები თავის დროზე.

ამჟამად ცარიელი რონოდები უმთავრესად დგანან დიდ სადგურებზე, ხოლო პატარა სადგურებზე ასეთები სრულიად არ მოგვეპოვება. ამის გამო, როდესაც პატარა სადგურზე წარმოადგენენ ხოლმე ტვირთს გასაგზავნათ, სადგური თხოულობს რონოდებს რომელიმე ახლო მდებარე დიდ სადგურიდან. ვიდრე უკანასკნელი შეასრულებდეს ამ მოთხოვნილებას, გადის სამი-ოთხი დღე, რის განმავლობაში ტვირთი ხშირად კიდევაც ფუჭდება სადგურზე.

რომ ამას არ ექნეს ადგილი, საჭიროა, რომ პატარა სადგურებზე, ის როგორც დიდ და საშუალო სადგურებზე ვიქონიოთ მარაგში რონოდების მცირე რიცხვი მაინც, რონოდების მიზანშეწონილი განაწილება სადგურებზე საშუალებას მისცემს რკინის გზას თავის დროზე მიაწოდოს ტვირთის გამგზავნელს რონოდა.

ამით უსათუოდ შემცირდება რონოდების უნაყოფოდ დგომა და მასთან დაკავშირებით მატებს რკინის გზის შემოსავალიც.

რომ ჩვენს ღონისძიებებს მოჰყვეს უფრო კარგი შედეგი საჭიროდ მიგვაჩნია ამკრეფი მატარებლების რიცხვის ცოტათი მაინც გადიდება ზოგიერთ უბნებზე. გადიდების მოხდენა შეიძლება ზოგიერთ ნაკლები მუშაობის მქონე უბნების ხარჯზე და ეს გარემოება არ მოითხოვს ზედმეტი თანხის გაღებას.

საერთოდ, ჩვენი ღონისძიება მიმართული უნდა იქნეს, რომ რკ.-გზის ტრანსპორტი გავხადოთ უფრო მოქნილი.

მ. რკინის გზელი.

მუშათა ქრონიკა

— **წარმოდგენა.** კვირას, პლეხანოვის სახ. კლუბში წარმოდგენილ იქნება პიესა „ხანუმა".

— **კედლის გაზეთი.** თბილისის აღმასკომის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთი „აღმასკომის მეთვალყურეს" მე-18 ნომერი.

— **ობლიგაციების გავრცელება.** სადგ. თბილისის კონდუქტორთა კრებამ დაადგინა ხელი შეუწყოს 10 პროც. მომგებიან სესხის გავრცელებას.

— **კლუბის გამგის და გამგეობის თავმჯდომარის დანიშვნა.** ამხ. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გამგეობამ კლუბის გამგედ და გამგეობის თა—რედ დანიშნა ამხ. გრ. ალავიძე.

ამავე კლუბის ქართულ დრამწრის მიერ დღეს წარმოდგენილ იქნება პიესა „დედინაცვალი". და „არივ დარია".

ადგილობრივი ტრანსპორტი

საგზაო მშენებლობაზე გაღებულ საშუალებათა ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ მიმოსვლა, კერძოთ ავტომიმოსვლა საქართველოს გზებზე ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოწესრიგებული. ავტომიმოსვლისათვის ჩვენი გზები ჯერ კიდევ სავსებით არ არიან მზად.

გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იწვევს გზის ე. წ. ღორღის ზედაპირის გაცვეთას. ეს გაცვეთა წელიწადში უდრის 1 სანტიმეტრს.

10 წლის შემდეგ,—სპეციალისტების გამოანგარიშებით,—საჭირო გახდება გზის ზედაპირის გასქელება 1300 კილომეტრის მანძილზე, ე. ი. წელიწადში 130 კილომეტრზე. ამას დასჭირდება 650.000 მანეთი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ზედაპირის გასქელება ერთ ვერსზე ჯდება 5.000 მანეთი.

ასეთივე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არიან, აგრეთვე, ხიდები, განსაკუთრებით დროებითი სახის ხის ხიდები. საგზაო მშენებლობაზე მიმდინარე წელს საქართველოსათვის გადადებულია სულ 2.900.000 მან.—ე. ი. საჭირო თანხის 50 პროც.

ხუთწლიური გეგმით საქართველოს გზებზე განზრახულია დაიხარჯოს 14 მილიონი მანეთი. მიმდინარე წლისათვის ამ თანხიდან გაღებულია სულ 1 მილიონი მანეთი.

ინდუსტრიალიზაციის გატარების დროს, ფართე სამრეწველო აღმშენებლობის პირობებში ადგილობრივმა ტრანსპორტმა უდიდესი როლი უნდა შეასრულოს.

თუ საურმე გზების უვარგისობა შეაფერხებს ნედლეულის მიწოდებას, მაშინ ქარხნები ვერ შესძლებენ ნაყოფიერ მუშაობას.

თბილისის საინჟენერო-ტეხნიკურ ძალებს შორის გამოსთქვამენ აზრს, რომ უფრო მიზანშეწონილია, რათა საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ გაიყვანოს ასფალტის გზები, რაც გაცილებით იაფი ჯდება. საზღვარგარეთ უკვე დიდი ხანია აღიარებულია გზებსა და ქუჩებზე ასფალტის დაგების მიზანშეწონილობა. გზებზე ასფალტის დაგება გაცილებით იაფი ჯდება მოკირწყვლასა და დაღორღვაზე. ამ მიზნით მოსკოვში განზრახულია განახლდეს სიზრანის ასფალტის საბადოების ექსპლოატაცია.

საქართველოს ს.მ.უ.ს. სამთო-ქიმიურ სამმართველოს წინადადება მიეცა მიმდინარე წლის ზაფხულში დაამზადოს 200.000 ფუთი ბიტუმი გზებზე ასფალტის დასაგებად.

ნატანების ბიტუმოვანი ქვიშის მარაგი უდრის რამდენიმე მილიარდ ფუთს. ამ ქვიშიდან უპარაფინოდ გამოდის გაცილებით უკეთესი ღირსების ბიტუმი.

საქართველოს გზატკეცილების 657 კილომეტრი მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას—სრულ გადაკეთებას. საქართველოს გზატკეცილების სამმართველო გზების შესაკეთებლად მუშაობას აწარმოებს არტელების საშუალებით, არტელების მუშაობის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ ისინი არ უზრუნველყოფენ სამუშაოს დროზე შესრულებას. ხელშეკრულების დადების შემდეგ ისინი იღებენ ავანსს, ასრულებენ თავისთვის ხელსაყრელ სამუშაოს და, იყო ასეთი შემთხვევებიც, ანებებენ თავს მუშაობას და უნუგეშო მდგომარეობაში სტოვებენ ამ უკანასკნელს. ასეთ პირობებში ზარალობს ან სამეურნეო ან ტეხნიკური მხარე.

გზატკეცილების სამმართველოს განზრახული აქვს 10 დიდი გზის გაყვანა.

რკინისგზებზე

სათბობი მასალის ეკონომია

გასულ წელს ა.-კ. რკ. გზებზე დაიხარჯა 6 მილიონი მანეთის მაგარი და თხიადი სათბობი მასალა, მხოლოდ საექსპლოატაციო საჭიროებისათვის.

წელს მატარებლების მოძრაობა გასულ წელთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია და ამისათვის საჭირო იქნება 7 მილიონი მანეთის სათბობი მასალა.

სათბობი მასალის ასეთი დიდი რაოდენობით დახარჯვის აუცილებლობის გამო წამოყენებულია საკითხი მისი უფრო ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის შესახებ.

ამ მხრივ სათანადო ღონისძიებათა შესამუშავებლად ამჟამად მუშაობენ ა.-კ. რკ. გზ. საუკეთესო სპეციალისტები.

ქრონიკა

რკინის გზის შტოს გაყვანა

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა დაადგინა მისცეს ჯულფა - ბაქოს რკინის გზის სამმართველოს 2.000 მანეთი რკინის გზის შტოს გასაყვანად პეტრპავლეს ბამბის საწმენდ ქარხნამდი აზერბეიჯანში. მიღებულია აგრეთვე დადგენილება, რომ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიეცეს 6.000 მანეთი ყარაიას სარწყავი სისტემის მთავარი ნაწილის შესაკეთებლად.

ახალი სახელმწიფო სესხი

საქართველოს ფინსახკომის ცნობით, პირველი აპრილისათვის ფინსახკომის ხაზით საქართველოში ჩატარებულია ხელის მოწერა სესხის ობლიგაციაზე — 113.425 მან. რაოდენობით. ამაში არ შედის ხელისმოწერა აჭარისტანში, გორში, ოზურგეთში, ზესტაფონში და ხაშურში.

ამერიკული ვაზის სანერგეები

საქ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ამერიკიდან და საფრანგეთიდან გამოიწერა ფილოქსერის გამძლე ამერიკული ვაზის 6 მილ. სანერგე. ამ რაოდენობიდან უკვე მიღებულია 4.300.000 სანერგე. სანერგეები განაწილებული იქნება მევენახეებს შორის.

მეცხვარეობის განვითარებისათვის

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო მეცხვარეთა საკავშირო საზოგადოებასთან, რომლის ძალით მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი სუბსიდიის სახით მეცხვარეობის განვითარებისათვის მიიღებს 250.000 მანეთს.

ამ სუბსიდიის ანგარიშში მიწსახკომმა შეიძინა 12.000 ჯიშიანი ცხვარი, რომლებიც განაწილებული იქნება სახალხო მამულებსა და საგლეხო კოლექტიურ მეურნეობებს შორის.

შრომის სახალხო კომისარიატში

◆ **ხელ-ტანისამოსი.** შრომის დაცვის განყოფილება ამჟამად იმუშავებს სპეცტანისამოსის ახალ ნორმებს.

◆ **შრომის პირობების დარღვევისათვის** 1 იანვრიდან 1 აპრილამდე დაჯარიმებული და პასუხისგებაში იქნა მიცემული 130 წარმოება-დაწესებულება.

სოცუზრუნველყოფა

◆ **რევოლიუციის და სახელმწიფოს წინაშე** დამსახურებულთათვის დახმარების გასაწევად მარტში მაზრებს გადაეგზავნა 7295 მანეთი.

◆ **გამოკვლევა.** სენაკის, ზუგდიდის და სიღნაღის მაზრებში დაიგზავნა ინსტრუქტორები გლეხკომების მუშაობის გამოსაკვლევათ.

◆ **ომის ინვალიდებს** პენსიის სახით მაზრებში მარტის განმავლობაში დაურიგდა 11,856 მანეთი.

განათლების კომისარიატში

◆ **კონფერენცია.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, 1-ლ ივლისისთვის თბილისში მოწვეული იქნება სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლების რესპუბლიკანური კონფერენცია.

◆ **გადასამზადებელი კურსები.** 15 ივლისს თბილისში გაიხსნება სოფლის ახალგაზრდობის მასწავლებელთა გადასამზადებელი ერთთვიანი კურსები.

◆ **საზაფხულო მუშაობის** ჩასატარებლად შრომის სკოლებში გამომუშავებული იქნა ცალკე დებულება.

◆ **სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში** სახელმძღვანელოდ ამ დღეებში გამოვა ი. გაჩეჩილაძის მიერ შედგენილი „მეტეოროლოგია".

კრებები და მოხსენებები

— დღეს, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის ჰიგიენის აუდიტორიაში (ყოფ. ანასტასიევის ქ. № 22) ვალ. სიჭინავა წაიკითხავს მოხსენებას „როგორ წარმოიშვა სიცოცხლე დედამიწაზე", დასწრება თავისუფალია.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

დღეს, 9 მარტს, შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებული არიან შემდეგი უმუშევრები: პირველ სექციიდან: ქ. კრუზვიანცი, ა. აბაზიანი, ქ. პაპოიანი, ს. გალუსტიანცი, ტერ-ოგანეზოვი, ნ. ბატიუკოვი, გ. განცევიჩი, ტ. არუსტამოვი, გ. ალექსანდრიშვილი, თ. ნარიკიანი, ს. გეოგიანი, ს. არუთინოვი, ხოლო მეორე სექციიდან: მ. ზუციშვილი, მ. სმირნოვი, ა. კალინოვსკი და გ. ანუსი.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

დიმიტრი სმირნოვის გასტროლები

„მარგალიტის მაძიებელნი"

„მარგალიტის მაძიებელნი" საოპერო ლიტერატურის ერთ - ერთი ყველაზე უფრო უშინაარსო ოპერაა, როგორც სიუჟეტის, ისე მუსიკის მხრივ. მუსიკალური ნაწილი უსისტემოდაა დალაგებული. მუსიკა არ არის ღრმა და შესდგება მთელ რიგ ცალკე ნომრებისაგან.

ამ ოპერას სდგამენ უმთავრესად ტენორისათვის, რადგან მასში მეტად მოხდენილი ადგილები აქვს ნადირის პარტიის შემსრულებელს. ავილოთ თუ გინდ პირველი აქტის მშვენიერი რომანსი „მთვარიან ღამეში", ოპერა თბილისში არ დადგმულა დაუვიწყარ განო სარაჯიშვილის შემდეგ, რომელიც ნადირის პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იყო.

გასტროლიორმა სმირნოვმა (ნადირი) შესავალი ფრაზა მეტად მკრთალად დაიწყო, მაგრამ ჩქარა დაიპყრო როლი და ტეხნიკურადაც და მუსიკალურადაც ლამაზად შეასრულა ოპერის მთავარი პარტია. მოგვცა რა ახალგაზრდა ინდოელის მხატვრული გარეგნული გამოხატულება. სიმღერაში ბევრია ემოციონალობა და ტემპერამენტი.

ლეილას პოეტური სახე შექმნა მომღერალმა დანიელიანმა, განსაკუთრებით ვოკალურის მხრივ. მოხდენილად ჩაატარა მსახიობმა პირველი სცენა ზურგასთან, რომელიც მეტად ძნელია, მაგრამ შესრულების საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს მეორე აქტის არია და დუეტი ნადირთან.

ახალგაზრდა მომღერალ პრავილოვს, რომელიც ეხლა იწყებს საოპერო კარიერას, ლამაზი ლირიული ბარიტონი აქვს; ის მუსიკალური მომღერალია. ხმა თანაბარია ყველა რეგისტრებში. ლამაზია ფრაზაც

პ. ბ.

ვიქტორ დოლიძის საღამო

ორშაბათს, 11 აპრილს, ხელოვნების მუშაკთა კავშირი საოპერო თეატრში მართავს საღამოს, რომელიც მიძღვნილი იქნება ახალგაზრდა კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძის მუსიკალური შემოქმედებისათვის.

დადგმული იქნება მთლიანად მისი ოპერა „ქეთო და კოტე". ამას გარდა გაძლიერებული ორკესტრი შეასრულებს დოლიძის სიმფონიურ ფანტაზიას „ივერიადა"-ს, რომელიც დაწერილია ქართულ ხალხურ თემებზე. ორკესტრს ხელმძღვანელობას გაუწევს ფანტაზიის ავტორი.

ეს მუსიკალური ფანტაზია შესრულებული იქნა თბილისში ერთ-ერთ სიმფონიურ კონცერტზე და მუსიკალურმა კრიტიკამ აღნიშნა, სიმფონიური ფანტაზიის დადებითი მხარეები.

დოლიძის ნაწარმოები ქართულ სიმფონიური ლიტერატურის ერთ - ერთი პირველი დიდი ნაწარმოებია. დასასრულ სახელმწიფო ბალეტის მსახიობი ალბერტი შეასრულებს მთიულების ნაციონალურ ცეკვას.

მ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სმირნოვის მონაწილეობით** დღეს მიდის ოპერა „ჰუგენოტები".

◆ **მუშათა თეატრის ქართული დრამა** უკვე გამზადება დასავლეთ საქართველოში წარმოდგენების გასამართავად.

◆ **კ. ჭიჭინაძის ლექსების წიგნი.** რედაქციამ მიიღო კონ. ჭიჭინაძის რჩეული ლექსების წიგნი (მეორე გამოცემა).

◆ **კორნელი სანაძის ლექსები.** რედაქციამ მიიღო კორნელი სანაძის ლექსების წიგნი.

◆ **მოსკოვის სამხატვრო თეატრის** მუსიკალური სტუდიის პირველი გასტროლი გაიმართება 17 აპრილს. წარმოდგენილი იქნება „ანგოს ქალიშვილი".

შემთხვევები

◆ **საბურთალოზე,** 7 აპრილს, პავლე ქადთარაძეს ცხენიდან მოპარეს ხურჯინი სხვადასხვა ნივთებით.

◆ **ვერცხლის ქუჩაზე,** 7 აპრილს გიორგი დემურიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 12 მანეთი. ჯიბგირი სარქის აბრამოვი დააპატიმრეს.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით,** 7 აპრილს, რკინის ქ. № 69 გაქურდეს კლემენტი გალდავას ბინა.

◆ ამავე დღის დავიდოვის შესახ. № 6 გაქურდეს ბიქტორ ლომიძის ბინა.

◆ ამავე დღის პასტეროვის ქ. № 6 გაქურდეს ივანე უნიკაშის ბინა. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

ექიმბაშის დაპატიმრება

ანდრეევის ქუჩა № 77-ში, ცხოვრობდა მოქ. ეკატერინა გალიშვილი. გამვლელის ყურადღებას იპყრობდა დიდი განცხადება: „ბებია-ქალი გალიშვილი". სინამდვილეში გალიშვილი ბებია-ქალის სახელწოდებას უკანონოთ ატარებდა.

გამორკვეულია, რომ გასული წლის ივნისში გალიშვილმა მუცელი მოსწყვიტა ქეთო ა—ვას. ეს უკანასკნელი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

გაჩხრეკისას გალიშვილის ბინაზე აღმოაჩინეს დიდძალი „საექიმო ხელსაწყოები".

გუშინ, ექიმბაში ეკატერინა გალიშვილი დააპატიმრეს.

ძიებას აწარმოებს გამომძიებელი ი. ალაშიძე.

მკვლელობა ბაჟის თემში

გუშინ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მიიღეს დეპეშა ოზურგეთის სამაზრო მილიციის უფროსის თანაშემწის ამხ. გოგუაძისაგან.

დეპეშაში ნათქვამია, რომ ამას წინედ მოკლულ ყაჩაღ ვიზიტი ნიკოლაიშვილის მეგობრებმა 7 აპრილს, ღამით ბაჟის თემში (ოზურგეთის მაზრა) ვერაგულად ამოწყვიტეს ცოლ-ქმარი ცქვიტინიძეები.

დაწვრილებითი ცნობები მკვლელობის შესახებ ჯერ - ჯერობით არაა მიღებული.

რეციდივისტის დაპატიმრება

ნიკოლოზ ბრონსკის ორი წლის განმავლობაში დაეძებდა სიღნაღის სამაზრო მილიცია.

ბოლო ხანებში ბრონსკი „მოღვაწეობდა" ახალციხეში, სადაც რაღაც ხრიკებით მოეწყო კლუბის გამგის თანამდებობაზე. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს მან მოიპარა 25 ტანისამოსელი და ნოხები.

ბრონსკი დააპატიმრა ახალციხის სამაზრო მილიციამ.

კოოპერატივის გაქურდვა

ზესტაფონში გაქურდეს რკინის გზის სამომხმარებლო კოოპერატივის სავაჭრო დუქანი წაიღეს 300 მანეთის მანუფაქტურა.

უბედური შემთხვევა

5 აპრილს ბონდოს ხიდიდან (ზესტაფონი) მდ. ყვირილაში გადავარდა მოქ. შალვა ტურაშვილიძე და დაიხრჩო.

თავდასხმა

სოფ. საკუნეთის მახლობლად, (ახალციხის მაზრა), სოფ. კამაზაში მიმავალ ბეზგონ ბილალაოღლის და ჩახალ ახმედ-ოღლის თავს დაესხენ ბოროტმოქმედნი და სიკვდილის მუქარით გაძარცვეს. წაართვეს 100 მანეთი და ნივთები.

ცოლის მკვლელი

გასული წლის ოქტომბერში სოფ. ფახრალოს (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებმა სოიუნ ნამაღ-ოღლიმ ბრიით მოკლა თავისი ცოლი ლალაზარ ალი-ყიზი. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად მოკლულის გვამი დამარხა სასაფლაოზე.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ბორჩალოს სისხლის სამართლის მილიციამ მიიღო ცნობა, რომ ლალაზარ-ყიზი მოკლული იყო ქმრის მიერ.

ქალის გვამი ამოიღეს საფლავიდან. ქალს თავი გაჩეხილი აღმოჩნდა, ტანზე ჰქონდა რამდენიმე ჭრილობა, ხერხემლის ძვლები დამტვრეული იყო.

ამის შემდეგ სოიუნ-ოღლი გამოტყდა დანაშაულში.

ბორჩალოს სისხლის სამართლის მილიციამ სოიუნ ნამად-ოღლისთან ერთად დააპატიმრა მისი ახლო ნათესავი ალი ბაგუბ - ოღლი. ამ უკანასკნელს ბრალი ედება მკვლელობის წაქეზებაში

სასამართლო

მოკვლის განზრახვა

1925 წ. 16 ნოემბერს, ღამის 11—12 საათზე, მოქ. **კონსტანტინე ზებედაშვილს,** როცა ის ანტონოვის ქუჩით სახლში ბრუნდებოდა [illegible] ვიღაც უცნობი მოქალაქე და ჰკითხა, თუ სად იმყოფება რესპუბლიკის საავადმყოფო". პასუხის გაცემის შემდეგ ზებედაშვილმა განაგრძო გზა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს უცნობი მოქალაქე ანტონოვის ქუჩაზე მიეპარა ზებედაშვილს, ჩასცა ზურგში დანა და მიიმალა. ზებედაშვილმა ამოიღო ხანჯალი და მიუხვდავად ჭრილობებისა, დაედევნა უკან გაქცეულ თავდამსხმელს. ზებედაშვილის მითითებით საბჭოს ქუჩაზე საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა დააპატიმრა უცნობი მოქალაქე. ის აღმოჩნდა გორის მაზრის მცხოვრები **ნიკოლოზ (კოლა) შატაკიშვილი.**

დაპატიმრებული გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ ზებედაშვილმა წაიყვანა იგი თავის სახლში და სიკვდილის მუქარით უარი უთხრა ვალის გასტუმრებაზე.

ზებედაშვილმა დაჭრის დღესვე განაცხადა, რომ ნიკოლოზ შატიკაშვილს ის არ იცნობს.

საქმე გადაეცა პროკურატურას.

გამოძიების დროს გამოირკვა, რომ კონსტანტინე ზებედაშვილი წინა წლებში სცხოვრობდა გორში. ჰყავდა ცოლი, რომელიც შეუყვარდა **ნიკა შატაკიშვილს.**

უკანასკნელმა მოსტაცა ცოლი ზებედაშვილს და ვინაიდან ის ცოლშვილიანი იყო, ამიტომ ადგილობრივ დაიქირავა ცალკე ოთახი და რამოდენიმე თვის განმავლობაში სცხოვრობდა ზებედაშვილის ცოლთან. მაგრამ ხასიათით ისინი ერთი-მეორეს ვერ შეეწყვნენ და შუშანა ისევ დაუბრუნდა პირველ ქმარს.

შატაკაშვილმა გადასწყვიტა მოეკლა ზებედაშვილი. იმ პირს, რომელიც მის დავალებას „პირნათლად" შეასრულებდა, დიდ ჯილდოს პირდებოდა.

ბოლოს კი ნიკა შატაკიშვილმა თავისი მეგობარი ნიკოლოზ შატაკიშვილი მიუგზავნა ზებედაშვილს იმ განზრახვით, რომ ის მოეკლა.

ნიკოლოზ და ნიკა შატაკიშვილების საქმე გუშინ უნდა გარჩეულიყო აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში, მაგრამ გადაიდო.

ბოროტმოქმედება ცეკავშირში

(დ. ლორთქიფანიძის საქმე)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხული იქნა ბრალდებული **ლორთქიფანიძე.** ის თავს არ სცნობს დამნაშავედ და გადაჭრით აცხადებს, რომ პასუხისმგებელი არ არის იმ ფულებისათვის, რომელიც მისი სახელით სხვებმა მიიღეს.

შემდეგ მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა. დღეს გაიმართება მხარეების კამათი.

ბიბლიოგრაფია

სერგი ჯაფარიძე — სამოქალაქო პროცესი — გვ. 175. ფასი 1 მ. 50 კ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა.

ზემოდ დასახელებული წიგნი მიზნად ისახავს გაუადვილოს სამოქალაქო პროცესის შესწავლა, მართ. მსაჯულების სფეროში მომუშავეებს საერთოდ და სტუდენტობას კერძოდ.

ავტორი არ კმაყოფილდება ჩვენში მოქმედ საპროცესო ნორმების განხილვით და უპირდაპირებს ჩვენს საპროცესო ნორმებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების სამართალს, რაც უფრო სწორ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი პროცესის ღირსება - თავისებურებაზე.

წიგნის პირველ ნაწილში ავტორი განიხილავს სასამართლოს წყობილების სისტემებს ჩვენში და უცხოეთის სახელმწიფოში. სხვადასხვანაირი სტრუქტურა საბჭ. და ბურჟუაზ. სახელმწიფოების თავისებურ გავლენას ახდენს სასამართლოს წყობილებაზე; ასე მაგ. ხელისუფლების ერთიანობის და არა დანაწილების პრინციპი, და ამასთან სწორი შეხედულება სახელმწიფოზე, როგორც კლასიური ბატონობის ფორმაზე, რომლის მიხედვითაც შენდება იურისდიქციის ორგანოები ჩვენში, ზედმეტად ხდის მოსამართლის ეგრედწოდებულ „გადაუყენებლობას" „დამოუკიდებლობას" და სხვ. აღმასრულებელ ხელისუფლებისაგან, და მოითხოვს სასამართლოს პერსონალის კლასიური ნიშნის მიხედვით შერჩევას (მუშები და გლეხები).

ამავე ნაწილში დაწვრილებით არის გარჩეული ინსტანციათა სისტემა, ქვემდებარეობა, ჩვენში მოქმედ სპეციალურ სასამართლოების სტრუქტურა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ავტორის მართებული შენიშვნები ჩვენში არსებულ საკასაციო ინსტანციის ორგანიზაციაზე, საკასაციო ინსტანციათა არსებულ დაქუცმაცებით გამოწვეული, რომლის გამო, საქმეები, სახალხო და შრომის სასამართლოებში აღძრული თავდება ოლქის სასამართლოში და ნორმალური გზით უზენაეს სასამართლომდე ვერ მიაღწევს.

მეორე ნაწილში ავტორი საკმაოდ ამომწურავლად ეხება სამოქ. პროცესის სუბიექტ—მხარეებს, პროცესის ობიექტს — ძიებას, მისი სხვადასხვა სახეების აღნუსხვით. ასევე დაწვრილებით განიხილავს შემდეგ ავტორი საპროცესო წარმოების ძირითად პრინციპებს. აქაც თუ ავიღებთ საპროც. წარმოების უმთავრეს — სადისპოზიციო და შეჯიბრებით პრინციპებს, საბჭ. კანონმდებლობას თავისებური კორექტივი შეაქვს მათში. საბჭ. საპროც. კოდექსმა თუმცა საერთოდ შეითვისა ეს სადისპოზიციო ნორმა, მაგრამ მასში, იმ მიზნით, რომ არ დაზარალდეს სახელმწიფოს, მშრომელი მასის ან სუსტი მხარის ინტერესი, მნიშვნელოვანი და თითქმის სრულიად ახალი შეზღუდვანი შეიტანა.

რაც შეეხება შეჯიბრების პრინციპს მის შინაარსში, ყველაზე უფრო ადრე, მართალია, ავსტრიის კოდექსმაც შეიტანა შესწორება, მაგრამ საბჭ. სამ. საპ. კოდექსი გაცილებით შორს წავიდა. რათა არ დაიჩაგროს სუსტი და გამოუცდელი მხარის ინტერესი. მას სარჩულად უდევს ის მთავარი იდეია, რომ სამ. სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მარტო ფორმალურ სიმართლედ მისაჩნევი, არამედ სავსებით უნდა შეეფერებოდეს ნამდვილ ჭეშმარიტებას; ამრიგათ მან მიანიჭა სასამართლოს ფართო, აქტიური როლი. აქ აღარ რჩება თითქმის სრულიად შეჯიბრებითი პრინციპი, მაგრამ, ავტორის აზრით აღნიშნული პრინციპი ნაწილობრივ მაინც შეთვისებული აქვს ჩვენს სამართალს. ამის საწინააღმდეგო აზრის არიან ს. პუშკინი და ვ. კრილენკო (იხ. მისი судоустройство გვ. 163).

მესამე ნაწილში — ავტორი დეტალურად ეხება ძიების აღძვრის პირობებს, და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს — სამ. პროც. დამამტკიცებელ საბუთებს.

შემდეგი ნაწილები შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის წესების და განსაკუთრებულ წარმოების სხვადასხვა სახეების გარჩევას. წიგნში არ არის განხილული განქორწინების წესები, რადგან ავტორის სიტყვებით ეს საქმე ახლო მომავალში უნდა გადაეცეს მოქ. მდგ. აქტების ჩამწერ დაწესებულებას, თუმც ჩვენი საპროც. კოდ. ამ წესებსაც შეიცავს. ქართულ ენაზე იურიდიული ლიტერატურის თითქმის სრული უქონლობის პირობებში ეს შრომა დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი სასამართლოს მუშაკებს და განსაკუთრებით სტუდენტობას, რომელსაც ყოველივეს სწავლა სამართლის დარგში რუსული სახელმძღვანელოებით უხდება. სერგი ჯაფარიძე არ აცხადებს პრეტენზიას ორიგინალობაზე, მან აუცილებლად შესძლო სამოქალაქო პროცესის გადმოქართულება და რაც მთავარია მოხერხებულად.

მიხ. ვ—ძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი სამყაროები

დ—რმა ე. ხებლმა, შეერთებული შტატების ერთ-ერთმა გამოჩენილმა ასტრონომმა შეისწავლა 4 ახალად აღმოჩენილი ხვიისებური ნისლოვანება. ამ ნისლოვანებათა საშუალო დიამეტრს ხებლი განსაზღვრავს 5.700 სინათლის წლით. სინათლის ერთი წელიწადი უდრის დაახლოვებით 9 ათას მილიარდ ვერსს (ე. ი. მანძილს, რომელსაც სინათლის სხივი გაივლის ერთი წლის განმავლობაში). ამ ვარსკვლავების თითოეული ჯგუფი ორას მილიონჯერ უფრო მეტად ანათებს, ვიდრე ჩვენი მზე. ხებლმა გამოიანგარიშა, რომ ამ შორეულ ვარსკვლავების სხივს მილიონი წლები დასჭირდა, სანამ მოაღწევდენ დედამიწამდე და უზარმაზარ ტელესკოპამდე, სადაც ისინი გადაიღეს.

დასაძინებელი მანქანა

გერმანიაში ბაზარზე გასაყიდათ გამოვიდა მეტად მარტივი დასაძინებელი მანქანა, რომელიც ერთმა გერმანელმა ექიმმა გამოიგონა. აპარატი აგებულია ზომიერი, მონოტონური ზუზუნის მაგვარი ხმის დამაძინებელი თვისების გამოყენების პრინციპზე. აპარატს მართავენ სპეციალური კლიტის საშუალებით და ის მუშაობს ორმოცი წუთის განმავლობაში, რომ მთვლემარე ადამიანს არ გამოეღვიძოს ხმის მოულოდნელად შეწყვეტის გამო, აპარატი არ ჩერდება უცებ; ხმა თანდათანობით სუსტდება და წყდება. მთელი დასაძინებელი მოწყობილობა თავსდება ლამაზ ყუთში, რომელიც ედგმება ავადმყოფთან მაგიდაზე ან ბავშვის საწოლთან.

უწვრილესი მავთული

მიკროსკოპიულ გაზომვებისათვის ოპტიურ ხელსაწყოებში ხმარობენ ობობას ძაფს, რომლის დიამეტრი უდრის 68/10.000—34/10.000 მილიმეტრს. დღემდი ვერ მოახერხეს ლითონიდან 28/1000 მილიმეტრზე წვრილი მავთულის დამზადება.

ჟურნალ „რეკლამს უნივერსულის" ცნობით, ამ რამოდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს ლითონიდან ერთი მიკრონის (მილიმეტ. 1/10.000-დი) სიწვრილის მქონე მავთულის დამზადება. ეს საშუალება შემდეგში მდგომარეობს: ლითონის მავთულს დებენ ელექტრონის მილში. მაღალი ქინვის დენით მავთულს ახურებენ ისე, რომ ის თეთრდება. ამ დროს მას სცილდება უმცირესი ნაწილაკები. მავთულის გახურებას განაგრძობენ იმ დრომდე, სანამ არ მიიღებენ 1 მიკრონის სიწვრილე მავთულს, მაგრამ უკანასკნელი 50-ჯერ უფრო სუსტია, ვიდრე ობობას ძაფი.

ბელატობის მიზეზი

ედინბურგის უნივერსიტეტის მესაქონლეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ექ. **ფ. კრიუმ** გამოარკვია, რომ ბელატობის მიზეზი მდგომარეობს შინაგანი სეკრეციის განსაკუთრებულ ჯირკვალის მოქმედების შესუსტებაში. ავადმყოფ, ბალანგაცვენილ თაგვს გადაუნერგეს ჯანსაღი თაგვის ჯირკვალი და ბალანმა ქვლავ იწყო ზრდა. ამჟამად ექ. კრიუ არკვევს ადამიანის ბელატობის მიზეზებს. ფიქრობენ, რომ სიბელატის მიზეზი აქაც შინაგანი სეკრეციის რომელიმე ჯირკვალის მოქმედების შესუსტებაა.

ნ ა რ ე ვ ი

„სრულიად სლავიანთა მეფე"

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ნიუ-იორკის ერთ-ერთ გარეუბანში გარდაიცვალა მეფის რუსეთში ცნობილი შავრაზმელი და ანტისემიტი ჩერეპ-სპირიდოვიჩი. სიკვდილის წინ, ერთი თუ ორი თვით ადრე, მან მოიწვია „სლავიანურების კონგრესი" და აპირობდა თავისთავის გამოცხადებას „სრულიად სლავიანთა მეფეთ", მაგრამ არ დასცალდა. აღმოჩნდა, რომ ჩერეპ-სპირიდოვიჩს ჰყოლია შვილობილი, ვინმე ტრუპი, რომელიც განაგრძობს მამობილის მიერ დაწყებულ საქმეს.

30 მილიონი დოლარი პუდრში

ამერიკის ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, შეერთებულ შტატებში ქალები ყოველწლიურად პუდრში, ტუჩების სღებავში და სხვ. ხარჯავენ 30 მილიონ დოლარს (60.000.000 მანეთს).

რამდენს იწონის დედამიწა

ამერიკელ მეცნიერის პაულ ნეილის უკანასკნელი გამოანგარიშებით დედამიწა იწონის 6 სექსტილიონ ტონას (სექსტილიონი—1.000.000.000.000.000.000.000; ტონა 62 ფუთი):

რუდოლფ ვალენტინის საიქიოში

ორი წლის წინათ გარდაიცვალა ცნობილი კინო - მსახიობი რუდოლფ ვალენტინო, რომლის ქვრივს — ნატაშა რამბოვას, როგორც უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, განუცხადებია ნიუ-იორკის პრესის წარმომადგენლებისათვის, რომ „სისტემატიურად იღებს წერილებს თავის ქმრისაგან". ცოლის განცხადებით "რუდი იქ კარგათ ცხოვრობს და იწყებს თავის ასტრალურ კინო-კარიერას".

ეს სისულელე ნიუ-იორკის გაზეთებში თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული რუდოლფ ვალენტინოსა და მისი ქვრივის სურათებთან ერთად.

ოფიციალური განყოფილება

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 12—88

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1927 წ. მარტის 15

ხე-ტყის მასალაზე ფასების დაწესების შესახებ

განსავითარებლათ ა. კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. თებერვლის 8-ს დადგენილებისა, № 5/120,—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაციების საწყობებიდან იმ ხე-ტყის მასალის გაცემის დროს, რომელიც შემოზიდული იქნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სოც. საბჭ. რესპუბლ. კავშირში შემავალი სხვა სოც. საბჭოთა რესპუბლიკიდან—დაწესებული იქნეს ადგილობრივ სახ. და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ზედნართი 12 პროცენტის რაოდენობით საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ძირითად საგასაცემო ფასებზე.

§ 2.

დაწესებულ იქნეს შემდეგი საზღვრითი ძირითადი საბითუმო-საგასაცემო ფასები ადგილობრივი ხე-ტყის მასალაზე და წიწვიანი ჯიშის მორებზე:

ა) ფრანკო-საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის ქარხანა.

	ბორჯომი			ახალციხე			შამგონი*)		
	1 ხარისხი	2 ხარისხი	3 ხარისხი	1 ხარისხი	2 ხარისხი	3 ხარისხი	1 ხარისხი	2 ხარისხი	3 ხარისხი
1 კატეგორია . . . . ფიცარი სისქით 1 ვერშ. და მეტი.	1 მან.	80 კ.	60 კ.	90 კ.	70 კ.	50 კ.	85 კ.	65 კ.	50 კ.
11 კატეგორია . . . ძელები 2.2 და მეტი	1.15კ.	90 კ.	65 კ.	1.05კ.	80 კ.	55 კ.	1 მან.	75 კ.	55 კ.

*) ზუგდიდსა და ჯოგეშიანში ხე-ტყის მასალა 5 კაპ. უფრო ძვირია ხარისხების მიხედვით.

1) ზუგდიდსა და ჯოგეშიანში ხე-ტყის მასალა 5კაპ. უფრო ძვირია ხარისხების მიხედვით.

ბ) დაწესებულ იქნეს 1 და 2 ხარისხის ხე-ტყის მასალისათვის რეალური ღირებულება სატრანსპორტო ხარჯებისა და აგრეთვე დატვირთვის გადმოტვირთვის და საწყობში დაწყობის ხარჯებისა თვითეული პუნქტებისათვის შემდეგი რაოდენობით.

ა) ბორჯომი-თბილისი 10 კაპ. კვადრ. ვერშ.
ბ) ახალციხე-თბილისი 20 „ „ „
გ) შამგონი-თბილისი 25 —„ —„ —„—
დ) ბორჯომი-ქუთაისი, სამტრედია, ფოთი, ბათომი, ოზურგეთი 20 კაპ. კვადრ. ვერშ.
ვ) შამგონი-ქუთაისი, სამტრედია, ფოთი, ბათომი, ოზურგეთი 20 კაპ. კვადრ. ვერშ.
გ) ფრანკო-საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის საწყობი.

	თბილისი-ჭიათურა 1)			ქუთაისი, სამთრედია, ფოთი, ბათომი და ოზურგეთი 2)		
	1 ხარ.	2 ხარ.	3 ხარ.	1 ხარ.	2 ხარ.	3 ხარ.
1 კატეგორია	1.10 კ.	90 კ.	65 კ.	1.05 კ.	85 კ.	60 კ.
11 კატეგორია	1.25 კ.	1 მ.	70 კ.	1.26 კ.	95 კ.	65 კ.

1) რუსეთის ხე-ტყის მასალა 1 კატეგ. 15 კაპ. ხოლო მეორე კატ. 10 კაპ. უფრო ძვირია.

2) ბორჯომის ხე-ტყის მასალა 1 ხარ. 15 კაპ. უფრო ძვირია ვერშოკებით. რუსეთის ხე-ტყის მასალა 25 კაპ. უფრო ძვირია.

შენიშვნა 1: ფოთლიანი ჯიშის მასალა (კოპიტი, თელა, ბოყვი, ცაცხვი და სხვ....) 6 არშ. 1 ხარ. 20 კაპ., ხოლო მეორე ხარ. 10 კაპ. უფრო ძვირია წიწვიანი ჯიშის ხე-ტყის მასალაზე.

შენიშვნა 2: ფოთლიანი რბილი ჯიშის (თხმელა) ხე-ტყის მასალა 1 ხარ. 15 კაპ., ხოლო მეორე ხარ. 10 კაპ. უფრო იაფია წიწვიანი ჯიშის მასალაზე.

შენიშვნა 3: წიფელისა და რცხილის ხე-ტყის მასალის ფასი უდრის წიწვიანი ჯიშის ხე-ტყის მასალას.

§ 3.

დაწესებულ იქნეს შემდეგი საზღვრითი საბითუმ-საგასაცემო ფასები ფოთლიანი ჯიშის (კოპიტი, თელა, თხმელა) ხე-ტყის მასალაზე ლოისა და ლანჩხუთში.

	მაგარი ჯიშის			რბილი ჯიშის		
	1 ხარ.	2 ხარ.	3 ხარ.	1 ხარ.	2 ხარ.	3 ხარ.
1 კატეგორია	1.10 კ.	80 კ.	55 კ.	80 კ.	65 კ.	50 კ.
11 კატეგორია	1.20 კ.	90 კ.	60 კ.	85 კ.	70 კ.	50 კ.

შენიშვნა 1: § 3-ში აღნიშნული ჯიშის ხე-ტყის მასალის ფასი ქალ. ბათომში 10 კაპ. უფრო ძვირია თვით. კვადრ. ვერ.

შენიშვნა 2: § 3-ში აღნიშნული ჯიშის ხე-ტყის მასალა 6 არშინზე ზევით 20 პროცენტით უფრო ძვირია, ხოლო 3 არშინიანი ან უფრო მოკლე 10 პროცენტით უფრო იაფია.

§ 4.

ამა დადგენილების §§ 2 მუხ. „ა" აღნიშნული ხე-ტყის მასალისა წიწვიანი ჯიშის მორების გაცემის დროს ფრანკო-რიონოდა წარმოების მახლობლად მდებარე გაგზავნის სადგური,—უფლება მიეცეს საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტს გადაახდევინოს მყიდველებს არაუმეტეს 7 კაპეიკ. კვადრატიული ვერშოკზე ხსენებული ხე-ტყის მასალის სადგურამდე მიზიდვისა და რიონოდაში დატვირთვისათვის.

§ 5

დაწესებულ იქნეს ყველა წარმოებით, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის საზღვრითი ზედნართი 4 პროცენტის რაოდენობით ამა დადგენილების §§ 2, მ. „ა"და § 3-თ გათვალისწინებული საგასაცემო ფასებზე იმ შემთხვევაში, უკეთუ ხე-ტყის მასალის გაცემა სწარმოებს მისი ხარისხობრივი და რიცხობრივი ჩაბარებით დანიშნულების სადგურზე.

§ 6.

დაწესებულ იქნეს, რომ სასწრაფო, სპეციალური შეკვეთა და დარჩეული მასალა 10 პროცენტით უფრო ძვირია ამა დადგენილების § 2 და 3-ში აღნიშნულ საგასაცემო ფასებზე.

შენიშვნა: ჩამოცურებული ხე-ტყის მასალის გამოშრობის ნორმალურ ვადათ ჩაითვალოს 10 თვე, ხოლო დანარჩენი მასალისა კი 6 თვე.

§ 7.

ამა დადგენილებით გათვალისწინებული საზღვრითი ზედნართები არ ვრცელდება საგანგებო ტეხნიკური დავალებით დამზადებულ სპეციალური ხარისხისა, თვისებისა და გადარჩეული ხე-ტყის მასალაზე.

§ 8.

ამა დადგენილებით გათვალისწინებული საზღვრითი ზედნართები დაწესებულია ნაღდ ანგარიშზე მომხდარი გარიგებისათვის, ხოლო ხე-ტყის მასალის ნისიად გაცემის დროს კრედიტის ღირებულება ჩაითვალოს მყიდველის ხარჯზე.

§ 9.

ა. კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინავაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნონ თვალყური დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 10.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 11.

დადგენილება ესე ძალაში შედის ამა წლის მარტის 15-დან.

ა. კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ათაბეკოვი.**

ზ. ვ. მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი **ბერელაშვილი.**

საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება განმეორებით სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ორი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის საარიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. კვირიკაძესთან.

1) ვლადიმერ არსენის ძე კიკნაძე, 2) ალექსანდრე ვახტანგის ძე გაბუნია, 3) პავლე პავლეს ძე დერლიჩევი, 4) კონსტანტინე გიორგის ძე გორმელაძე, 5) ივანე ივანეს ძე სერებრიაკოვი, 6) ალექსანდრე მიხეილის ძე ბეჟანოვი, 7) გიორგი გრიგოლის ძე მიისაშვილი, 8) ნოე გიორგის ძე ზამბახიძე, 9) სიმონ ალექსის ძე ბირიუკოვი, 10) ირაკლი ჯაბას ძე ყიზირია, 11) ბათლომე ექვთიმეს ძე ბიბინეიშვილი, 12) მიხეილ სოლომონის ძე ჩხეიძე, 13) ზაქრო სერგიას ძე ზალინსკი, 14) აშოტ ივანესის ძე თუმანიანი, 15) იოსებ ანტონის ძე ტერ-გევონდიანი, 16) კლიმენტი ლავრენტის ძე ბოკერია, 17) ვლადიმერ სიმონის ძე ქავთარაძე, 18) დავით ივანეს ძე ვაშაკიძე, 19) გიორგი ქრისტეფორეს ძე ჯავარეიშვილი, 20) ფილიპე პეტრეს ძე გოგოშიძე, 21) რუბენ ანტონის ძე პეტროსიანი, 22) კალისტრატე კირილეს ძე გველესიანი, 23) კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლებედევი, 24) ხუდუშ გუსეინ-ოღლი ზადაევი, 25) აზარაპეტ აირაპეტის ძე საგათელიანი, 26) ვასილ პეტრეს ძე ჩომახიძე, 27) ლეონიდ ივანეს ძე სოლანცევი, 28) ადამ ლეონტის ძე მარხვაიძე, 29) ვასილ ექვთიმეს ძე დუმბაძე, 30) არმენაკ სერგოს ძე ტერ - დანიელიანი, 31) ალექსანდრე იაგორის ძე ქერქაძე, 32) ევგენი თედორეს ძე ეგოროვი, 33) დავით გიორგის ძე ხაზალია, 34) ივანე ვასილის ძე ბელოუსოვი, 35) შალვა მელიტონის ძე კვირიკაძე, 36) ოვანეს სტეფანის ძე ანიევი, 37) პიმენ ივანეს ძე სოხაძე, 38) კონსტანტინე ილარიონის ძე გაბუნია, 39) ივანე ივანეს ძე კარალოვი, 40) ევგენი დავითის ძე ვარლამოვი, 41) მაქსიმე კონსტანტინეს ძე კალაძე, 42) ვლადიმერ გაბრიელის ძე ლალიაშვილი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ შაბათს ა. წ. 9 აპრილს საღამოს სრულ 6 საათზე, რაიკომის კლუბის შენობაში იხსნება, მესამე რაიკომის უპარტიო ქალიშვილთა მესამე კონფერენცია.

სავალდებულოა ყველა დელეგატ ქალების დასწრება აღნიშნულ კონფერენციაზე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს, ა. წ. 9 აპრილს, დილის 10 საათზე, ქალაქის რაიკომის ორგანყოფილების ბინაზე მოწვეულია ორგთათბირი.

სავალდებულოა ორგთათბირის ყველა წევრების დასწრება დაუგვიანებლათ.

— საქ. რემედასის ცეკა იუწყება, რომ დღეს, 9 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე ლენინის ქ. № 29, შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ორი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის საარიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. თარხნიშვილთან.

1) სერგო გიორგაძე, 2) ივანე ივანეს ძე თადეევი, 3) შალვა კახიანი, 44) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ვასილიევი, 5) არშაკ ბაგდანის ძე გაზაიანი, 6) დიმიტრი ზურაბის ძე ჩუბინიძე, 7; ვ. ა. ატოევი, 8) მიხეილ ვასილის ძე გაიეგორონსკი, 9) არიანა ვასილის ასული ფხალაძე. 10) დანიელ ტარასის ძე გელაშვილი, 11) ბორის იაგორის ძე ქავთელაძე, 12) ჰუსეინ ბაგირის ძე ვეზიროვი, 13) ერმილე ნიკოლოზის ძე დუგლაძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს. ა. წ. 9 აპრილს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხ. გამზ. 96), შესდგება ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების (შეც—საზოგადოების) გაფართოებული პლენუმი უჯრედთა ბიუროების მდივნებთან და წევრებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება შაბათს, 9 აპრილს ნაშუადღევის 1 საათ. 30 წუთზე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს, 9 აპრილს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე მოწვეულია პროპაგანდის მეთოდბიურო

სავალდებულოა ამხ. დავიდოვის, კენინსბერგის, ზაზიუმოვის, ცხაკაიას, ბერეჟნის, ჭელიძის, ნარჩემაშვილის, გალუსტიანის და ნადირაშვილის დასწრება.

— რემედასის მეორე რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, ა. წ. 9 აპრილს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება რემედასის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

— ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო იუწყება, რომ სამშაბათს, 12 აპრილს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკის სახლში შესდგება ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის შემსწავლელ პედაგოგთა წრის მეცადინეობა.

— საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტი სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს (კომკავშირის უჯრ. № 14-დან ა. კ. რკ. გ. სამმარ.) გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის სსკოლო განყოფილებაში ამხ. ქორელთან 9 აპრილს დილის 10 საათზე.

1) ბორის ტებიაკინი, 2) თედორე მეტაევი, 3) სიმონ მებურიშვილი, 4) ბორის რუბეცი, 5) გიორგი გვირია, 6) არფიკ ეროიანი, 7) პეტრე ეტერსენი, 8) ნიკოლოზ მოროზოვი, 9) ალექსი ზავიალოვი, 10) ბორის ლუკიანოვი.

გაუბედურებული მშობლები—მამა მიხეილ (ძიზა) და დედა სოფიო (სონია)—სთხოვენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს დაესწრონ უდროოდ დაკარგულ ორი დის

ნადიკო და მარიკო ანანჩენკოვების

პანაშვიდს, რომელიც კვირას, 10 აპრილს, შუადღის 12 საათზე შესდგება ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა გრიშა სიმონის-ძე კობიძე, უბედური მამიდა ნატაშა კობიძე, ბებია ესმა და ძმა მარლენ კობიძე აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 5 აპრილს საღამოს 3 ს. 40 წ. ხუთი დღის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დაიღუპა მათთვის საყვარელი ენა ტიკტიკა ბიჭიკო

გივი (ღუტუნა) გრიშას-ძე კობიძე

გამოსვენება მოხდება შაბათს, 9 აპრილს, ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა დედის გვერდით კუკიის სასაფლაოზე. 2358 2—2

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ალექსანდრა მალხაზის ასული წერეთლისა, შვილები: დუდა, ნინო, ვიქტორ და ვლადიმერ წერეთლები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 6 აპრილს, მათთვის დაუვიწყარი

იასონ გრიგოლის-ძე წერეთელი

რომლის გამოსვენება მოხდება კვირას, 10 აპრილს, ქ. ქუთაისში, საკუთარ სახლიდან აკაკი წერეთლის ქუჩა. 2-ე ჩიხი № 2. ნ. 973

ცოლი ოლღა გიორგის ასული კოლიევი და შვილი დავითი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ძვირფასი

ლევან ანტონის-ძე ფურცელაძის

გარდაცვალების ერთი წლის თავზე, ამა აპრილის 10-ს, კვირას, ნაშუადღევის 1 საათზე, განსვენებულის საფლავზე, ვერის ძველ ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. 2360

მწუხარებით გულმოკლული მშობლები ეკატერინე ნიკოლოზის ასული და ალექსანდრე ბეკ. დადეშკელიანები შვილებით, ბიძა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ორლოვსკი ოჯახით, გადი ბეკ. და დავით პოლ. კარბელაშვილები აუწყებენ ნათესავთ, თანამოსამსახურეთ და ნაცნობებს, რომ მათი შეუდარებელი

გელა დადეშკელიანის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს კვირას, აპრილის 10, დღის 1 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის საფლავზე (კუკიის სასაფლაოზე). 2—1 2363

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ამბაკო ჭელიძე, დედამთილი მართა ჭელიძისა, შვილები თინა და გივი, ძმები სიმონი და ვალიკო სტაჯაძეები, ბიძა—ბიცოლა ნიკო და კესარია სტაჯაძეები, ბიძაშვილები აგრაფინა ჭუმბურიძისა, ანიჩკა და საშიკო სტაჯაძეები აცნობებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 7 აპრილს, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი

გალინა (გალო) ივანეს ასული ჭელიძისა

გამოსვენება საკუთარი ბინიდან, თხინვალის ქუჩა № 10, კვირას, 12 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2 1 2359

ღრმად დამწუხრებულნი ვაჟები: ნიკოლოზი, ვასილი და ექიმი სერგო დავითის-ძენი უთარნიშვილები; ქალიშვილები: სოფიო გურგენიძე და ნადეჟდა რაზგილდიავა; სიძეები: ექიმი კონსტანტინე გურგენიძე და სერგეი რაზგილდიაევი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქა[illegible] გორში გარდაიცვალა

დავით მიხეილის-ძე უთარნიშვილი

რომელიც დაკრძალულ იქნა დაბა გომბორში. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქალ. თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში, კვირას, 10 აპრილს, 12 ნახ. საათზე. 2366

დამწუხრებული ძმა ილარიონი, რძალი ივლიტა შვილებით: ზინა, ირაკლი, ნიკოლოზ ლომთაძეები, დისშვილები კოლია და დომინა მანაგაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 7 აპრილს, დღის 3 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

პლატონ ნიკოლოზის-ძე ლომთაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, კვირას, დღის 2 საათზე, მაგისტრალის ქ. № 21, წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2361

თამარა, ვევეია და გოგი გოგიტიძეები აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 10 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე ვერის ძველ სასაფლაოზე (ნიკოლოზის) გადახდილ იქნება პანაშვიდი მათი ძვირფასი მამის

სიმონ კონსტანტინეს-ძე გოგიტიძის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო. 2365

სახელმწიფო ოპერა

ნ. 976

დღეს, 9 აპრილს,
დ. სმირნოვის გასტროლი **ჰუგენოტები**
ბოგოლეპოვას, დანიელიანის, მაზოვეცკაიას, ვინაძის, მესნიაევის და შარაშიძის მონაწილეობით. დირიჟორი ი. ფალიაშვილი
კვირას, 10 აპრილს დილით, საბავშვო წარმოდგენა
საღამოთი თაქთაქიშვილის ოპერა **გ ა ნ თ ი ა დ ი**
ხუთშაბათს, 14 აპრ. სეზონის დახურვა **სანდრო ინაშვილის საღამო**
ევგენი ონეგინი

აპოლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—4 ნ. 924

მხატვრული შედევრი! ამერიკ. სურათი
„მეორე ახალგაზრდობა"
ლიუს სტონის და კლეო მადისონის მონაწილეობით
მსოფლიო შედევრი! **ბელლა დონა**
ერნსტ ლიუბიჩის დადგმა
მთავარ როლებში: პოლა ნეგრი, ად. მენჟუ, კონვეი ტირლ
უშიშარნი პირლ უაიტი და ანტონიო მორენო
საუკეთესო სურათში „სიძულვილის სახლი"
დღეს და ყოველდღე 1-ლი სერია.
ანონსი: ორშაბათიდან 11 აპრილიდან "აპოლო"-ში, „არფასტო"-ში, „სოლეი"-ში—გ ი უ ლ ი

ცირკი
დამსახურებულ მსახიობების
ძმ. ტანტების
ხელმძღვანელობით
ტელ. 16—67
1—1 ნ. 975

დღეს, 1927 წ. 9 აპრილს,
სენსაციური სანახაობანი 3 განყოფილებათ ახალი გასტროლიორების საუკეთესო ნომრები დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით.
გრძელდება ჭიდაობის ჩემპიონატი
ჭ ი დ ა ო ბ ს 4 წ ყ ვ ი ლ ი
პირველი—წითელი ნიღაბი—შულც ვადა 1 საათ. 10 წ. ან შულცი გამოდის ჩემპიონატიდან, ან ჩამოხსნილია ნიღაბი მეორე წყვილი ახლად ჩამოსული—ბუმბერაზი? ბორისოვ. მესამე—ბულ—ვანდეიკ. მეოთხე—ლეში—ერტნერ
დაწვრილებით აფიშებში ხდმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის
დელეგატთა
საყურადღებოდ

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი** და სახელმწიფო გამომცემლობის გამგე **ბ. ბიბინეიშვილი** სთხოვენ ოზურგეთის, თელავის, ზუგდიდის, სიღნაღის, შორაპნის, დუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის მაზრათა და ჭიათურის წარმომადგენლებს, მობრძანდენ კვირას, აპრილის 10-ს, რევოლიუციის მუზეუმში დილის 11 საათზე, ზემოხსენებულ მაზრებში წიგნის ვაჭრობისა და გავრცელების საქმეზე მოსალაპარაკებლად.

ნ. 978

შავი ზღვის სამხრეთ უბნის რკ. გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 15 აპრილიდან **სამგზავრო ფასი ახალ-სენაკის-ზუგდიდის სადგურებს შორის დაკლებულია 50%,** სამგზავრო ფასი დაწესებულია ს.ს. რ. რკ. გზ. საერთო სამგზავრო ტარიფის მიხედვით, გადიდებული 1.5 ჯერ. ხის. 972

ქართულ მსროლელ დივიზიის საალმშენებლო კომისია

აცხადებს, რომ 9 აპრილს 1927 წ. 12 საათზე ცალკე საკავშირო ასეულის შენობაში, ძნელაძის ქ. № 21, დანიშნულია

სამუშაოს გაცემა საბარგულების შეკეთებაზე

2.000 მან. ღირებულებაზე.

შეჯიბრება დახურულ ჩალთებით და სიტყვიერი. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებს პირობების გაცნობა შეუძლიათ იქვე ყოველდღე საათის 8—3-დე

ნ. 965 2—1. **საალმშენებლო კომისია.**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 12 აპრილს 1927 წ. დღის 1 საათ. სახლში № 89 ელისაბედის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. მიხ. რეიხერდის მოძრავ ქონებას: ორ ბუფეტის შკაფს, ტანისამოსის შკაფს და კედლის სარკეს, შეფასებულს 90 მანეთად, მოქ. ყმურშადიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 დეკემბერს 1926 წ, თარიღით, № 5245 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 977

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართლოს აღმასრულებ.
გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის ა. წ. 12 აპრილს დღის 2 საათზე სახლში № 13 (დარაბაში) ნიკოლოზის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. დავით ომაროვის მოძრავ ქონებას: ჩანი ფილტრით თავისი კრანით ლიკიორისთვის სპილენძის, კანოვკა ლიკიორისთვის, სპილენძის დიდ ბაკებს, სპილენძის ვედრებს, გრძელ დიდი მაგიდებს, დიდ ზომის შკაფს, სპილენძის სამოვარს, დიდ ბოჭკას, საწერ მაგიდას, სკამებს, კრესლოებს, მრავალ სხვადასხვა „ნალივკებს" ბოთლებით, პურის სპირტს, რომს 227 | 20, კაკაოს 10 | 40 და სხვ. შეფასებულს 1000 მან. სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 18 თებერვ. 1927 წლ. თარიღით № 532 გაცემულ აღმასრ. ფურცლისა ვაჭრობა იწარმოებს პირველ შემოძლეულ თანხებიდან. ნ. 977

„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი"-ს
თავის დროზე არ მიღების შესახებ
გვაცნობეთ ტელეფონით 5—43 და 8—81
„კომუნისტი"-ს კანტორა.

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის
ექიმთა გამოძახება სახლში
მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკლუბის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 2—15

ე ქ ი მ ი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურლანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ყოროშცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბონ-მონტი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმსივნეების ზუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ე ქ ი მ ი
მ ე გ რ ა ბ ი ა ნ ც ი
ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 სათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 | 1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 2256, დომენტი გურგენიძის სახელზე, ჩ. გ. 2362

დავკარგე გემოკვების კავშირის ს. წიგნაკი № 2985, დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 2840, ცენ. მუშათა კლუბის საწ. წიგნაკი № 1549 სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 111 გერასიმე სიმონისძე გორგიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2359

დავკარგე რკ. გზის სამთვიური ვადიანი ბილეთი „რაზავოი" თბილისიდან—საჯავახომდე გიორგი მსხილაძეს სახელზე, ჩ. გ. 2364

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.